# პატიმარმა საყვარელიძემ ციხეში ყური ჩამოითალა და შეჭამა 9


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.net

№44 (87)

1 - 7 დეკემბერი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net


## «Wikileaks»-ის საიდუმლო მასალები — საგზური მომავალში თუ ბილეთი «ტიტანიკზე»?! 2



## სახალხო იმედგაცრუება 5



10

**დიმიტრი შაშკინი:**

„თქვენს სისხლს დავლევ, პირდაპირ გეუბნებით! თქვენ იქნებით პასუხისმგებელი ამ კონკრეტულ საკითხზე, თქვენ მოძებნით, თქვენ ჩაატარებთ, თქვენ მოაგვარებთ. ვიცი, ბევრს მოეწონება, ბევრს არ მოეწონება. მირჩევნია, რომ სკოლის დირექტორი იყოს ამაზე პასუხისმგებელი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, სისხლს დავლევ! თითო სანტიმეტრს დავუთვლი“

## სისხლისმსმელი მინისტრი

## ღრმად გათხრილი სამარე კუზიანისთვის 6

## ნაცის ფერია სოფელი, თანდათან უფრო ძვირდება 8



## ხელისუფლებამ წელზე ქამრების შემოჭერით დაიწყო და ახლა კისერზე ყულფის შემოჭერას გვიპირებს!.. 14

18



**ზინა ბაიაშვილი:** მე და ჩემი

## პირველი ჯგუფის ინვალიდი, უსინათლო მეუღლე შიმშილით სიკვდილის ზღვარზე ვართ!

## დაბრუნებული ორდენები და გადაბრუნებული კალიოსტრო 11

თემურ ქორიძე:

## დღეს «ოპოზიციური ელიტა» დეპრესიულ მდგომარეობაშია 15

# შაყსაკრავები

**თუ თქვენ ხართ საქართველოს პრეზიდენტი, მიფრინავთ ლისაბონში ნატოს სამიტში მონაწილეობის მისაღებად, თან გახლავთ მრავალრიცხოვანი დელეგაცია, სამიტზე სიტყვით გამოდიხართ, ნატოს ეხვეწებით, მომეციო, ის კი არ გაძლევთ მაპს, მაშინ სრული უფლება გაქვთ, ხელის ბიჭებს (დაცვის სამსახურს ან თანმხლებ მინისტრებს) ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ტიარაში“ 80-მდე მეძავი ააყვანინოთ და მანამ „იორგიაოთ“, ვიდრე თქვენი ღრეობით შეწუხებული საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სასტუმროს ადმინისტრაციასთან არ გიჩივლებთ.**

შაყის კვრა — შუა საუკუნეების ევროპაში (1867 წლამდე) ითვლებოდა ყველაზე მკაცრ სასჯელად უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულისთვის. დამნაშავეს თოკით ოთხ ცხენს გამოაბამდნენ და ანაწევრებდნენ.

ეს სამარცხვინო ფაქტი მსოფლიო მედიის განხილვის საგნად იქცა. როგორც ჩანს, ნატოს სამიტით „გადაღლილმა“ ქართულმა დელეგაციამ „მამაპაპური“ გართობა გადაწყვიტა და მეზობელ „ახპერებთან“, ანუ სომხურ დელეგაციასთან ერთად სექსუალური მოთხოვნილებები სრულად დაიკმაყოფილა. ალბათ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა, რომ არა ერთ-ერთი მეძავის დაშავების ფაქტი (ასეთი რა უქნეს?), რაც პოლიციის გამოძახების საფუძველი გახდა.

სასტუმრო „ტიარაში“ მისულმა პორტუგალიელმა სამართალდამცველებმა ინციდენტის დეტალებიც დააფიქსირეს და ამის შესახებ მოგვიანებით გამოცემა Correio da Manha-ს ჟურნალისტებსაც აცნობეს. ეს გაზეთი 200-250-ათასიანი ტირაჟით გამოდის.

ასე რომ, ქართული დელეგაციის მიერ ლისაბონში მოწყობილი „მეძავების მეჯლისის“ ამბავი გამოგონილი კი არა, ნამდვილი ფაქტია. შეგახსენებთ იმასაც, რომ **დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.**

**დასასრული მე-6 გვ.**



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფრაზებული



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

მინდა, დავლოცო მთავრობა და ოპოზიცია. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ წინაშე არის სამშობლო და ამიტომ პირადი დაივიწყონ... ბედნიერი ვერ იქნება ის ადამიანი, რომელიც ღმერთთან ახლოს არ არის.



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

ახლა ამ საკითხზე დავა მიმდინარეობს, ოპოზიციას რაიონებიდან დეპუტატები არ უნდა. ერთ-ერთ თავიანთ უნიჭო ტელევიზიაზე მათ პლაკატებიც კი ჰქონდათ და კითხულობდნენ, „ვინ იცნობს რაიონების ამ ხალხსო?!“. თურმე თუ ყელმოღერებული არ ზის სტუდიიდან სტუდიაში, მას არ უნდა იცნობდნენ. არადა, საქმეს სწორედ ასეთი ხალხი აკეთებს თავისი რაიონისთვის და საკუთარი სოფლისთვის. ჩვენ კი არასდროს დავუშვებთ რაიონების წარმომადგენლობა გაუქმდეს და ყველაფერი ერთ ქუჩაზე მოღვაწე პარტიებმა გადაინაწილონ. ეს არ გამოვა! ჩვენ სწორედ ის ადამიანები გვჭირდება, რომლებიც ყველაზე მეტად დაიცავენ საზოგადოების ინტერესებს.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

ამ ხნის კაცი ვარ, მაგრამ 80 ბოზი ერთად ვერ წარმომიდგენია... მათთან ურთიერთობაზე აღარაფერს ვამბობ. წარმომიდგენია, რას ხმაურობდნენ ასეთს, რომ სარკოზი შეაწუხეს...

დეტალები არ ვიცი, მაგრამ რადგან უცხოურ პრესაში დაიწერა და რადგან ამ ფაქტთან დაკავშირებით საფრანგეთის პრეზიდენტის სახელმაც გაიჟღერა, როგორც ჩანს, რაღაც მართლა მოხდა. ამის არათუ ჩადენა, გაფიქრებაც კი სამარცხვინოა. მითუმეტეს, მაშინ, როცა შენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეზე იმყოფები, თანაც, ისეთი დონის სამიტზე, როგორიც ლისაბონის სამიტი იყო.

*„ასავალ-დასავალი“*



**დავით ბაქრაძე,**
**პარლამენტის თავმჯდომარე:**

გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველო დასავლეთ-ევროპული კავშირის საპარლამენტო ასამბლეის წევრი სახელმწიფო ვერ გახდება, თუმცა იქნება პარტნიორი ქვეყანა, რაც ასამბლეაში მაქსიმალური სტატუსია.

*„პირველი“*



**გია ხუხაშვილი,**
**ექსპერტი:**

სამწუხაროდ, ხელისუფლება ხშირად შეურაცხყოფს ჩვენს ხალხს: ოროსანი მოსწავლეებიო, უსაქმური გლეხებიო და ა.შ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველი გლეხი ზარმაცია და შრომა არ უნდა, ძალიან საწყენია. ასე რომ ყოფილიყო, არ გვექნებოდა სამიათასწლოვანი ისტორია და საქართველო დღემდე ვერ მოვიდოდა. პრობლემა ზუსტად ის არის, რომ გლეხის შრომას ფასი არა აქვს, ეს კი უსუსური სახელმწიფო პოლიტიკის ბრალია.

*„ყველა სიახლე“*



**გუბაზ სანიკიძე,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

უნდა გამოვიდეთ შუა საუკუნეების მითიდან, რომ გამოჩნდება ვინმე რაინდი და ურჩხულს დაამარცხებს. მითებით ცხოვრებას თავი უნდა დავანებოთ და უნდა მივხვდეთ, რომ გადაწყვეტილებები ჩვენ თვითონვე მივიღოთ. მინდა, ვკითხო იმ ხალხს, ვინც დღევანდელ ღონისძიებაზე არ გამოვიდა, რაღა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა იმაზე მეტი, რაც უკვე გაუკეთა?!

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



**შოთა ნადირაშვილი,**
**აკადემიკოსი:**

ოპოზიციამ უნდა მოიფიქროს ისეთი ქცევა, რითიც ავნებს ხელისუფლებას. ნაციონალებს ნამუსი არა აქვთ! ასე რომ, კრიტიკა გაზეთების საშუალებით თუ მიტინგებზე, მათ სულაც არ აწუხებთ.

*„ასავალ-დასავალი“*

# «Wikileaks»-ი საქართველოსთვის — საგზური მომავალში თუ ბილეთი «ტიტანიკზე»?!

**გასულ კვირას ოპოზიცია და ხელისუფლება თითქოსდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სულელური ნაბიჯების გადადგმასა და ისედაც კომაში მყოფ ქვეყნისთვის ზიანის მიყენებაში. თუმცა ამ წერილში საზღვარგარეთ მომხდარ მოვლენებზე ვისაუბრებთ. ორგანიზაცია „Wikileaks“-მა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნება დაიწყო. ეს პროცესი თვე-ნახევრის განმავლობაში გაგრძელდება; ეს თვე-ნახევარი სერიოზულად შეარყევს მსოფლიოს და უკვალოდ არც საქართველოსთვის ჩაივლის.**


Cable Gate
Browse the releases cabled of US Embassy.
Iraq War Logs
Diary Dig
Browse the diaries and make complex searches.
War Logs
Browse the diaries, rate and comment the reports.

On Sunday 28th November 2010, Wikileaks began publishing 251,287 leaked United States embassy cables, the largest set of confidential documents ever to be released into the public domain. The documents will give people around the world an unprecedented insight into the US Government's foreign activities.

The cables, which date from 1966 to the end of February this year, contain confidential communications between 274 embassies in countries throughout the world and the State Department in Washington DC. 15,652 of the cables are classified Secret.

To access the Cable gate, go to http://cablegate.wikileaks.org

Please donate to WikiLeaks to defend this information.

At 5pm EST Friday 22nd October 2010 WikiLeaks released the largest classified military leak in history. The 391,832 reports ('The Iraq War Logs'), document the war and occupation in Iraq, from 1st January 2004 to 31st December 2009 (except for the months of May 2004 and March 2009) as told by soldiers in the United States Army. Each is a 'SIGACT' or Significant Action in the war. They detail events as seen and heard by the US military troops on the ground in Iraq and are the first real glimpse into the secret history of the war that the United States government has been privy to throughout.

The reports detail 109,032 deaths in Iraq, comprised of 66,081 'civilians'; 23,984 'enemy' (those labeled as insurgents); 15,196 'host nation' (Iraqi government forces) and 3,771 'friendly' (coalition forces). The majority of the deaths (66,000, over 60%) of these are civilian deaths. That is 31 civilians dying every day during the six year period. For comparison, the 'Afghan War Diaries', previously released by WikiLeaks, covering the same period, detail the deaths of some 20,000 people. Iraq during the same period, was five times as lethal with equivalent population size.

## ფრანტიშეკ გაგორი (პოლონეთის გენშტაბის უფროსი): სააკაშვილმა ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სამხრეთ ოსეთში შესვლა გადაწყვიტა

### საიდუმლო მასალები

**„ეს პუბლიკაცია, როგორც მინიმუმი, საფრთხეში ჩააგდებს უამრავი ადამიანის სიცოცხლეს, ჟურნალისტებიდან დაწყებული და უფლებადამცველი ორგანიზაციების აქტივისტებით, ბლოგერებითა და ჯარისკაცებით დამთავრებული; ეჭვქვეშ დააყენებს სამხედრო ოპერაციების ჩატარებას, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში და თანამშრომლობას ქვეყნებს შორის,** — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის იურიდიულმა კონსულტანტმა ჰაროლდ კოხმა, — **ეს მასალები გაუთვალისწინებელ გეოპოლიტიკურ შედეგებს მოიტანენ“.**

**სულ „WIKILEAKS“-ი 251.288 დოკუმენტის გამოქვეყნებას აპირებს, მათ შორის ყველაზე ძველი დათარიღებულია 1966 წლის 28 დეკემბრით, ხოლო უახლესი — 2010 წლის 28 თებერვლით; 15.652 დოკუმენტს ადევს გრიფი „საიდუმლო“, ხოლო 4330-ს გრიფი — „NOFORN“, რაც ნიშნავს, რომ ის უცხოელის ხელში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხვდეს.**

მათ შორისაა აშშ-ის 274 საელჩოსა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დეპეშები ვაშინგტონში და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მათთვის გაგზავნილი ინსტრუქციები.

იმ მასალებში, რომლებიც ამ მომენტისთვის „Wikileaks“-ისა და მისი სხვადასხვა მედიასაშუალებების საიტებზე გამოქვეყნდა, საქართველოც ფიგურირებს. ორშაბათს, გვიან საღამოს, ვებგვერდზე — rusrep.ru, გამოქვეყნდა დოკუმენტების ვრცელი კრებული, საერთო სათაურით: **„WIKILEAKS“-ის ქართული დოსიე“,** (ყველა შემდგომი ციტატა, აღებულია ამ პუბლიკაციიდან, ციტირებული დოკუმენტების ავთენტურობას აშშ-ის ოფიციალური პირები, ალბათ, ახლო მომავალში დაადასტურებენ ან უარყოფენ), **სადაც წარმოდგენილია აშშ-ის ელჩის — ჯონ ტეფტის მიერ ვაშინგტონში გაგზავნილი ანგარიშები აგვისტოს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და მისი დაწყების შემდეგ; მათ შორის ნახსენებია ის, თუ როგორ მოუწოდებდა ტეფტი ომის დაწყებამდე სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს, „რეგიონში სიმშვიდე აღედგინათ“.**

არის მოსკოვსა და ევროპის ქვეყნების დედაქალაქებში მყოფი აშშ-ის ელჩების ომთან დაკავშირებული ანგარიშები და მოხსენებები იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობდნენ ამერიკელები ნატოში კონსესუსის მიღწევას საქართველოში განვითარებული მოვლენების შეფასებისას და როგორ ჩაიშალა ეს მცდელობა გერმანიისა და რიგი ევროპული ქვეყნების ფრთხილი პოზიციის გამო: **„როდესაც მოკავშირეთა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ რუსეთმა გადაჭარბებული ძალა გამოიყენა, უნგრეთმა და სლოვაკეთმა მოუწოდეს ნატოს, მხედველობაში მიეღო ის როლი, რომელიც საქართველომ კონფლიქტის დასაწყისში შეასრულა, როდესაც სამხრეთ ოსეთში არაპროვოცირებული შეჭრა მოახდინა. გერმანიამ დაადასტურა, რომ ,,რუსეთმა წითელი ხაზი გადაკვეთა“, როდესაც საქართველოს საჰაერო დაბომბვებს აწარმოებდა, თუმცა დაიწყო საქართველოს სამხრეთ ოსეთში (სავარაუდოდ, არაპროვოცირებული) შეჭრის გაკრიტიკება“.**

ასევე, გამოქვეყნებულია ანგარიში პოლონეთის გენშტაბის უფროსის — ფრანტიშეკ გაგორის (რომელიც შემდგომ სმოლენსკის ავიაკატასტროფაში დაიღუპა) გამოსვლის შესახებ, სადაც მან თითქოსდა განაცხადა, რომ **„სააკაშვილმა ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც სამხრეთ ოსეთში შესვლა გადაწყვიტა და რუსებისთვის ხელსაყრელი თამაში ითამაშა“,** რასაც გენერალმა **„სულელური სვლა“** უწოდა და, აგრეთვე, თქვა, რომ **„პოლონეთი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი რუსეთის აგენტების მანიპულაციის ობიექტი გახდა, რომლებიც, სავარაუდოდ, მის მრჩევლებს შორის იყვნენ“.**

კიდევ რამდენიმე პასაჟი იმ უამრავი მასალიდან, რომლებიც ორშაბათს, გვიან საღამოს, rusrep.ru-ზე გამოქვეყნდა: **„მერაბიშვილმა თქვა, რომ მისმა შსს-ს სპეცრაზმებმა თავიანთი „კობრებით“ ექვს საათში აიღეს ცხინვალი, რომელსაც 2000 დამცველი ჰყავდა. მან განაცხადა, რომ მომავალში ამ შეტევას ტაქტიკის სწავლებისთვის გამოიყენებენ. ის კვლავ დაუბრუნდა საკითხს და აღნიშნა, რომ „ჩვენ შევინარჩუნეთ ცხინვალი ოთხი დღის განმავლობაში, რუსული დაბომბვების მიუხედავად. ჩვენი ხალხის ნახევარი დაიჭრა, მაგრამ არავინ დაღუპულა“.**

ყველა, ვისაც თუნდაც მცირეოდენი ინფორმაცია აქვს ცხინვალში განვითარებულ მოვლენებზე, ალბათ, აღმოაჩენს, რომ შს მინისტრი (აღნიშნული პუბლიკაციის თანახმად) ამბობს რაღაც ახალს, უცნაურს და სრულიად გაუგებარს, თანაც ამას უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე აკეთებს. **ამ განცხადებას ამერიკელი დიპლომატის მინაწერი ახლავს: „შსს-ს კონტროლი ცხინვალზე, ფაქტობრივად, 24 საათთან მიახლოებული დროის განმავლობაში გრძელდებოდა“.** თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხედროების ნაშრომებში ომის შესახებ არ მოიპოვება ცნობები იმის თაობაზე, რომ ქართული მხარე, კერძოდ შსს-ს ძალები, ცხინვალს სრულად, თუნდაც 24 საათის განმავლობაში, აკონტროლებდნენ. თუმცა „ოთხ დღეზე“ (აღნიშნული პუბლიკაციის თანახმად) საუბრობდა შოთა უტიაშვილიც მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრაზე (ბრაიზას შეკითხვაზე — „ვინ და რატომ გადაწყვიტა ცხინვალში შეჭრა?“ — პასუხის გაცემის დროს).

**ცხადია, დასკვნების გამოტანამდე უნდა დაველოდოთ ყველა ფაილის გამოქვეყნებას „Wikileaks“-ისა და მისი პარტნიორი მედია-საშუალებების საიტებზე** (და არა სადმე სხვაგან, რადგან „Wikileaks“-ის მასალების ფალსიფიკაციის მცდელობები უკვე დაფიქსირდა). **გავეცნოთ ვაშინგტონისა და თბილისის ოფიციალურ რეაქციას და შევეცადოთ, დავადგინოთ, ნამდვილად გვაქვს თუ არა საქმე ავთენტურ დოკუმენტებთან.**

რამდენიმე მაგალითი იმისთვის, რომ შევაფასოთ, თუ რამდენად ფეთქებადსაშიშ მასალებზეა საუბარი. თუ „Wikileaks“-ისა და მისი პარტნიორი მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს დავუჯერებთ, **სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელ დიპლომატებს მითითებას აძლევდა, მოეპოვებინათ ყველანაირი ინფორმაცია გაეროს სამდივნოსა და გენმდივნის შესახებ,**

მათ შორის საკრედიტო ბარათების ნომრები, ელექტრონული ფოსტის პაროლები და ა.შ. აგრეთვე, **დეტალური ბიოგრაფიული და ბიომეტრიული ინფორმაცია გაეროში ჩინეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების შესახებ.** ავიღოთ კონკრეტული ქვეყნის — შვედეთის მაგალითი. გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ასახულია, **თუ როგორ მოითხოვს აშშ-ის ელჩი შვედი პოლიტიკოსებისგან მათი ქვეყნის ამა თუ იმ მოქალაქეზე თვალთვალის გაძლიერებას და ინფორმაციის მიწოდებას,** აგრეთვე იმას, **თუ როგორ ემორჩილება ამერიკელთა ინსტრუქციებს შვედეთის წარმომადგენელი გაეროში.** წარმოიდგინეთ, რა რეაქცია მოყვება ამას შვედეთში, რა ბედი ეწევა კონკრეტულ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს და როგორ აისახება ეს შვედების დამოკიდებულებაზე შტატების მიმართ.

**გამოქვეყნებულ დოკუმენტებს შორის არის** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ანგარიში სახელმწიფო მდივნის მოადგილის — უილიამ ბერნსისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის — ილჰამ ალიევის შეხვედრის შესახებ, სადაც წარმოდგენილია ალიევის საკმაოდ უხერხული გამონათქვამები რუსეთის, თურქეთისა და ირანის ხელისუფლებებზე, დოკუმენტები უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პერიოდის შესახებ, რომელიც პროცესებში აშშ-ის საელჩოს აქტიურ ჩართულობას ასახავს.** რაც შეეხება ავღანეთს, ერაყს, ირანს და საერთოდ სპარსეთის ყურეს, მათთან დაკავშირებულ მასალებზე, პერსპექტივაში ბირთვულ ბომბზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. საუბარია, მაგალითად, იმაზე, **თუ როგორ დასთანხმდა ვაშინგტონი, რომ ისრაელს ირანზე შეტევისთვის „GBU-28“ ტიპის ბომბები გადაეცა, ხოლო თეირანმა ჩრდილოეთ კორეისგან შეიძინა რაკეტები, რომლებიც ევროპის დედაქალაქებამდე აღწევს.**

მთელს ამ ინფორმაციას გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და, რასაკვირველია, არ განვიხილოთ ის როგორც „ჭეშმარიტება უკანასკნელ ინსტანციაში“. ხოლო ვიდრე საბუთები სრული სახით გამოქვეყნდება, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, შევეცადოთ, დავადგინოთ, თუ ვის და რისთვის დასჭირდა ეს აქცია, რომელმაც აშშ-ის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე უდიდესი ზიანი მიაყენა. **მსგავსი მასშტაბის საინფორმაციო პროვოკაცია საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას, უბრალოდ, არ ახსოვს.**

## შეთქმულება შეთქმულების წილ

**ვიღაც შეიძლება დაკმაყოფილდეს ოფიციალური ვერსიით იმის თაობაზე, რომ ერთი ჩვეულებრივი 22 წლის ბიჭი, ამერიკელი სამხედრო (სპეციალისტი სადაზვერვო ანალიზის დარგში) ბრედლი მენინგი შეძვრა სისტემა „SIPRNet“-ში და შესაბამისი დოკუმენტები გადმოიწერა. ეს სისტემა პენტაგონის საიდუმლო გლობალურ ონლაინ-არქივს წარმოადგენს, ხოლო დიპლომატების დოკუმენტები მასში პროექტ „Net-Centric Diplomacy“-ის განხორციელების გამო მოხვდა, რომელსაც პენტაგონი და სახელმწიფო დეპარტამენტი 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ პერიოდში ახორციელებენ, ინფორმაციის გაცვლის შეუფერხებლობის მიზნით.** მენინგი მაისში დაიჭირეს, მას შემდეგ, რაც დოკუმენტების პირველი ნაწილი გამოქვეყნდა, თუმცა „Wikileaks“-მა მისი საქმე განაგრძო. აშშ-ის სახელმწიფო მანქანა „Wikileaks“-ის დამფუძნებელს — ჯულიან ასანჟსაც დასდევდა, რითაც ინტერესი პუბლიკაციების მიმართ (ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას) კიდევ უფრო გაამძაფრა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დამაინტრიგებლად ჟღერს და ერთობ მოაგონებს „მატრიცას“ და ნეოს ისტორიას, რომელმაც გადაწყვიტა, კაცობრიობას „სიმართლე ამცნოს“, თუმცა **პრაქტიკულად, როგორც წესი, მსგავსი გულანთებული აქტივისტების უკან ძალზე სერიოზული ადამიანები დგანან.**



არსებობს კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ ყოველივე ეს თავად აშშ-მა განახორციელა და დოკუმენტების პირველი ნაწილის გამოქვეყნების მიზანს „Wikileaks“-ისთვის სანდო წყაროს რეპუტაციის შექმნა წარმოადგენდა, ხოლო **მეორე ეტაპზე გამოქვეყნდება მაკომპრომეტირებელი მასალები მეტწილად უცხო სახელმწიფოების მთავრობების შესახებ.** თუმცა ეს ვერსია არც ისე დამაჯერებელი ჩანს, რადგან **თავად აშშ-ის ავტორიტეტისთვის მიყენებული ზიანი ძალზე დიდი გამოდგა.**

# თავად აშშ-ის ავტორიტეტისთვის მიყენებული ზიანი ძალზე დიდი გამოდგა. შეიძლება ნდობა მისდამი ნულს გაუტოლდეს

გამოქვეყნებული დოკუმენტები ისეთ ინფორმაციას შეიცავს, რომელმაც **შეიძლება ნდობა მისდამი ნულს გაუტოლოს.**

არის ვერსია, რომ ყოველივე ეს რომელიმე უცხო სახელმწიფომ განახორციელა, თუმცა ესეც საეჭვოა. მსგავსი აქცია შტატებისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავს, ამის გამკეთებელს აშშ ყველა რესურსის გამოყენებით დაუპირისპირდება, ამ მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა კი მეტად არარაციონალური იქნება.

**გამოქვეყნებული დოკუმენტები ამხელს და ვნებს როგორც რესპუბლიკელების, ისე დემოკრატების ავტორიტეტს, რადგან ორივე პარტიის მმართველობის პერიოდს ეხება. შესაბამისად, ვერსია იმის თაობაზე, რომ ამ დოკუმენტების პუბლიკაციით ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მეორეს დარტყმა მიაყენა სერიოზული ეჭვის ქვეშ დგება.**

არის სხვა ვერსიაც, რომელიც აშშ-ის ელიტის შიგნით არსებულ დაპირისპირებას ეფუძნება და **მომხდარის მთავარ მიზეზად, პოლიტიკურ და ფინანსურ ელიტას, მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსებსა და ბანკირებს შორის წარმოქმნილ დაძაბულობას განიხილავს.** თითქოსდა, მას შემდეგ, რაც პოლიტიკოსებმა აშშ-ის პრობლემების (ეკონომიკის ვარდნა, ვალების პირამიდა) პირველწყაროდ ბანკირების წარმოჩენა, მეტიც, მათი ძალაუფლების შეზღუდვის წინადადებების წამოყენება დაიწყეს, მათ საპასუხო დარტყმა განახორციელეს.

ამ ვერსიის „ჩაკეტვა“ აშშ-ის საზღვრებში, ალბათ, არ შეიძლება, რადგან, **პოლიტიკური ელიტებისგან განსხვავებით, ფინანსური ელიტა გლობალურ ხასიათს ატარებს და, ამასთანავე, ერთიანი არ არის. მისი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ ინტერესებს მაქსიმალურად პასუხობს აშშ-ის ჰეგემონია მსოფლიოში, ზოგი ბიპოლარულ** (მაგალითად, აშშ-ჩინეთის დაპირისპირებაზე დაფუძნებულ) **მოდელს ემხრობა** (ისე, ინტერნეტში მოიპოვება არა მხოლოდ „Wikileaks“-ის ფაილები, არამედ ინფორმაცია იმაზე, თუ რომელი ბანკებისა და კორპორაციების სათაო ოფისებმა გადაინაცვლეს იმავე ჰონ-კონგში), **ზოგი კი მრავალპოლარულ მოდელს ამჯობინებს, უარს ამბობს დოლარის, როგორც გლობალური ვალუტის პოზიციების შენარჩუნებაზე, წარმატებით თანამშრომლობს ევროპის ძველ ქვეყნებთან, რუსეთთან და ლათინური ამერიკის აღზევებაზე დიდ იმედებს ამყარებს.** საზღვრები ამ ჯგუფებს შორის ისეთი მკვეთრი არ არის, როგორც სახელმწიფოებს შორის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამიდან ირიბი დარტყმის ქვეშ გასულ კვირას ის ჯგუფი აღმოჩნდა, რომელიც აშშ-ისა და დოლარის ჰეგემონიის იდეებით ხელმძღვანელობს.

## კოზაკი აქლემების ჩხუბში

**„Wikileaks“-ის პუბლიკაცია გლობალური საინფორმაციო სივრცის გადაფარვას, მის ერთგვარ ბლოკირებას ახდენს. ბოლო დღეებში კომენტატორებს ნაკლებად აინტერესებდათ, მაგალითად, ის, რომ ამერიკული ხომალდები ჩრდილოეთ კორეის ნაპირებს უახლოვდება (არადა, ეს ხდება სწრაფად). მილიონობით ინტერნეტ-მომხმარებელი და ბლოგერი ახდენდა მამხილებელი ინფორმაციის ტირაჟირებას ისეთივე ელვისებური სისწრაფით, როგორითაც ვირუსი ორგანიზმის უჯრედებს აზიანებს.**

უამრავმა ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელმა ეჭვის თვალით შეხედა არა მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, არამედ ზოგადად პოლიტიკოსებს, მათ ქმედებებს და მათ მიმართ უნდობლობა ჩამოუყალიბდა; ეს კი, საბოლოო ჯამში, დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ეჭვქვეშ დაყენებას, მის ხელყოფას ნიშნავს. ცხადია, არავინ არ შეეხება ძველ მსოფლიო წესრიგს, იმ შემთხვევაში, თუ ახლის შემოთავაზებას არ აპირებს, „Novus Ordo Seclorum“-ს (საუკუნო ახალი წესრიგის), ძველად რომ იტყოდნენ. მომენტი დესტაბილიზაციისთვის საკმაოდ ზუსტად შეირჩა. მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის მორიგი დამანგრეველი ტალღა უახლოვდება, მომავალ 2 წელიწადში ჩატარდება არჩევნები შტატებსა და რუსეთში, აგრეთვე, ჩინეთის კომპარტიის ყრილობა, სადაც ხელისუფლებაში მორიგი „თაობების ცვლა“ უნდა მოხდეს.

ყურადღება ერთ გარემოებას მივაქციოთ. **„WIKILEAKS“-ის პუბლიკაციები დროშია გაწელილი და გამორიცხული არაა, რომ ბრედლი მენინგის მიერ მოპოვებული ფაილებით არ ამოიწუროს.**

ნებისმიერი პოლიტიკოსი ასეთ სიტუაციაში თავს, სავარაუდოდ, ისე იგრძნობდა, თითქოს მას ყელზე ვიღაცამ ხელი მოუჭირა, რადგან შეიქმნა ისეთი საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ფონი, როდესაც ადამიანები იოლად იჯერებენ, რომ ესა თუ ის კომპრომატი სიმართლეს შეესაბამება. შესაძლოა, შფოთვით აღსავსე პაუზის შემდეგ, ესა თუ ის პოლიტიკოსი მეგობრულ ატმოსფეროში გამართულ ვახშამზე დაპატიჟონ, სადაც ის მიიღებს წინადადებას, რომელზეც უარს, უბრალოდ, ვერ იტყვის.

**„Wikileaks“-ის პუბლიკაციებთან დაკავშირებული სკანდალი ერთ-ერთი ნათელი ნიშანია იმისა, რომ მსოფლიო გლობალური დესტაბილიზაციისკენ მიდის.** ახალი ამაში არაფერია. ყოვლისმომცველ ეკონომიკურ კრიზისებს ყოველთვის მოჰყვება ომები (ხანდახან მსოფლიო), ძველი შეხედულებების გადაფასება და მსოფლიო ბაზრების გადანაწილება; პატარა ქვეყნისთვის ასეთ ვითარებაში მთავარია, განრისხებულმა დინოზავრებმა (დიდმა სახელმწიფოებმა) არ გაჭყლიტონ. მას, ალბათ, მოეთხოვება, რომ გეოპოლიტიკურ დესტაბილიზაციას ხელი არ შეუწყოს და საკუთარი ბედი ერთ-ერთ ზესახელმწიფოს არ მიაბას.

**კონკრეტულ სიტუაციაში მკვეთრი ორიენტაცია შეერთებულ შტატებზე საქართველოსთვის შეიძლება აღმოჩნდეს არა საგზური მომავალში, არამედ — ბილეთი „ტიტანიკზე“;**

თუ გახსოვთ ის ეპიზოდი ფილმიდან, როდესაც გემი უკვე შეეჯახა აისბერგს, როცა სალონში ჯერ კიდევ უკრავდა მუსიკა და მგზავრები თავს არხეინად გრძნობდნენ. ალბათ, მიზანშეწონილი არაა, რომ მაინც და მაინც მათი ხვედრი გავიზიაროთ.

**დიმიტრი მონიავა**



## გაფრაზებული



**ლალი აფციაური,**
**ადვოკატი:**

სად იყო შალვა ნათელაშვილი? სად იყო კახა კუკავა? სად იყვნენ იმ რვა პარტიის ლიდერები და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები? ბატონებო, გადმოიხედეთ ზემოდან და დაინახეთ ქუჩაში გამოსული ოცდახუთი ათასი ადამიანი და გახსოვდეთ, რომ თქვენ ვალდებულნი ხართ, იდგეთ საკუთარი ხალხის გვერდით! 25 ათასი კი არა, 25 კაცი რომ შეიკრიბოს, უნდა მოხვიდეთ იმ 25 თანამოქალაქესთან და გაიზიაროთ მათი გასაჭირი!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოზარ სუბარი,**
**„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**

ერთი არასწორი სიტყვის გამო, თავდაცვის მინისტრი გადადგა იაპონიაში, ჩვენთან კი პრეზიდენტი მინისტრებს ხორცის ნაჭრებს უწოდებს და ეს უთავმოყვარეო ხროვა ეთანხმება, დიახ, ხორცის ნაჭრები და მძორები ვართო. ქვეყნის სირცხვილია, როცა ქვეყნის ოფიციალური დელეგაციის წარმომადგენლებს კახპები შეჰყავთ სასტუმროში. ამის გამო ნებისმიერ ქვეყანაში რევოლუცია მოხდებოდა, ხალხი პარლამენტსა და მთავრობის კანცელარიას გადაბუგავდა.

*„კვირის პალიტრა“*



**ხათუნა ოჩიაური,**
**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

თუ ვინმემ პარლამენტის წინ მისული ხალხი დაარწმუნა, რომ მათი გადაწყვეტილება ლეგიტიმურია, ეს ხალხის შეგნებულად შეცდომაში შეყვანაა. რადგან საკონსტიტუციო ცვლილებები ბათილად სცნეს, კონსტიტუცია აღარ გვაქვს? რადგან პარლამენტის წინ შეკრებილმა ხალხმა საკონსტიტუციო ცვლილებების გაუქმებას მანდატი აუწია, კონსტიტუცის მოქმედება შეჩერდა და, რაკი უნდობლობა გამოუცხადეს, სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი?! ეს ხომ ძალზე არასერიოზულია.

*„კვირის პალიტრა“*



**ლადო პაპავა,**
**ექსპერტი:**

ხშირად ბიზნესმენები თავანთი სამოქალაქო პოზიციით საკმაოდ სუსტები არიან, გმირობას ვერ მოვთხოვთ ბიზნესმენს. როგორც მოქალაქეები, ისინი მთლიანობაში მაინც უფრო „ლაჩართა“ კატეგორიას განეკუთვნებიან. იმიტომ კი არა, რომ ისინი ბუნებით არიან ლაჩრები, უბრალოდ, სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა რომ დაიწყონ, კარგად ვერ დაასრულებენ.

*„კვირის ქრონიკა“*



**თემურ შაშიაშვილი,**
**მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი:**

ყველაზე სამწუხარო, იცით, რა არის? რაც უფრო რადიკალური ხდება ხალხი ხელისუფლების მიმართ, პოლიტიკური ოპოზიცია ამავე ხელისუფლების მიმართ ხდება უფრო და უფრო ლოიალური! ხალხი მზად არის რადიკალურ ნაბიჯებზე წასასვლელად, ამ დროს კი ოპოზიცია კონსტრუქციული ხდება. აი, ეს არის სწორედ პოლიტიკური პროსტიტუცია!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

ყველანაირი კომისია ისეთი უკანონო და ანტიკონსტიტუციური გადატრიალების გამოსააშკარავებლად, დამნაშავე პირთა კიდევ უფრო გამოსაკვეთად, როგორიც იყო ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუცია, არის აბსოლუტურად კანონიერი და ლეგიტიმური. ამას გარდა, საქართველოში ყველაფერზეა კომისიები შექმნილი, ყველაფრის გამოძიება მოხერხდა, დაწყებული მზიას და ზეზვას დმანისური გათხრებიდან და ის გამოძიება, რაც 7 წლის წინათ თავზე დაგვატყდა და რამაც მოგვიყვანა ეს ტრუსიკიანი გიჟი, რამაც მოგვიტანა ამდენი უბედურება, დაგვამხო, დაგვაქცია, სისხლში გვაბანავა, აი ამის გამოძიება აბსოლუტურად არავის არ მოსვლია თავში აზრად.

*„ალია“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# შაყსაკრავები

პირველი გვერდიდან

ვიდრე დეტალებს ჩავუღრმავდებით და სათანადო შეფასებებს გავაკეთებთ, მანამ დელეგაციის სხვა წევრებსაც წარმოგიდგენთ. ესენი არიან: **სახელმწიფო მინისტრები: გია ბარამიძე და თემურ იაკობაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია** და ა.შ.

სასტუმრო „ტიარაში" ქართველების მიერ ალტერნატიული „მეძავების სამიტის" ჩატარების ფაქტის უტყუარობას კიდევ ერთი გარემოებაც ამტკიცებს: წესით, თავმოყვარე ხელისუფლებამ „ცილისწამებისთვის" ზემოხსენებულ გამოცემებს სასამართლოში უნდა უჩივლოს ან, მინიმუმ, ოფიციალური მოთხოვნა მაინც უნდა გაუგზავნოს გავრცელებული ინფორმაციის უარყოფისა და ბოდიშის მოხდის თაობაზე, ან კიდევ, საჯარო განცხადება უნდა გააკეთოს და ყველა დაარწმუნოს, რომ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ქართული დელეგაციის წევრები ამ თემაზე დუმილს ამჯობინებენ.

**თუ ვინმეს არ ესმის მომხდარი ინციდენტის მნიშვნელობა, განვუმარტავთ, რომ ეს არის საერთაშორისო სკანდალი, სირცხვილი, რომლის ანალოგიც მსოფლიო პოლიტიკაში ძნელად მოიძებნება. ხუმრობა ხომ არაა 80-მდე მეძავის იმ სასტუმროში მიპატიჟება, სადაც წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები იმყოფებიან, და იქ ხმაურიანი, შემაწუხებელი წვეულებების მოწყობა.**

საინტერესოა, ვინ გასცა ბრძანება „მეძავების სამიტის" ჩატარების შესახებ? ვინ და რა ფორმით მონაწილეობდა „ეროვნულ ორგიაში"? — ამ ჯერჯერობით პასუხგაუცემელ კითხვებს, შესაძლოა, მხოლოდ ვერსიების სახით გაეცეს პასუხი. ცხადია, თითოეულ ვერსიას, რომელსაც წარმოგიდგენთ, არსებობის უფლება აქვს. მეტიც, შესაძლოა, ერთ-ერთი სრული ჭეშმარიტებაც აღმოჩნდეს.

**ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ტიარა" ერთი საპრეზიდენტო და ორი დიპლომატიური კომპლექსისგან შედგება. სასტუმროს ცალკე აქვს 39 ლუქსი. რატომ ვამახვილებთ „ტიარას" „ფიზიკურ მონაცემებზე" ყურადღებას? იმიტომ, რომ დავადგინოთ, თუ კონკრეტულად რომელი კომპლექსიდან გამოდიოდა ქართულ-სომხური ღრეობის ხმა, რამაც ნიკოლა სარკოზი წყობიდან გამოიყვანა და ორგიის შეწყვეტა მოითხოვა.**

წარმოვიდგინოთ, როგორი დაცული იქნება საპრეზიდენტო კომპლექსი, რომელსაც ერთბაშად რამდენიმე ქვეყნის პირველი პირის მიღება შეუძლია. ასეთი დონის სასტუმროში მცხოვრებ ძვირფას სტუმარს მყუდროებას იოლად ვერ დაურღვევ, მითუმეტეს — მოშორებით მდგარი დიპლომატიური კომპლექსებიდან ან იქვე განთავსებული ლუქსნომრებიდან.

პირველი ვერსიის თანახმად, სარკოზის გაღიზიანება დიპლომატიური კომპლექსიდან გამოსულმა ღრიანცელის ხმამ გამოიწვია, როცა ქართველები და სომხები, ანუ „წვრილფეხა დელეგატები" პორტუგალიელ ლამაზმანებთან ერთად ცელქობდნენ. თუმცა ამ ვერსიას, რამდენიმე დეტალის არარსებობის გამო, დამაჯერებლობა აკლია. საპრეზიდენტო ნომრები ისეა დაცული, რომ სახელმწიფოს პირველ პირებს, „ხულიგანი კლიენტების" გამო, დისკომფორტი არ შეექმნათ.

გამოდის, რომ **საფრანგეთის პრეზიდენტი საპრეზიდენტო კომპლექსის შიგნით ატეხილმა აურზაურმა „განარისხა". იქ კი საქართველოს პრეზიდენტი ცხოვრობდა.**

ალბათ, სარკოზიმ ამიტომაც უბრძანა დაცვის წევრებს, ყველაფერი სასტუმროს ადმინისტრაციას მოახსენეთო. **შესაძლოა, პოლიციელთა ჩარევა საჭირო არც გამხდარიყო და „ტიარას" ხელმძღვანელებს პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაეჭრათ, მაგრამ ერთი მეძავი საკმაოდ მძიმედ დაშავდა, რის გამოც სამართალდამცველთა გამოძახება აუცილებელი გახდა.**

პირველისგან განსხვავებით, მეორე ვერსია რეალობასთან უფრო ახლოს არის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის ნებართვის გარეშე მის გარემოცვას ღრმად სუნთქვის უფლებაც კი არ აქვს, მაშინ იოლი მისახვედრი იქნება, თუ ვინ გასცა ბრძანება „ტიარაში" ფეხმსუბუქი ქალების მიყვანის შესახებ.

მერწმუნეთ, ასეთ რისკზე „წვრილფეხა დელეგატი" თვითნებურად ვერ წავიდოდა და ბორდელიდან ერთბაშად 80 როსკიპს ვერ წამოასხამდა. მით უფრო, რომ პორტუგალიელი ლამაზმანები კლიენტთან გატარებულ ყოველ საათში 200 ევრომდე იღებენ და საბოლოოდ ეს თანხა, მეძავების „ოპტომ" აყვანის გამო შესაძლო დისკაუნტითაც კი ათეულობით ათასი ევროა. როგორც მოგახსენეთ, დელეგაციის წევრები დღემდე დუმილს ამჯობინებენ. სამაგიეროდ, **პრეზიდენტის დასაცავად ხმა მიხეილ მაჭავარიანმა აღიმაღლა და ყველაფერი რუსებს გადააბრალა. თურმე ეს ამბავი კრემლის გამოგონილი ყოფილა და „ტიარაში" „მეძავების სამიტის" ჩატარებას ადგილი არ ჰქონია.**

მაშინ **რა ვუყოთ იმ აქტს, რომელიც პორტუგალიელმა პოლიციელებმა მეძავის დაშავების გამო შეადგინეს, ანუ მომხდარი ინციდენტი ოფიციალურად დააფიქსირეს? ნუთუ ნიკოლა სარკოზის აღშფოთებისა და სასტუმროს ადმინისტრაციის გაფრთხილების ფაქტიც მოგონილია?**

ცხადია, ამ კითხვებს ხელისუფლება კვლავ დუმილით უპასუხებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო უზნეობისა და ავხორცობის კიდევ ერთი სამარცხვინო მაგალითი. მერწმუნეთ, **მსოფლიოში „უზნეო მთავრობების" რეიტინგი რომ არსებობდეს, „ჩვენები" სამეულში მაინც შევიდოდნენ.** თუმცა ის რაც ქართულ საზოგადოებას ჭირს, მხოლოდ სააკაშვილის ბრალი არ არის.

არანაკლებ უპრინციპო და ურეიტინგო ოპოზიციას ერის გადაგვარების მტკივნეულ პროცესში საკმაოდ დიდი როლი მიუძღვის. როგორც ჩანს, ადამიანების გულწრფელი ემოციისა და პროტესტის ხარჯზე დიდი ფულის კეთება იოლია. **რაც უფრო მეტ ხალხს მიიყვან პარლამენტის წინ და რაც უფრო ძლიერი იქნება საპროტესტო ტალღა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მით უფრო მეტს გადაგიხდიან. თუ არადა, მათ დასაშლელად არც „ნაციონალები" დაიშურებენ „მწვანე დოლარებს".**

ერთი შეხედვით „დალაგებულ" საქართველოში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს. ე. წ. ოპოზიცია ურთიერთდაპირისპირებისა და განხეთქილების ამაზრზენ პოლიტიკურ სურათს ქმნის. მათ ქვეყნის ბედუკულმართობაზე ვითომ გული შესტკივათ, სინამდვილეში კი **არც ერთ ლიდერს არ შესწევს იმის უნარი, რომ ხალხს „სამოქალაქო გმირობის" მაგალითი უჩვენოს, თავი გასწიროს ქვეყნისა და ერის გადასარჩენად.**

სწორედ ამიტომ დამთავრდა კრახით პარლამენტის წინ „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" მიერ ორგანიზებული აქცია, ანუ ძალად პოლიტიკოსებისა და პოლიტიკანების უსუსური თავყრილობა. არადა, „კრების თავკაცები" ჯერ კიდევ ოქტომბერში იმუქრებოდნენ, ხელისუფლებას მიწასთან გავასწორებთო. სიმართლე გითხრათ, კინაღამ მეც დავიჯერე ამ ურეიტინგო ლიდერების ტრაბახი და რაღაც გრანდიოზულის მოლოდინში ვიყავი.

აქვე მინდა აღვნიშნო და დავადასტურო ჩემი პატივისცემა იმ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების (მწერლების, სპორტსმენების, მსახიობების, რეჟისორების და ა.შ.) მიმართ, რომელთაც პოლიტიკანებმა უაზრო იდეოლოგია თავს მოახვიეს და დაარწმუნეს, რომ ხალხის „უზარმაზარი" მხარდაჭერა ჰქონდათ და ბოლომდე იბრძოლებდნენ. მჯერა, რომ ეს ადამიანები მართლაც საქართველოს კეთილდღეობისთვის იბრძვიან.

**პარლამენტის წინ გამართული აქცია მომაკვდავი ოპოზიციის უკანასკნელ გაფართხალებას უფრო ჰგავდა, ვიდრე საბრძოლოდ შემართული ოპოზიციური ლიდერების მტკიცე ერთობას. ზოგი სააკაშვილის გადადგომას მოითხოვდა, ზოგი წინასწარ დაწერილ „უნდობლობის ვერდიქტს" აფრიალებდა, ზოგიც დაშლა-არმოშლისას გაიძახოდა. ერთი სიტყვით, ეს იყო უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, სახელწოდებით „მარაზმი", რომელშიც მთავარი გმირების როლებს უპერსპექტივო პოლიტიკოსები ასრულებდნენ.**

წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, „სახალხო კრების" „გამოკვეთილი ლიდერი" ნინო ბურჯანაძე გახლავთ, ადამიანი, რომელსაც არც საკუთარი წარსულის რცხვენია და არც საკუთარი მამის წარსულისა. რაც მთავარია, მას ხალხის ნდობა დაკარგული აქვს. თუმცა ბურჯანაძეს რას ვერჩით, როცა პატარ-პატარა პარტიების თავმჯდომარეებს მის გვერდით ყოფნა ლამის ეამაყებათ. ძიძიგურმა, დავითაშვილმა, სანიკიძემ, ბესელიამ და კიდევ სხვა მსგავსმა კომპონენტებმა ყველაფერს ხაზი გადაუსვეს. საბოლოოდ კი მოხდა ისე, რომ **25 ნოემბერს პარლამენტის წინ შეკრებილი ოპოზიცია ხელისუფლებამ ლამის იმავე დანიშნულებით გამოიყენა, რასაც 80 პორტუგალიელ ლამაზმანს სასტუმრო „ტიარაში" უპირებდა...**

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „ტიარაში" საქმის ბოლომდე მიყვანა ხელისუფალთ შეწუხებულმა სარკოზიმ არ აცალა, ოპოზიციასთან მიმართებაში კი ჟინის მოსაკლავად მას ხელის შემშლელი აღარავინ ჰყავს.

და ბოლოს; საქართველოს პრეზიდენტი არც მალავს, რომ აქვს პრეტენზია, იყოს, სულ ცოტა, თანამედროვე დავით აღმაშენებელი... არადა, დიდი მეფე, როგორც ცნობილია, არც შიდა მტრებს სწყალობდა და არც უხეირო ქვეშევრდომებს — იგი მათ ძელზე გასმით სჯიდა... **სააკაშვილს რომ აღმაშენებლის სიდიადის მისხალი მაინც ეცხოს, მას ამდენი ძელზე გასასმელი და შაყსაკრავი არც ქვეშევრდომთა შორის ეყოლებოდა და ოპოზიციონერ ლიდერთა დიდი ნაწილიც უკვე კაიხნის შაყნაკრავი იქნებოდა.**

**უჩა შავდია**



## მოკლედ

### სპეციალური უფროს-უმცროსობა

**თავდაცვის სამინისტროში სპეციალური წოდებები მოიფიქრეს. უმცროსი სპეციალური წოდება მიენიჭებათ რიგითებს, უმცროს სერჟანტს, სერჟანტს, უფროს სერჟანტს და ზემდეგს. საშუალო სპეციალური წოდება – უმცროს ლეიტენანტს, ლეიტენანტს, უფროს ლეიტენანტს და კაპიტანს, ხოლო უფროსი სპეციალური წოდება კი მაიორს, ვიცე-პოლკოვნიკს და პოლკოვნიკს.** ამ სიახლეს უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს — თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეებისა და სამართალდამცავი ფუნქციების მქონე პირთა კარიერული სისტემა უნდა გამიჯნოს. გარდა ამისა, სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე სამხედრო პოლიციის თანამშრომელზე მოქმედი სოციალური გარანტიები გავრცელდება.

### წყალი ძვირდება

**წყლის ტარიფი 75 თეთრით იზრდება. თუკი ქამდე ერთ სულ მოსახლეზე გადასახადი 2,4 ლარს შეადგენდა, ამიერიდან 3,15 ლარის გადახდა მოგვიწევს.** შესაბამისი თხოვნით მარეგულირებელს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" მიმართა. მიზეზად კი ჩადებული ინვესტიციები დაასახელა. სემეკ-მა, თავის მხრივ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შეისწავლა და ტარიფის გაზრდის საფუძვლიანობას დაეთანხმა. იმ აბონენტებს, რომლებსაც წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, გაძვირებული ტარიფის გადახდა არ მოუწევთ. გაზრდილ ტარიფს მოსახლეობის ის ნაწილი გადაიხდის, რომელსაც წყალი 24-საათიანი რეჟიმით მიეწოდება. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ისევ წყლის გადასახადის ნახევარს გადაიხდის.

### ვიქირავებთ ბევრ ბინას ქუთაისში...

**რა ჯდება ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობა ოფიციალურად არ გვიმხელენ, კულუარული ინფორმაციით კი, ამ საქმეზე 80–100 მილიონი დაიხარჯება.** პარლამენტის შენობის გარდა, ქუთაისში დეპუტატებისთვის უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლებიც, სადაც ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრეები ერთად და ბედნიერად იცხოვრებენ. აშენებამდე კი ზოგიერთი დეპუტატი უკვე ეძებს ბინას ქუთაისში. ზოგი ყიდვას აპირებს, ზოგიც — დაქირავებას. მართალია, ჯერ არავინ იცის, მოხვდებიან თუ არა ისინი მომავალ პარლამენტში, მაგრამ თუ ვერ მოხვდებიან, ბინა მაინც შერჩებათ. ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობის დასრულება 2012 წლისთვის იგეგმება. როგორც ცნობილია, შენობაში დაახლოებით 217 ოთახი იქნება.

### სააკაშვილი ლუკაშენკოს ოპოზიციის აქციებს ჩაახშობინებს

**ბელარუსის გაერთიანებული სახალხო პარტიის ვებ-გვერდი იუწყება, რომ საქართველოსა და ბელარუსის ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკებების დროს, სააკაშვილის გარემოცვამ ბელარუსს ოპოზიციასთან ბრძოლის მეთოდებზე კონსულტაციები შესთავაზა.** როგორც ვებ-გვერდზეა აღნიშნული, ამ ინფორმაციის წყარო „ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატია. მოგვიანებით ეს ინფორმაცია ბელარუსის ხელისუფლების ადმინისტრაციის წყარომაც დაადასტურა". ამ წყაროს ცნობით, „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარების სანაცვლოდ, ქართველი ექსპერტები მზად არიან, ლუკაშენკოს ქუჩის საპროტესტო აქციების ჩახშობის თაობაზე ღირებული რჩევები მისცენ".

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**საქინფორმის ყველა პროგნოზი ამ აქციის შესახებ გამართლდა: ჩვენი სააგენტოს მიერ ქართული ოპოზიციის ლიდერების, ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა, ინტელიგენციის, სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენელთა და რიგით მოქალაქეთა გამოკითხვის, აგრეთვე, მცირე ანალიტიკური წერილების წყალობით („ფქვილის პრინცესას ვნებანი“, „თბილისი 25 ნოემბრის მოლოდინში გაირინდა“) რუსთაველის პროსპექტზე გამართული მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი არ გამხდარა.**

# სახალხო იმედგაცრუება

თუ ერთ-ერთ ზემოთ დასახელებულ პუბლიკაციაში „ვარდების რევოლუციის“ მეშვიდე წლისთავი, 23 ნოემბერს საზეიმო ღონისძიებების ჩაუტარებლობის გამო, ჩვეულებრივ წლისთავს შევადარეთ (მართლმადიდებლურ ტრადიციას — გარდაცვლილის სულის მოხსენიებას ერთი წლის თავზე), მაშინ 25 ნოემბრის წარმომადგენლობითი სახალხო კრების სრული ფიასკო შეიძლება შევადაროთ ოპოზიციის დაკრძალვას. დიახ, პარლამენტის შენობის წინ ლამის დაწყებისთანავე დამთავრებული სახალხო კრება იყო არა იმდენად ხელისუფლების მნიშვნელოვანი გამარჯვება, რამდენადაც ოპოზიციის გამანადგურებელი კრახი! ამრიგად, 2010 წლის 25 ნოემბერს სრული იმედგაცრუებით დასრულდა ოპოზიციურ „შერკინებათა“ მესამე დამაგვირგვინებელი ეტაპი:

**პირველი ეტაპი, როგორც გახსოვთ, ჩავარდა 2007 წლის ნოემბერში. მაგრამ ხელისუფლებას მაშინ ნერვებმა უმტყუნა და დაარბია მომიტინგენი, რამაც ოპოზიციის წისქვილზე დაასხა წყალი: თავისი დაყენებული კაცის არადემოკრატიული მოქმედებით აღშფოთებულმა ამერიკამ აიძულა სააკაშვილი, გადამდგარიყო** და დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. შეგახსენებთ: **პირველმა ეტაპმა 300.000-მდე მოქალაქე გამოიყვანა ქუჩაში;**

**მეორე ეტაპზე, 2009** წლის ზაფხულში, ხელისუფლებამ გაითვალისწინა თავისი შეცდომა და არ „დაეხმარა“ მოწინააღმდეგეს. თვალის არიდების ტაქტიკა, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია, წარმატებული გამოდგა და გრანდიოზული აქცია დასრულდა მხოლოდ გრანდიოზული მსვლელობით „დინამოს“ სტადიონიდან წმინდა სამების საკათედრო ტაძრამდე, საქართველოს პატრიარქთან მისვლით. **აქციის მთავარი ორგანიზატორების — ძმები გაჩეჩილაძეების პროვოკაციულმა მცდელობამ — აქციის შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-თვის დაეკისრებინათ, ვისაც მიმართეს თხოვნით სათავეში ჩადგომოდა ხელისუფლების დამხობის აქციას, დიდად შეარყია ხალხის ნდობა ოპოზიციისადმი.** სავსებით შესაძლებელი იყო, უარყოფითად ემოქმედა მართლმადიდებლურ რწმენაზეც, მაგრამ, საბედნიეროდ, ბრძენი ქართველი ხალხი დროზე მოეგო გონს, სათანადოდ შეაფასა შემდგომი ვითარება და თავისი პატრიარქის სიტყვები. **მეორე ეტაპმა, სახელწოდებით „საკნების“ აქცია, 200.000-ზე მეტი მოქალაქე გამოიყვანა ქუჩაში;**

**მესამე ეტაპი 2010 წლის 25 ნოემბერს გაიმართა. ხელისუფლებამ კვლავ გამოიყენა თვალის არიდების ტაქტიკა და გაიმარჯვა, თუმცა დასამარცხებელი, კაცმა რომ თქვას, არავინ იყო: მრავალრიცხოვან ჟურნალისტებთან და არანაკლები რაოდენობის სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შსს-ს თანამშრომლებთან, უსაქმურებთან და დელეგატებთან ერთად პარლამენტის წინ შეიკრიბა 20.000-ზე ცოტა მეტი მოქალაქე, რომლებიც აქციის დაწყებიდან 3 საათის შემდეგ, საქმე რომ არა ჰქონდათ, დაიშალნენ.**

სრულიად სახალხო კრების (როგორც მათ წარმოედგინათ) ორგანიზატორებმა „ინგლისურად“ — დაუმშვიდობებლად — ისე მიატოვეს შეკრებილი მოქალაქეები, რომ არც უთქვამთ, რის გაკეთებას აპირებენ შემდგომ და როგორი გეგმები აქვთ შემუშავებული. **საქმე შემოიფარგლა ოთხი გადაწყვეტილების მიღებით: გაუქმებულად ჩაითვალა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, უნდობლობა გამოუცხადეს მოქმედ ხელისუფლებას, „სახალხო კრება“ საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ დაამტკიცეს და გამოაცხადეს სრულიად სახალხო ეროვნული დაუმორჩილებლობა, რამაც, როგორც ამბობენ, ძალიან გაახალისა სააკაშვილი, რომელიც ბათუმში იმყოფებოდა.**

შემთხვევითი არ არის, რომ ბათუმში გამართულ ოპერის ვარსკვლავების კონცერტს პლასიდო დომინგოს მონაწილეობით ესწრებოდა არა მარტო პრეზიდენტი პირველ ქალბატონთან ერთად, არამედ პატრიარქიც და მმართველი ელიტა სრული შემადგენლობით: პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტარებთან ერთად, მთავრობა, „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობა და გუბერნატორები. „ეს ჩვენ ვართ ბრწყინვალენი და მრავალნი, ისინი კი - ხელმოცარულნი და ცოტანი. ამოირჩიეთ!“ — თითქოს მიმართა სააკაშვილმა რუსეთს, აშშ-სა და ევროპას.



**შემთხვევითი არ არის, რომ აქციას არ დაესწრნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ, ასე გამოეხატათ სოლიდარობა**

**შემთხვევითი არ არის, რომ აქციას არ დაესწრნენ ის პოლიტიკური ძალებიც კი, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ, ასე გამოეხატათ სოლიდარობა. არც დიდი სტაჟის მქონე ლეიბორისტები მისულან და არც აქციამდე ერთი დღით ადრე შექმნილი „ქართული პარტია“.**

საზოგადოებრიობას კი უამრავი შეკითხვა დაუგროვდა: განა სერიოზული იყო აქციის დღის მეორე ნახევარში, 15:00 საათზე, დანიშვნა და არა დილადრე? მით უფრო, რომ წლის ამ დროს მალე ღამდება? ვის გაუგონია, სასიკეთო და ბედისმიერი საქმის საღამოჟამს დაწყება?! განა სერიოზულია, არ გქონდეს მოქმედების ერთიანი გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მოქმედების განვითარების მომიტინგეთა სავარაუდო რაოდენობიდან გამომდინარე ყველა ვარიანტი?

**განა სერიოზულად შეიძლება ჩაითვალოს მთავარი ორგანიზატორების თავის მართლება: „ჩვენ მზად ვიყავით გადამჭრელი ღონისძიებებისთვის, მაგრამ თქვენ ძალიან ცოტანი მოხვედით!“ (?)**

განა სერიოზულია, თადარიგი არ დაიჭირო დელეგატების მისაღებად, რომლებმაც ძლივს ჩამოაღწიეს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან? (მათმა რაოდენობამ 5.000-ს მიაღწია). **როგორ შეიძლებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში მათი დატოვება რუსთაველის პროსპექტზე, თანაც ცივ საღამოს, ისე, რომ არც ღამის გასათევი ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილნი, არც შინ დაბრუნების საშუალება ჰქონოდათ? ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი, ღამით ქუჩაში დარჩენილი ასი ადამიანიდან ვინმეს რაიმე რომ შემთხვეოდა?**

ვინ დათვლის შეკითხვებს... მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველა საიდუმლო, ადრე თუ გვიან, გაცხადდება. ამიტომ ადამიანებს უჩნდებათ სხვა, ბრალდების მსგავსი შეკითხვები:

**არავისთვის საიდუმლო არ არის ნინო ბურჯანაძის შეზღუდული პოტენციალი. ძნელია დისკრედიტაცია უმაღლეს ხელისუფლებაში თავისი მოღვაწეობით ისედაც დისკრედიტირებული პიროვნებისა.**

ვის, გარდა ხელისუფლებისა, სჭირდებოდა დისკრედიტაცია საზოგადოებაში ისეთი პატივცემული პიროვნებების, როგორებიც არიან **ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, გურამ ფირცხალავა, სოსო ჯაჭვლიანი?! არადა, „ოპოზიციური“ ლიდერების მიერ ამ ადამიანების პირადი ავტორიტეტის გამოყენება მათი დისკრედიტაციის ისეთივე მცდელობა იყო, როგორც 2009 წელს პატრიარქისა.**

ბურჯანაძის შეზღუდული პოტენციალი არავისთვის საიდუმლო არ არის. მაგრამ, ნუთუ აწ გარდაცვლილ ჟვანიასთან და ცოცხალ სააკაშვილთან ამდენი წლის თანამშრომლობით ვერ აითვისა მან ამგვარი აქციების გამართვის პიარტექნოლოგიების ელემენტარული საფუძვლები? ნუთუ იმდენად სულელია, საკუთარ პოლიტიკურ განაჩენს თვითონ მოაწერა ხელი და პოლიტიკურ გვამად იქცა?!

ბურჯანაძის შეზღუდული პოტენციალი ახლა უკვე ნათელია. მაგრამ... იქნებ, იგი ვინმეს მითითებით მოქმედებდა? თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ხელისუფლებისთვის იყო მომგებიანი, პრეზიდენტ სააკაშვილის მითითებით ხომ არა? და თუ 25 ნოემბრამდე საზოგადოებაში ჩუმად საუბრობდნენ საქართველოს შს მინისტრის — მერაბიშვილის გულთბილ დამოკიდებულებაზე ოპლიდერ გუბაზ სანიკიძესთან, დღეს ამგვარი ბრალდებები უკვე ბურჯანაძის მისამართითაც ისმის... **გამორიცხული არ არის, რომ მიშამ ნინოს ბათუმიდან დაურეკა, კონცერტზე მიიწვია და ისე, სასხვათაშორისოდ, შესთავაზა, რომ ჭკვიანად მოიქცეს და ხალხი სახლებში გაუშვას, არადა, დააპატიმრებენ მამამისს, ანზორს, და ციხეში აყურყუტებენ მანამდე, სანამ ნინო არ გადაიხდის იმდენსავე დოლარს, რამდენი ხორბლის მარცვალიც დაუფქვია თავისი ცხოვრების მანძილზე პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის ექს-პრეზიდენტ ანზორ ბურჯანაძეს!**

**საქინფორმი**



**P.S.** ღამით დედაქალაქის მერიის მუშებმა დაშალეს სცენა პარლამენტის შენობის წინ. კარვებში დარჩენილ ერთ მუჭა მომიტინგეებთან მივიდნენ ნინო ბურჯანაძე და კახა შარტავა... „ჩვენ აქედან წასასვლელი ადგილი არსად გვაქვს!“ – უთხრეს აქციის მონაწილეებმა. პასუხად ნინომ და კახამ მოუწოდეს, არ დაეცნენ სულით და დაჰპირდნენ, რომ თუ მეორე დღეს, 14:00 საათზე, ხალხის საკმაო რაოდენობა შეიკრიბებოდა, „საბოლოოდ დაასრულებენ ამ ხელისუფლებას“(?!).

როგორც ჩანს, ოპლიდერებს, რომლებიც გაერთნენ „არითმეტიკით“ და მიტინგოერთეულების დათვლით, დაავიწყდათ, რომ **ამგვარ ვითარებაში ყველაფერს წყვეტს კრების სულისკვეთება და არა შეკრებილთა რაოდენობა! კრების სულისკვეთება კი მის ლიდერებზეა დამოკიდებული: 2007 და 2009 წლებში ლიდერების განკარგულებაში 200-300 ათასი მომხრე იყო, მაგრამ მათ თავიანთი უნიჭობით, შიშითა და გაუბედაობით ეს შესაძლებლობა წყალს გაატანეს...**

„ვნახოთ, როგორც თქვა ბრმამ“ — ამ სიტყვებით დაასრულა საქინფორმმა თავისი ანალიტიკური პუბლიკაცია „თბილისი 25 ნოემბრის მოლოდინში გაირინდა“. 25 ნოემბერს კი აღმოჩნდა, რომ ბრმა ბევრ თვალხილულზე უკეთ ხედავს. ამიტომ ვაგრძელებთ სიცოცხლეს და წინ ვიყურებით, რაც არ არის ოლი: უკვე გაზრდის წლის საგაზაფხულო ტარიფი, ძვირდება მეტროთი მგზავრობა და, ხელისუფლება ჰპოვის გადასახადსაც თუ დაანესებს, ასეთი ლიდერების შემხედვარე, ქართველი ხალხი რუსთაველის პროსპექტზე აღარ გამოვა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაჟურნაზეებიდან



**დავით მაღრაძე, „დაიცავი საქართველოს“ თავმჯდომარე, პოეტი:**

ტენდენცია, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, პოლიტიკოსები მხოლოდ უნდობლობას იმსახურებენ, საზოგადოება კი ანგელოზების საკრებულოა, უნდა დასრულდეს. რეალისტები უნდა ვიყოთ და ბრძოლაში ერთმანეთი არ დავიწუნოთ. პოლიტიკა საზოგადოებისგან განცალკევებით არ არსებობს, პოლიტიკოსები ჩვენნაირი ხალხია, ცოდვა-მადლით სავსენი, რომლებმაც სამოღვაწეოდ პოლიტიკური ასპარეზი აირჩიეს.

*„ყველა სიახლე“*



**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

სააკაშვილს განსაკუთრებული მტრობა აქვს ექიმების მიმართ. როგორც ჩანს, ექიმებმა სააკაშვილს სათანადოდ ვერ უმკურნალეს, ამიტომაც გაყიდა ფსიქიატრიული და, ზოგადად, ექიმებს დაერია. ამასთანავე, არ დაგავიწყდეთ, რომ ხელისუფლებას ფული სჭირდება და ბიუჯეტს საპროცესო გარიგებით შემოსული თანხით ავსებს.

*„ყველა სიახლე“*



**ნიკა გილაური, პრემიერ-მინისტრი:**

უცხოური ინვესტიციების კუთხით მიმდინარე წლის საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მესამე კვარტლის მონაცემებზე, რომელსაც „საქსტატი“ მიმდინარე კვირის ბოლომდე გამოაქვეყნებს. ჩვენი პროგნოზით კი, მომავალ წელს საქართველოში 900 მილიონიდან 1 მილიარდ აშშ დოლარამდე ინვესტიცია შემოვა.

*„პირველი“*



**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

საქართველო აღარ არის ნატოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების მთავარი თემა, ჩვენ შეიძლება ხურდად დავჭირდეთ ვინმეს. ჩვენ ვართ ჩიხში მოქცეული, მიყრუებული პროვინცია. საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო ფუნქციადაკარგული ქვეყანაა და ეს არის მიხეილ სააკაშვილის ბრალი... ახლა გაიძახიან, არ გვეგონა, სულელი თუ იყოო. კი მაგრამ, ტელევიზორში არ ჰყავდათ ნანახი?

*„ყველა სიახლე“*



**ირინა ფუტკარაძე, არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება „სამოქალაქო განვითარებისთვის“:**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამსახურიდან უკვე განთავისუფლებულია 6700 სამედიცინო პერსონალი, 35 წელს გადაცილებული. ესენი არიან ექიმები, ექთნები, სანიტრები, ადმინისტრაციის თანამშრომლები. მე ახლა თბილისის მონაცემებს გეუბნებით. აქედან, დაახლოებით 2300-მდე პოლიკლინიკებიდან და ამბულატორიული ცენტრებიდანაა გაშვებული, 200-მდე — სასწრაფო სამედიცინო სამსახურიდან, დანარჩენი — საავადმყოფოებიდან და კლინიკებიდან.

*„ალია“*

# ეუთოს საიუბილეო სამიტი ასტანაში — ღრმად გათხრილი სამარე კუზიანისთვის




**საბჭოთა კავშირის რღვევა თავის დროზე არც თუ უსაფუძვლოდ მიაწერეს ამერიკის პრეზიდენტ როლანდ რეიგანსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერს. არადა, ამ რღვევას საფუძველი ჩაეყარა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში 1975 წელს, უმაღლესი დონის სამიტზე, დოკუმენტით „ჰელსინკის საბოლოო აქტი“ და მის საფუძველზე წარმოიშვა გაერთიანება, რომელსაც წლების შემდეგ „ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზცია“ (ეუთო) ეწოდა!**

1 დეკემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ეუთოს უმაღლესი დონის საიუბილეო სამიტი ეწყობა, სადაც პრეზიდენტები: ობამა და მედვედევი ერთ კვირაში უკვე მესამედ ორი დღის განმავლობაში ისხდებიან ერთად და ამჯერად საქართველო უკვე ღიად იქნება დღის წესრიგში. მაგრამ ვიდრე ამაში გავერკვეოდეთ, მოდით, კვლავ საიუბილეო სამიტის საფუძვლებს გადავავლოთ თვალი.

**ევროპული საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპი ჰელსინკის საბოლოო აქტში და, განსაკუთრებით, 1992 და 1994 წლების სამიტებზე ძალიან მწვავედ დადგა. მაგრამ შორეულ 1975 წელს, ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უმძლავრესი სუპერსახელმწიფო, საბჭოთა კავშირი, თიხის ფეხებზე იდგა და ბანქოს ხუხულასავით ჩამოიშლებოდა!**

ამ აქტში იყო მესამე ნაწილი, ანუ როგორც მაშინ უწოდეს, „მესამე კალათა“, რომელიც მთლიანად ადამიანის უფლებებს ეხებოდა და პირველად საჯაროდ დადანაშაულდა საბჭოთა კავშირი გაეროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შეგნებულ იგნორირებაში. სხვა უამრავ დარღვევათა შორის დაფიქსირდა საბჭოთა ანტისემიტური პოლიტიკით დაჩაგრული ეთნიკური ებრაელების უფლება — ეცხოვრათ იქ, სადაც მათ სურდათ. ასევე, დაკანონდა „ოჯახთა გაერთიანებაც“, ანუ ვისაც უცხოელი მეუღლე ჰყავდა, შეეძლო დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი. ამ ორი ახალი უფლების გამოყენებით კი იმ დროს დაახლოებით სამასმა ათასმა საბჭოთა მოქალაქემ ისარგებლა (მათ შორის მეც, დავქორწინდი რა ქართული წარმოშობის ბრიტანეთის მოქალაქეზე და დიდი წვალებით, რისთვისაც მთელი ორი წელი დამჭირდა, დავტოვე „ბოროტების იმპერია“).

ამერიკაში ამ ლამაზი ეიფორიის ტალღაზე პრეზიდენტი ხდება პროტესტანტული ეკლესიის მღვდელი, პოლიტიკაში სრულიად უცნობი იდეალისტი ჯიმი კარტერი, რომლის მთავარი მესიჯი მსოფლიოში ადამიანის უფლებათა ზეობაა. **გაპრეზიდენტების შემდეგ იგი, პირველ ყოვლისა, თავის ახალ სახელმწიფო მდივანს აგზავნის მოსკოვში და გულუბრყვილოდ საბჭოთა ხელისუფლებისგან „კატეგორიულად“ მოითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვას და ქვეყანაში დემოკრატიის დაფუძნებას! ამას ბრეჟნევმაც ბოლმით „უპასუხა“ – მოსკოვში, პეტერბურგსა და კიევში ბევრი დისიდენტი დააპატიმრეს, ხოლო თბილისში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც მიაყოლეს!** ჯიმი კარტერს თუ რად დაუჯდა თავისი გულუბრყვილო იდეალიზმი, სპარსელებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს ამერიკის საელჩოს მთელი შემადგენლობის 444-დღიანი დატყვევებით, რასაც რონალდ რეიგანის აგრესიული გაპრეზიდენტება მოჰყვა.

**შემდეგი სამიტი 1990 წლის 19-21 ნოემბერს შეიკრიბა პარიზში, სადაც კომუნისტური იმპერიის ნგრევის ხმაურიან ფონზე დაბნეულმა დელეგატებმა მიიღეს „პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის“, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, აღარავის ახსოვს. არადა, იმ დღეებში საქართველოს უკვე ეროვნული ხელისუფლება ჰყავდა, ხოლო სადღაც ქვეყნის სიღრმეში პირველი სეპარატისტული ომი მზადდებოდა.**

კომუნისტური იმპერიის ნგრევას მოჰყვა სისხლიანი სამოქალაქო ომები: ყარაბახში, აფხაზეთში, ყოფილ სამხრეთ ოსეთში, დნესტრისპირეთში და ა.შ. 1992 წლის გაზაფხულზე სამიტი სიმბოლურად კვლავ ჰელსინკში შეიკრიბა და გამოაცხადა, რომ „ჰელსინკის საბოლოო აქტი“ ძალაშია და არავითარი ახალი სახელმწიფოების წარმოქნასა და არსებული საზღვრების შეცვლას ევროპა არ დაუშვებს! ეს კარგად და ლამაზად ჟღერდა მაშინ, მაგრამ სამოქალაქო ომები სეპარატისტებთან უკვე ღია ფაზაში იყო გადასული.

**სწორედ არსებული საზღვრების ურღვევობის პრინციპიდან გამომდინარე, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა ავტომატურად მიეღოთ ეუთოში, რაც ცოტა გაუგებარს ხდის ტერმინ „ევროპას“, თუნდაც ცენტრალური აზიის ქვეყნების წევრობასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, მაშინ, 1992 წელს, შუა აზიის რესპუბლიკები თვითონ აყენებდნენ საკითხს, თუ რანაირად შეიძლება შევუთანხმოთ ყურანს ეუთოს მთავარი საფუძველი – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ბიბლიის ათ მცნებაზეა დაფუძნებული და ცალკე ორგანიზაციის შექმნაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს არ განხორციელდა.**

საბჭოთა კავშირის ნგრევა თითქოს საკმარისი არ ყოფილიყო, შუა ევროპაში ხმაურით დაინგრა კიდევ ერთი კომუნისტური იმპერია, ანუ, როგორც დღეს უწოდებენ, „კონფედერაცია“ — იუგოსლავია. ევროპისთვის ეს განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა, ვინაიდან ევროპაში ომი, როგორც ყოველთვის, კვლავ ბალკანეთში დაიწყო. ბოსნიის ომი ყველაზე სისხლიანი და ხანგრძლივი აღმოჩნდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. **1994 წელს უმაღლესი დონის სამიტი ამჯერად ბუდაპეშტში იკრიბება, მაგრამ უშედეგოდ. ბოსნიის ომი მხოლოდ ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის — ბილ კლინტონის აქტიური ჩარევით დამთავრდა, როდესაც მან მოწინააღმდეგე მხარეები დეიტონში ამერიკის სამხედრო ბაზაზე დასვა და მანამდე არ გაუშვა, ვიდრე ომის დამთავრებაზე არ მოაწერინა ხელი. ასე რომ, ევ-**

▶

## მოკლედ

### პაკისტანში ქართული თვითმფრინავი ჩამოვარდა

**ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ადასტურებს ინფორმაციას, რომ პაკისტანში ჩამოვარდნილი სატვირთო თვითმფრინავი ქართულ კომპანია „სანვეის აირლიანსს“ ეკუთვნოდა. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ავიაკატასტროფის მიზეზები ამ ეტაპზე უცნობია.** კომპანია „san veis“-ის კუთვნილი სატვირთო თვითმფრინავი IL-76 რეისს პაკისტანის ქალაქ ყარაჩის აეროპორტიდან სუდანის ქალაქ ხართუმის მიმართულებით 28 ნოემბერს, თბილისის დროით 00:45 საათზე ასრულებდა. აფრენიდან დაახლოებით სამ წუთში თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. დაიღუპა ეკიპაჟის 8 წევრი, მათ შორის უკრაინის შვიდი და რუსეთის ფედერაციის ერთი მოქალაქე. ხმელეთზე, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ოთხი ადამიანი დაიღუპა.

### სახელმწიფო ცხოვრებას იმარტივებს

**სახელმწიფოს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პროცესი უმარტივდება. ამასთან დაკავშირებით, ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის.** კანონპროექტის თანახმად, თუ სახელმწიფოს ან თვითმმართველ ერთეულს ქონებრივი ზიანი მიადგა, თავდაპირველად ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს. ამის შემდეგ კი ქონების მფლობელი ორგანო ან თანამდებობის პირი გამოსცემს სამართლებრივ აქტს ზიანის ანაზღაურების შესახებ და სამართალდამრღვევს გაუგზავნის. ზიანის ანაზღაურების ვადა 30 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი თანამდებობის პირის მიერ აქტით დადგენილ ვადაში არ აანაზღაურებს ზიანს, პროცესში სააღსრულებლო სამსახური ჩაერთვება.

### რუსეთმა მხარი დაგვიჭირა

**რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს განაცხადს, 2015 წელს საქართველოში ევროპული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამართვის შესახებ.** ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესთან გია ნაცვლიშვილთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ალექსანდრ ჟუკოვმა განაცხადა. ნაცვლიშვილისა და ჟუკოვის შეხვედრა ბელგრადში გაიმართა. ჟუკოვმა აღნიშნა, რომ სპორტი ყოველთვის პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს. 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ადგილი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ევროპული ასოციაციის გენერალური ასამბლეა ადგენს. ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის სურვილი, თბილისის გარდა ჩეხეთის ქალაქ ბრნოც გამოთქვამდა.

### შარტავა რამდენიმე დღეში გაარკვევს

**როგორც „ფორუმის“ ლიდერმა კახა შარტავამ პარლამენტის შენობის წინ განაცხადა, გააგრძელებს თუ არა ფორუმი წარმომადგენლობით სახალხო კრებასთან თანამშრომლობას, რამდენიმე დღეში გადაწყდება.** „მესმის თქვენი მზაობა და მოთხოვნა, თუმცა ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად დღეს ხალხის საკმარისი რაოდენობა რა არის. გთხოვთ, ახლა მშვიდობიანად დაიშალოთ, რადგან კონსულტაციების შემდეგ, რამდენიმე დღეში გადავწყვეტთ რას გავაკეთებთ და როგორ ვიმოქმედებთ“, — მიმართა შარტავამ საკუთარ მხარდამჭერებს. რაც შეეხება წარმომადგენლობითი სახალხო კრების ორგანიზატორებთან თანამშრომლობას, შარტავას თქმით, „თუ არის განსხვავებული შეხედულებები, მუშაობა ცალ-ცალკე გაგრძელდება“.

საქართველო

**გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net**

**ევროპა 1996 წელს ლისაბონში შეიკრიბა და შვებით ამოისუნთქა.**

ეს ორწლიანი შუალედებით შეკრებები დამთავრდა და დაღლილი ევროპა უმაღლეს დონეზე კვლავ მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1999 წელს, სტამბულში იკრიბება. სწორედ მაშინ მოხდა ნატოს საჰაერო ძალების მიერ სერბეთის დაბომბვა და ეს „გენოციდის“ წინააღმდეგ ჩატარებულ პირველ სამხედრო აქციად ჩაითვალა, რასაც წლების შემდეგ მოჰყვა კოსოვოს სეპარატისტული რეჟიმის საერთაშორისო აღიარება და ცუდი პრეცედენტის შექმნა. ამ პრეცედენტმა კი პირველად დაარღვია ჰელსინკის საბოლოო აქტის და 1992 წლის მისი თანმდევი დოკუმენტების სამართლებრივი საფუძვლები.

**ეს სამიტი ჩვენთვისაც გადამწყვეტი აღმოჩნდა – აქ კატეგორიულად მოითხოვეს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტ ბილ კლინტონს, ხოლო რუსეთის პრეზიდენტი ელცინი უკვე აღარ იყო იმ ფორმაში, რომ ამას შეწინააღმდეგებოდა. მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ისტორიული სამიტის შედეგების გადახედვას სწორედ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი შეუწყობდა ხელს და თავისი უჭკუო ავანტიურიზმის წყალობით რუსეთის გასამმაგებულ ჯარებსა და ბაზებს კვლავ საქართველოში დააბრუნებდა!**

უკვე თერთმეტი წელია, ევროპის უსაფრთხოებასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებით უმაღლესი დონის სამიტი არ გამართულა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, რომელიც იანვრიდან როტაციის წესით ეუთოს უხელმძღვანელებს, ყველაფერი გააკეთა, რომ ასეთი სამიტი სწორედ მის ახლადაშენებულ დედაქალაქში გამართულიყო და ევროპის ყველა პირველ პირთან ერთად მას ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც დასწრებოდა; და მან ამას მიაღწია. ხოლო ამ სამიტს საიუბილეო უწოდეს, ვინაიდან ზუსტად 35 წელი შესრულდა ჰელსინკის საბოლოო აქტის მიღებიდან, რაც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი პოლიტიკური დოკუმენტი იყო და რომელმაც ისტორიის მსვლელობა შეცვალა.

ამ საიუბილეო სამიტის ფარგლებში 26-28 ნოემბერს ასტანაში გაიმართა მასმედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კონფერენცია. აქ განიხილეს, ამ თემასთან დაკავშირებით თუ რა ცვლილებები მოხდა ევრაზიაში ბოლო სამიტის შემდეგ. **როგორც ცნობილია, საქართველო ამ სფეროშიც აჩქარებული სვლით უკან-უკან წავიდა. თუ ათწლეულის დასაწყისში საქართველოში ოპოზიციური ელექტრონული მედია არსებობდა (მაგალითისთვის საკმარისია თუნდაც „რუსთავი 2“), ამავე ტელეარხის მიერ აქტიურად მხარდაჭერილი და „რევოლუციად“ მონათლული გადატრიალების შემდეგ საქმე სულ უკან წავიდა. სააკაშვილის მმართველობა დაიწყო თავისუფალი ტელევიზიების დახურვით, ხოლო 2007 წელს მოხდა ისტორიაში უნიკალური მოვლენა — ტელეარხის ბარბაროსული დარბევა.**

როგორც შედეგი, **დღევანდელ საქართველოში დამოუკიდებელი ტელევიზია აღარ არსებობს, ისევე, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო და ა.შ.**

რაც შეეხება პრესას, თუ ათწლეულის დასაწყისში პრაქტიკულად ყველა გაზეთი შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ იყო განწყობილი, დღეს მხოლოდ ორიოდე გაზეთი თუ დარჩა ოპოზიციურად განწყობილი. მათაც ხელს არ ახლებენ იმის გამო, რომ შემდეგ სააკაშვილმა თავი მოიწონოს სტრასბურგსა თუ ბრიუსელში, „ნახეთ როგორ მლანძღავენ, მე კი ამას ვყლაპავ ჩემი ზოგადევროპული პრინციპებისადმი ერთგულების გამოო“! მაგრამ დღეს ამის უკვე აღარავის სჯერა და ეს ღიად უთხრეს მას ლისაბონის ისტორიულ სამიტზე.

თუ ლისაბონის სამიტს ვახსენებთ, სულ უფრო აქტუალური ხდება ობამა-სააკაშვილის შეხვედრა-არშეხვედრის ფაქტი. უკვე გაირკვა, რომ, ვინაიდან ამერიკას ჯარები გაჰყავს ავღანეთიდან და მისი ჩანაცვლება უნდა, ხოლო დასავლეთ ევროპა თავისი ბიჭების სასაკლაოზე გაგზავნის კატეგორიული წინააღმდეგია, სააკაშვილს, როგორც ჩანს, შეუთავაზებია ავღანეთში თავისი სამხედრო კონტინგენტის, რომელიც სიდიდით უკვე მეორეა ამერიკის შემდეგ (და ეს საქართველოს ზომის ქვეყნის პირობებში!), გაორმაგება თუ გასამმაგება; ოღონდ ერთი პირობით — ობამას უნდა ეკადრა და მისთვის საჯაროდ ხელი ჩამოერთმია. **ობამა, რომელიც, უკვე ორი წელია, კატეგორიულ უარს ამბობს სააკაშვილთან შეხვედრაზე (და მართალიც არის), კომპრომისზე წავიდა — დასთანხმდა ფოტოზე, ოღონდ — არა საჯაროდ. თუ სად გადაიღეს ეს სამი გამოქვეყნებული ფოტო, უცნობია, ოღონდ არავითარი ვიდეომასალა არ არსებობს. და ეს საკმაოდ უცნაურია, ვინაიდან, თუ ასეთი შეხვედრა ნამდვილად შედგა** (რაზეც საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს საზოგადოებაში), **მაშინ მისი დაწყების მომენტი მაინც უნდა ყოფილიყო პრესისთვის ღია, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული! ამიტომ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფოტოების მიღმა არაფერი იმალება, თორემ ასეთი გასაიდუმლოება არავის დასჭირდებოდა! თან არც ერთ დასავლეთევროპულ თუ ამერიკულ გაზეთს ასეთი შეხვედრა არ დაუფიქსირებია.**



არ ვიცით, რამდენი მილიონი დაუჯდა სააკაშვილს იმის მიღწევა, რომ ევროპარლამენტში მისთვის მოესმინათ, მაგრამ საინტერესო იყო მისი ტყუილები რუსეთთან მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით. ეს ზუსტად იმ დროს, როდესაც თბილისში მორიგი ანტირუსული პროვოკაციები ტარდებოდა: მაგალითად, იმართებოდა „ჩერქეზ ხალხთა გენოციდის კონფერენცია“, პარლამენტმა კი შექმნა დროებითი კომისია, რათა, მათი აზრით, ჩაშალონ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოჭში.

ევროპარლამენტში გამოსვლას დიდი აპლოდისმენტები მოჰყოლია. თან ქართულმა ტელეარხებმა (საჭირო არ არის ტერმინი „სახელისუფლო“, ვინაიდან სხვა არც არსებობს) განაცხადეს, რომ ეს მისი მეორე გამოსვლა იყო სტრასბურგში. ამიტომ, მოდი, გავიხსენოთ მისი პირველი გამოსვლა. **ეს იყო 2005 წელს და მაშინაც აპლოდისმენტები დაიმსახურა. მაგრამ ამის მიზეზი იყო ჩემი დაწერილი ტექსტი, უფრო ზუსტად, კონცეფცია, თუ მშვიდობიანად როგორ უნდა გადაგვეჭრა კონფლიქტები ჩვენს ყოფილ ავტონომიებთან. სააკაშვილმა ეს ტექსტი წაიკითხა, აპლოდისმენტებს ღიმილი შეაგება და... დაივიწყა! ამის მაგივრად მან მხოლოდ გაამწვავა ურთიერთობა რუსეთთან, დაიწყო 2008 წლის აგვისტოს სულელური ავანტიურა და გულუბრყვილო ევროპარლამენტარები პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, ვინაიდან მას ასეთი დავალება ჰქონდა მიღებული ვაშინგტონიდან.** ასე რომ, დღესაც იგივე ელით ევროპარლამენტარებს, ვინაიდან ისინი თავის შეცდომებზე ვერაფერს ვერ სწავლობენ. არადა, **დაუძლურებული ქართველი ხალხი ისეთ კონდიციამდე მიიყვანა ამ დესპოტურმა, ანტიეროვნულმა რეჟიმმა, რომ მას ხელის განძრევა უკვე აღარ შეუძლია. ამიტომ ბევრის იმედები სწორედ ასტანისკენ არის მიმართული და რამდენად გამართლდება ეს, უახლოეს ხანში გავიგებთ.**

და აი, სააკაშვილის ბოლო „მხატვრობა“: თავისი ტურნეს დასასრულს იგი მოლდოვაში ჩადის. ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ სამ დღეში იქ გაიმართა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პრეზიდენტს კი იქ პარლამენტი ირჩევს. ასე რომ, **სააკაშვილის მოლდოვაში ჩასვლა ყველამ მიიღო როგორც უცხო ქვეყნის საქმეებში ცხვირის უხეში ჩაყოფა! ეს, რასაკვირველია, არ იყო იმ მასშტაბის, როგორც უკრაინის არჩევნებში 2000-კაციანი დესანტის გადასხმა და დიდი ფიასკო და სირცხვილი საქართველოსთვის, მაგრამ მაინც ჩარევა ჩარევაა!** მით უმეტეს, რომ ეს უკვე მეორედ ხდება — აქამდე სააკაშვილი მოლდოვაში მხოლოდ ერთხელა იყო ნამყოფი, 2005 წელს და ახლა, არჩევნებამდე სამი დღით ადრე! მაშინ იგი კომუნისტების ლიდერს — ვორონინს უჭერდა მხარს, ახლა კი ვორონინმა უარი თქვა მასთან შეხვედრაზე და საჯაროდ „არაკაცი“ უწოდა!

როგორც იტყვიან, კუზიანს სამარე გაასწორებს!

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# ცრუ იმედების აბლაბუდა

**25 ნოემბერს, საღამოს, რუსთაველზე ერთი კაცი ვნახე. მის სიახლოვეს არავინ ჩანდა, თუმცა ის მაინც საუბრობდა, თან ხმამაღლა და ემოციურად; ციტირებას ნამდვილად არ დავიწყებ, რადგან ასეთი ლექსიკის გამოყენება იქაც კი არ არის მიღებული, სადაც ერთად იკრიბება 80 პორტუგალიელი მეძავი ან ლისაბონის სამიტზე დამსწრე ქართული დელეგაციის დაუდგენელი რაოდენობის წევრი, ან ორივე კატეგორიის წარმომადგენლები ერთად.**

თავიდან ვიფიქრე, რომ ის კაცი მიხეილ სააკაშვილის მმართველობასა და მისდამი თავის სიღრმისეულ დამოკიდებულებაზე საუბრობდა, ვინაიდან მსგავსი სიტყვები ამ პოლიტიკურ ფენომენთან დაკავშირებით არაერთგზის მსმენია. თუმცა, როდესაც ყური დავუგდე, მივხვდი, რომ **ამ ეპითეტებით, რომელთა გაგონებისას ნებისმიერი პორტუგალიელი მეძავი სიმორცხვისაგან გაწითლდებოდა (არადა, სუსტი ნერვები ნამდვილად არ აქვთ, ეს, იდეაში, შეიძლება ლისაბონის სამიტზე დამსწრე დელეგაციის წევრებმაც დაგვიდასტურონ), ეს კაცი იმდენად ხელისუფლებას არა, რამდენადაც ოპოზიციას ამკობდა.** ღამდებოდა. ცოტა მოშორებით პარლამენტის შენობასთან თითოოროლა ნერვული აჩრდილი დაბოდიალობდა. როგორც მივხვდი, ეს „ეროვნული ფორუმის“ რეგიონებიდან ჩამოსული აქტივისტები იყვნენ, უიღბლო სპარტელები, რომელთაც თერმოპილების ბრძოლა მოპარეს. მათი ბრალი ნამდვილად არაა, რომ **ლიდერები, რომლებიც ტელეეთერში ფაფარაშლილი ლომებივით ღრიალებდნენ, 25 ნოემბერს გამოიყურებოდნენ როგორც „ХОР МАЛЬЧИКОВ ИМЕНИ...“ (დამავიწყდა, ვისი სახელობის იყო ის გუნდი), თუმცა ხალხი მას მარტივად, „ХОР МАЛЬЧИКОВ-ЗАЙЧИКОВ”-ს უწოდებდა.**

ბევრი ადამიანისთვის, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის თითოეული დღე იგივეა, რაც საპატიმროში გატარებული დღე, და ვერავინ უსაყვედურებს მათ იმის გამო, რომ გათავისუფლება სწყურიათ. მათი გაღიზიანება გასაგებია, **ოპოზიციის ლიდერების განცხადებები 25 ნოემბრის თავყრილობის წინ, ქმნიდა აშკარა და არაორაზროვან შთაბეჭდილებას, რომ სწორედ ამ დღეს ხელისუფლების შეცვლაზე მიმართული კონკრეტული რადიკალური ნაბიჯები გადაიდგმებოდა.** „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ ბევრ მოქალაქეს, როგორც ჩანს, რაღაც თანმდევ მოვლენად მიაჩნდა, ისეთად, როგორიც იყო 1917 წლის 7-9 ნოემბერს პეტროგრადში გამართული საბჭოების ყრილობა, როდესაც მთავარი მოვლენები (დროებითი მთავრობის ხელისუფლებიდან ჩამოშორება) სულ სხვაგან განვითარდა, ყრილობამ კი მომხდარს, უბრალოდ, შეძლებისდაგვარი ლეგიტიმაცია მისცა. ამ ადამიანების მოლოდინი ამაო გამოდგა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ იდგა ის კაცი მარტოდმარტო რუსთაველის გამზირზე და მთელ ოპოზიციურ სპექტრს (ისე, არც სააკაშვილს აკლებდა) ყველა შესაძლებელ (ხანდახან შეუძლებელ) ბრუნვაში ატრიალებდა.

**სხვათა შორის, ის საბჭოების ყრილობა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, რიგით მეორე იყო, პირველი იმავე 1917 წლის ივნის-ივლისში შედგა და, ამ 25 ნოემბრის თავყრილობისა არ იყოს, აღმასრულებელი ორგანო აირჩია და რეგიონებში მუშაობა გააძლიერა. მომავალ წარმატებას საფუძველი სწორედ ამ გადაწყვეტილებებმა ჩაუყარა. ცხადია, ამ ჩვენს ოპოზიციას ბოლშევიკებს არ ვადარებ, უბრალოდ, ერთი ქრესტომატიული მაგალითია, თანაც ზოგიერთ შემთხვევაში ბოლშევიკებთან შედარებაც კი უნდა დაიმსახურო ადამიანმა.** სხვათა შორის, — არა იმიტომ, რომ 25 ნოემბერს აქტიური მოქმედებები არ დაიწყო (ხელისუფლების შეცვლა, თანაც სისხლისღვრის გარეშე რთული მოსამზადებელი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელსაც გაცილებით სერიოზული მომზადება სჭირდება, ვიდრე ერთი აქციის ორგანიზებას ან პორტუგალიელ მეძავებთან გასეირნებას), არამედ იმიტომ, რომ **ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებას ცრუ იმედები გაუჩნდა, რომელთა განეიტრალება აქციის ორგანიზატორებმა არ ინებეს ან ვერ მოახერხეს.**

ერთხელ, ინგლისელებთან ბრძოლაში მორიგი მარცხის შემდეგ, რობერტ ბრიუსი გამოქვაბულში იმალებოდა, სადაც, ლეგენდის თანახმად, ობობა იხილა. მისი ქსელი იხეოდა, თუმცა ობობა მის გაბმას მაინც ჯიუტად განაგრძობდა; ამის ნახვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური წინაპირობები წინააღმდეგობის შეწყვეტისკენ უბიძგებდა, რობერტმა კიდევ ერთხელ შეყარა ლაშქარი უკანასკნელი ბრძოლისთვის. იმ ბრძოლაში (ბანოკბერნთან) შოტლანდიამ თავისუფლება მოიპოვა. არანაირი ქვეტექსტს ამ ამბავში არ ვგულისხმობ, უბრალოდ, ეს იყო იმ კაცთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც 25 ნოემბერს, საღამოს, რუსთაველის გამზირზე მარტოდმარტო დარჩა.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ

### ტელეფონების ნუმერაცია იცვლება

ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომელიც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნულ სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებს. სისტემა საქართველოს ქალაქების არსებული კოდების შეცვლას ითვალისწინებს. თბილისის ფიქსირებულ სატელეფონო ქსელში არსებულ საბონენტო ნომერზე ერთი ციფრის დამატებით შემოღებული იქნება შვიდნიშნა საბონენტო ნუმერაცია. იგივე წესით საქართველოს ყველა სხვა ქალაქში ფიქსირებულ სატელეფონო ქსელებში შემოღებულ იქნება ექვსნიშნა საბონენტო ნუმერაცია. მობილური ქსელის ოპერატორი კომპანიების ორნიშნა კოდებს კი დაემატება ერთი ციფრი „5“.

### კრებას მანიფესტაციები აღარ უნდა

წარმომადგენლობითი სახალხო კრებისა და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიების თათბირის შემდეგ ინიციატორებმა განაცხადეს, რომ **„მანიფესტაციების მოწყობა მათ ინტერესებში არ შედის და კრების გადაწყვეტილებების რეალიზება უნდა დაიწყონ“**. კრების სამომავლო გეგმების განსაზღვრისათვის უახლოეს მომავალში სახალხო კრებაზე არჩეული სათათბირო და აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება. შეხვედრაში, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, „დემოკრატიული მოძრაობიდან“ ნინო ბურჯანაძე, „ეროვნული ფორუმიდან“ კახა შარტავა, „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, ეკა ბესელია და კრების საინიციატივო ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ.

### ალასანიას ამერიკული იმედები

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას განცხადებით, **აშშ-ის ხელისუფლება საქართველოში საარჩევნო გარემოს შეცვლის მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს ხელს შეუწყობს.** მისი თქმით, „აშშ-ის მთავარი ამოცანა ამ პროცესის ხელშეწყობა იქნება, რათა კონსულტაციები საზოგადოებისთვის კონკრეტული შედეგით დასრულდეს. საქართველოს მომავალს ისინი სწორედ დემოკრატიული პროცესების განვითარებაში ხედავენ, რისთვისაც საარჩევნო კოდექსის შეცვლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია“. შესაბამისად, ალასანიას ეჭვი არ ეპარება, რომ „ასეთი დიდი მხარდაჭერით“ მომავალ არჩევნებზე ხელისუფლება შეიცვლება.

# ნაცის ფერია სოფელი, თანდათან უფრო ძვირდება

**თბილისელებო, არ გაგიკვირდეთ, თუ საახალწლოდ მიღებულ კომუნალური გადასახადების ქვითარს მერიის „გულუხვი საჩუქარი“ მოჰყვება. 1 დეკემბრიდან ძალაში შევა გადაწყვეტილება, თბილისელებისთვის წყლის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე წყლის ტარიფი 0,75 ლარით გაიზრდება და 3,15 ლარს მიაღწევს. ქალაქის მერმა გიგი უგულავამ მიღებული გადაწყვეტილება შემდეგნაირად გაამართლა: „ეს არის მოტივაცია წყლის კომპანიისთვის, რომ ბოლომდე მიიყვანოს ქალაქის უწყვეტი წყალმომარაგების პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ისევ წყლის გადასახადის ნახევარს გადაიხდის, ხოლო დარჩენილ 50 პროცენტს მერია დაფარავს, რაც 105 ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის უკვე გათვალისწინებულია თბილისის 2011 წლის ბიუჯეტში“.**



დედაქალაქის მერია მხოლოდ ამ ცვლილებას არ დასჯერდა და არსებული დამძიმებული სოციალური ფონის გაუარესებას მიჰყო ხელი; **თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა 10 თეთრით გაძვირდება და 50 თეთრი გახდება.** ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო დროს ავტობუსების სამარშუტო ხაზები ზოგი გააუქმეს და ზოგიც შეამცირეს (მინიმუმ ორი-სამი ტრანსპორტის გამოცვლაა საჭირო, ქალაქის ერთი ადგილიდან მეორემდე მისასვლელად), ადვილად დავრწმუნდებით, რომ **ქალაქში გადაადგილება არა მარტო სოციალურად დაუცველი, არამედ საშუალო ფენის მოსახლეობისთვისაც შეუძლებელი იქნება.** თავისთავად, მუნიციპალურ ტრანსპორტზე (ავტობუსსა და მეტროზე) ფასების ზრდა გამოიწვევს კერძო სამარშუტო ტაქსებით მგზავრობის საფასურის გაძვირებასაც. ერთი სიტყვით, **ქალაქში 50-თეთრიან ტრანსპორტზე იაფი აღარ იარსებებს. შესაბამისად, მოქალაქეს დღეში საშუალოდ 2,5 ლარის გადახდა მოუწევს მგზავრობაში.**

საბოლოოდ, თბილისში ტრანსპორტით სარგებლობისთვის მოქალაქეებს ევროპის ქვეყნების მცხოვრებლებზე მეტი ხარჯის გაწევა მოუწევთ. 27 ნოემბერს დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ მდივანმა ზაზა გაბუნიამ კომუნალურ ტრანსპორტზე ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ტარიფები შეადარა. მის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, კომუნალურ ტრანსპორტზე გერმანიის მოქალაქე ხარჯავს შემოსავლის 1,8%-ს; საფრანგეთის – 1,78%-ს; იტალიის – 2,3%-ს; ესპანეთის – 3,6%-ს; პორტუგალიის – 3,8%-ს, ხოლო საქართველოს მოქალაქე, ქვეყნის ხელისუფლების „გონივრული“ სოციალური პოლიტიკის წყალობით 5,3%-ს დახარჯავს. ესეც იმ შემთხვევაში, თუკი საერთოდ ექნება შემოსავალი!

მერიაში კი მოსახლეობას ანუგეშებენ, რომ **„ამ გადაწყვეტილებით მგზავრობის საფასური არ გაძვირდება იმ პირებისთვის, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ და სოციალურად დაუცველთა კატეგორიას მიეკუთვნებიან“.** თუმცა მერიას სულ არ ადარდებს ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ღარიბი საშუალო ფენა, რომელსაც 1 დეკემბრიდან გაძვირებული სამგზავრო თუ საყოფაცხოვრებო ტარიფების გადახდა მოუწევს. სწორედ იმ ფენას, რომელიც იხდის გადასახადებს. **როგორც ჩანს, სულ მალე საშუალო ფენა სოციალურად დაუცველთა არმიას შეუერთდება. აბა, რა ქნას ოთხ და ხუთსულიანი ოჯახის ერთადერთმა მარჩენალმა, ოჯახი შეინახოს თუ უსაფუძვლოდ გაზრდილი გადასახადები გადაიხადოს.** იმ ფონზე, როდესაც ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს და არც პენსიას იღებს, არც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი აქვს მთავრობის დაუდევარი სოციალური პოლიტიკის გამო, ოჯახის ორი წევრი სტუდენტია (სწავლის ერთი წლის ღირებულება 2250 ლარია), დამეთანხმებით, გაძვირებული ცხოვრების ფონზე, მეტად აუტანელი და მძიმე იქნება ის ტვირთი, რომელსაც დღევანდელი მთავრობა სიურპრიზების სახით ყოველდღიურად გვთავაზობს. **ამ საკითხთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიო“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს — გიორგი გუგავას** დაუკავშირდა:

— თბილისელებისთვის წყლის ტარიფის 0,75 ლარით გაზრდის შესახებ ხელისუფლების დაკვეთით მიღებულ გადაწყვეტილებას არანაირი დასაბუთება არ აქვს. ამიტომაც, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში ვერც ვერავინ დაგისაბუთებთ წყლის გაძვირების რეალურ მიზეზს. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში, გაზრდილი გადასახადის შესაბამისად, არანაირი ინფრასტრუქტურა არ გაუმჯობესებულა (არც წყლის მოწოდების გრაფიკი შეცვლილა). საინტერესოა, რატომ გვიზრდიან წყლის საფასურს?! **მყინვარწვერს თოვლი და ყინული დაამატეს თუ ჩვენი ონკანებიდან წყლის მაგივრად „ბორჯომი“ ან „ნაბეღლავი“ წამოვა?! ფაქტობრივად, წყლის გაძვირებით აღსრულდა სააკაშვილის დაკვეთა. ბიუჯეტში შემოაკლდათ თანხები და ამით ცდილობენ, ხალხს ჯიბიდან ბოლო კაპიკები ამოაცალონ და საკუთარ ვოიაჟებსა და გულაობას მოახმარონ.**

წყლის ტარიფის გაზრდის უსამართლობას ამტკიცებს თვითონ საქართველოს პრეზიდენტის №702 განკარგულება, რომლის თანახმადაც, გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის ტარიფი 2018 წლამდე შემდეგნაირად განისაზღვრა: 2008 წელი – 2,4 ლარი (ერთ სულ მოსახლეზე) ; 2009 წ. – 2,6; **2010 წ – 2.95; 2011 წ. – 2,95; 2012 წ. – 2,95; 2013 წ. – 2,95**; 2014 წ. – 3,3; 2015 წ. – 3,5; 2016 წ. – 3,7; 2017 წ. – 3,9; 2018 წ. – 4,1 ლარი. შესაბამისად, ერთის მხრივ, მოხდა ამ ბრძანებულების სრული უგულებელყოფა და, მეორეს მხრივ, — ცალმხრივად ახალი სატარიფო პოლიტიკის გატარება. მაშინ, როდესაც, მარეგულირებელ კომისიას არ აქვს ის შესაბამისი გათვლები და გაანგარიშებები, რის მიხედვითაც სხვადასხვა რაიონსა თუ ქალაქში დაადგენდა ტარიფებს და შემდგომ განკარგულებაში მითითებულ ტარიფს გაზრდიდა, 2,95-ის ნაცვლად, 3,15 ლარამდე. ეს უკვე იძლევა განგაშის საფუძველს, რომ **2015 წელს წყლის ტარიფი თბილისელებისთვის ერთ სულზე 5 ლარი იქნება** (მიუხედავად თბილისის მერის — გიგი უგულავას თავგადაკლული დაპირებისა, რომ 2015 წლამდე წყლის ტარიფი აღარ გადაიხედება). ამ გადაწყვეტილების სამართლიანად აღსრულების გარანტი ვინ იქნება: მერი, პრეზიდენტის მორიგი განკარგულება თუ მარეგულირებელი კომისია?

ასევე, საფუძველს მოკლებულია კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ისტორიული განცხადება, რომ თბილისში ერთი სული მოსახლე დღე-ღამეში, საშუალოდ, 800 ლიტრ სასმელ წყალს მოიხმარს. თუმცა ამ განცხადებების ფონზე, უფრო საინტერესოა,

**რამდენი ლიტრი სასმელი წყალი იხარჯება შადრევნებზე ყოველთვიურად; თბილისში ყველა შადრევანი ხომ სასმელი წყლით მარაგდება?!**

**ოთარ დალაქიშვილი**

## 2015 წელს წყლის ტარიფი თბილისელებისთვის ერთ სულზე 5 ლარი გახდება



**გიორგი გუგავა: მყინვარწვერს თოვლი და ყინული დაამატეს თუ ჩვენი ონკანებიდან წყლის მაგივრად «ბორჯომი» ან «ნაბეღლავი» წამოვა?! ფაქტობრივად, წყლის გაძვირებით აღსრულდა სააკაშვილის დაკვეთა. ბიუჯეტში მოაკლდათ თანხები და ამით ცდილობენ, ხალხს ჯიბიდან ბოლო კაპიკები ამოაცალონ და საკუთარ ვოიაჟებსა და გულაობას მოახმარონ**





**P.S. ამრიგად, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 70% ღარიბია, სადაც არ არის ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, სადაც მოსახლეობა შიმშილობს და საკვებს ნაგვის ურნებში დაეძებს, სადაც უმუშევრობა მოურჩენელი სენია, სადაც მთავრობა მიზანმიმართულად ამძიმებს სოციალურ ფონს, გასაკვირებელი კიდევ ბევრია...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პატიმარმა საყვარელიძემ ციხეში ყური ჩამოითალა და შეჭამა

**გასულ კვირას პატიმარმა ტარიელ საყვარელიძემ ციხეში ყური მოიჭრა და შეჭამა. ქართულ ციხეებში ათასგვარი საშინელების შესახებ გვსმენია, მაგრამ მსგავსი რამ, ალბათ, დიდი ხანია, პენიტენციალურ სისტემაში აღარ მომხდარა. ადვოკატი ლალი აფციაური „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში აცხადებს, რომ პროტესტის უარესი ფორმებიც სმენია, მათ შორის, როცა პატიმარმა გადაიჭრა ვენები, გამოიფატრა მუცელი და ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლების მხრიდან ნებადართულია, ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახადონ ბრალდებული თუ მსჯავრდებული.**

## ვლადიმერ ტაბაღუა: თუ პატიმარი ცუდადაა და კარზე დააბრახუნა ექიმის გამოსაძახებლად, იმდენს ურტყამენ, ტკივილს დაავიწყებენ



**ტუბზონაში დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ 6 პატიმარს გამოუცხადა, რომ გამოკვლევის ჩატარების მიზნით სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ. მათ გამოკვლევა ჩაუტარეს და შეასახლეს... საპყრობილეში!**

**ლალი აფციაური:** „პატიმარ საყვარელიძის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ მიკვირს, ამდენ ხანსაც რომ არ ხდებოდა ასეთი მძიმე შემთხვევები, რადგან უსამართლობა ციხეში უკვე პიკს აღწევს. **ადამიანები ვერც საჩივრით, ვერც ადვოკატის მეშვეობით თავს ველარ იცავენ და იძულებული ხდებიან, ასეთ სასტიკ პროტესტს მიმართონ, რათა გაახმაურონ თავიანთი მდგომარეობის შესახებ და ამით მაინც მიიღონ რაიმე შედეგი.** საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად აკეთებენ ამას, როცა სხვა ყველა გზა უკვე მოჭრილია“.

**„საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრა ტარიელ საყვარელიძის ადვოკატს, ვლადიმერ ტაბაღუას, რომელმაც პატიმრის ამ ქმედებამდე არაერთი საჩივარი დაწერა, რათა მისი დასაცავი პირი ფსიქიატრიულ განყოფილებაში დაებრუნებინათ, საიდანაც ის უკანონოდ, განკურნებამდე, გამოწერეს, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია.**

— საყვარელიძეს მკურნალობა კანონდარღვევით შეუწყვიტეს, იგი ფსიქიურად დაავადებულია და სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ დაინტერესებულმა პირებმა არაერთხელ ჩაიდინეს ასეთი საქციელი. საყვარელიძეს 2010 წლის 30 აპრილს სცემეს და მერვე საპყრობილეში შეასახლეს, ორი კვირის შემდეგ (15 ივნისს) რუსთავის მეორე დაწესებულებაში გადაიყვანეს, ხოლო 2010 წლის 11 ივლისს დაწესებულების დირექტორის, თოლორდავას თავკაცობით, ღამის 11 საათზე სცემეს. ყველა ინსტანციაში დავწერე საჩივარი ამასთან დაკავშირებით, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. შემდეგ **ციხის ადმინისტრაციამ მოინდომა, რომ ჯანმრთელი გამოეყვანა საყვარელიძე და ასევე კანონდარღვევით 29 ივლისს ჩაუტარეს ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ პატიმარი არ არის განკურნებული. მიუხედავად ამისა, იგი საავადმყოფოში არ გადაიყვანეს.**

საყვარელიძეს ავტოავარიის შედეგად მიღებული მძიმე ტრავმის გამო საშინელი თავის ტკივილები აქვს და ამ დროს ვერ განკარგავს საკუთარ ქმედებას, იმიტომ, რომ სულიერად დაავადებულია. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს ჩამოითალა მარცხენა ყური და შეჭამა. ამის შემდეგაც კი არ გადაჰყავდათ, სანამ არ ჩავერიე და ყველგან არ გავაგზავნე საჩივრები. მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ მოათავსეს სამკურნალო დაწესებულებაში, საიდანაც უკანონოდ გაწერეს.

**— ვინ იყო დაინტერესებული ფსიქიატრიული განყოფილებიდან მისი დროზე ადრე გაწერით?**

— მან მძიმე დანაშაული, მკვლელობა ჩაიდინა. ეტყობა, დაზარალებულის მხრიდან ვიღაც **მუშაობდა, ზუსტად არ ვიცი. გოგა მუხიაშვილი, რომელიც ჯერ მოადგილე იყო ციხეში და შემდეგ დირექტორად დაინიშნა, სისტემატიურად ავიწროებდა მას, 10-ჯერ ჰყავს ნაცემი.** რამდენჯერმე უკანონოდაც გადაიყვანეს ჯერ მეექვსე, შემდეგ კი მერვე საპყრობილეში. საბოლოოდ კი ეს საშინელი ფაქტი მოხდა. საყვარელიძე მოინახულეს პარლამენტარებმა — ეკა ხერხეულიძემ და ბიძინა გუჯაბიძემ. მაგრამ არაფერმა არ უშველა, არ აბრუნებდნენ სამკურნალო დაწესებულებაში. ამჟამად გადის მკურნალობას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ამ ჭრილობის მოშუშების შემდეგ იქ დატოვებენ თუ არა. ამიტომ მე მიმოწერას ვაწარმოებ დეპარტამენტთან, პროკურატურასთან და ვითხოვ, დაადგინონ, არის თუ არ ეს პიროვნება ჯანმრთელი, და თუ არ არის, დატოვონ სამკურნალო დაწესებულებაში განკურნებამდე, როგორც განაჩენში და ექსპერტიზის დასკვაშია მითითებული.

**— როგორ ფიქრობთ, ეს იყო ძლიერი ტკივილებით გამოწვეული ქმედება თუ პროტესტის ფორმა?**

— შესაძლებელია, ყველაფერი ერთად. მე ვკითხე მას ამის შესახებ, მაგრამ ის ბოდავს, არ ვიცი, ყური სად წავიდაო; ეჩვენება, რომ მისი მოკვლა უნდოდათ, ვიღაც მდევნისო. მოჩვენებები აქვს, გარდა ამისა, როცა ტკივილები აქვს, თავის თავს ვერ განკარგავს, მაგრამ როცა დაწყნარებულია ნორმალურად საუბრობს. **მას აქვს რეაქტიული ფსიქოზი და ეს პროტესტის ნიშნად გააკეთა თუ ძლიერი ტკივილების დროს, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ თვითონ ვერ ხსნის ამას.**

**— ზოგადად რა სიტუაციაა ციხეში?**

— ციხეს რკინის ფარდა ჩამოეფარა. როცა სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, მაშინ საზოგადოებრივი კონტროლი იყო ციხეებზე, მიშაც თავგამოდებით იცავდა პატიმრებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდა, ყველანაირი კონტროლი გაუქმდა. საშინელი სიტუაციაა. **25 პატიმარი შეჰყავთ კარანტინში, სადაც ერთი კაცის ადგილია. მოკლედ, კარგად რომ „გაწურავენ“, მერე ეკითხებიან, როგორი ხარ? პატიმარი პასუხობს, ნორმალური, კარგი ბიჭი ვარ. ე.ი. ქურდულს აწვებიო და სცემენ სასტიკად, თუ არა და დაგვიწერე, რომ ჩვენთან ითანამშრომლებო. თუ პატიმარი ცუდადაა და კარზე დააბრახუნა ექიმის გამოსაძახებლად, იმდენს ურტყამენ, ტკივილს დაავიწყებენ.**

რაც იქ ხდება, ადვოკატებმა კი ვიცით, მაგრამ პროკურატურა ამაზე რეაგირებას არ ახდენს, ჩვენს საჩივრებზე წერს, რომ ფაქტი არ დადასტურდაო. ამიტომაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თამამად აწამებენ ადამიანებს. საშინელ მდგომარეობაშია პატიმარი გიგა ლომთათიძე. **ტუბზონაში დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ 6 პატიმარს გამოუცხადა, რომ გამოკვლევის ჩატარების მიზნით სამკურნალო დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ. მათ გამოკვლევა ჩაუტარეს და შეასახლეს... საპყრობილეში!** დაკეტილ საკანში ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანის მოთავსება სიკვდილის ტოლფასია. მას სჭირდება ჟანგბადი. პროტესტის ნიშნად ამ პატიმრებმა გამოაცხადეს შიმშილობა და დღესაც შიმშილობენ. სიკვდილის პირასაა გიგა ლომთათიძე; მისი მდგომარეობა დამძიმდა და გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოშიმშილეებს ჭამას ვერავინ აიძულებს, პირს არ ხსნის და ჟანგბადის მიუცემლობას შეიძლება მისი სიცოცხლე შეეწიროს. ამის შესახებ ვაცნობე ყველას, მაგრამ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ზომებს არ იღებს, საავადმყოფოს ადმინისტრაცია კი მეუბნება, რასაც მიბრძანებენ, იმას გავაკეთებო.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## გამოხმაურებები



**პაატა ზაქარეიშვილი,**
**კონფლიქტოლოგი:**

დღეს მსოფლიოს ვეხვეწებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ აღიაროთო, როცა რუსეთიც კი აღიარებდა ამ რეგიონებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში, ვიდრე გაეროს რეზოლუციები და უშიშროების საბჭოს რეზოლუციები არსებობდა, ანუ აბსოლუტურად გავიუბედურეთ მდგომარეობა, კატასტროფული შედეგები გვაქვს და ერთი გრამი არ დასცდება ხელისუფლებას აღიარება, რომ მან შეცდომები დაუშვა და ამ სამარცხვინო, იატაკზე, ფსკერზე დაგდებულ სიტუაციას ასაღებს, როგორც წარმატებას. ეს ყოვლად მიუღებელი და გულისამრევია!

*„ახალი თაობა“*



**დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი,**
**ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარი:**

სამწუხაროდ, ქართველმა კაცმა საკუთარი თავის პატივისცემა დაკარგა. ელოდება, რა საუცხოო სარწმუნოება შემოვა. ამბობენ, რომ ბუდას ქანდაკება უნდა დაიდგას თბილისში, რაც ყოვლად დაუშვებელია. ბუდიზმი არ არის რელიგია. ბუდა იყო პიროვნება, რომელიც, მათი სწავლებით, ნირვანაში გადავიდა. ეს არის ფილოსოფია, რომელიც ჩინეთსა და ინდოეთშია გავრცელებული. არსებობენ მუსლიმანი ქართველები, იუდეველი ქართველები, პროტესტანტები, მაგრამ ბუდისტი ქართველები არ არსებობენ. თუ გვინდა, რომ ბუდისტი ქართველები გვყავდეს, ამით ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ზიანი მიადგება. ბუდა უმოქმედობას ქადაგებს... თუ ახალგაზრდები ბუდა ბარში ან გურუ ბარში, რომელიც ინდუიზმში მოძღვარია, მივლენ და თავს გაირთობენ, მერე იქნება ჩინგიზ ხანის ბარი. კიდევ სხვას მოიგონებენ და ამით მივიღებთ სავალალო შედეგს. ბევრი ფილოსოფოსი ამბობდა, თუ გინდათ, ქვეყანა გადააგვაროთ, გარყვენით მათი ახალგაზრდებიო.

*„ახალი თაობა“*



**ინგა გრიგოლია,**
**თბილისის საკრებულოს წევრი:**

ხელმოწერების შეგროვებას იანვრიდან, ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ დავიწყებთ და გპირდებით, კომუნალური ტარიფების გაიაფება თბილისის საკრებულოდან დაიწყება. საერთოდაც, ვფიქრობ, მთავრობის ეს ახალი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, კომუნალური ტარიფები გაერთიანდა, დიდი დანაშაული და მოსახლეობის დახრჩობაა. როგორ შეიძლება, წყლის ტარიფის გადაუხდელობის გამო, ადამიანს დენი ჩაუჭრა? ხელისუფლებას ხალხი არ ადარდებს, ფეხებზე ჰკიდია! თუმცა, ამ ხელმოწერებს აუცილებლად შევაგროვებთ და, თუ დამჭირდება, სააკაშვილს ჩემი ხელით შევუტან მას და ტარიფების გაიაფებას ვაიძულებ.

*„ვერსია“*



**ირაკლი ოქრუაშვილი,**
**„ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე:**

არ გვსურს კონფრონტაციის გზით სვლა, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ ეს გარდაუვალია. არ გვსურს ხელისუფლება, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანს, მაგრამ მშვენივრად ვაცნობიერებთ, რომ ეს გარდაუვალია. თეთრი ხელთათმანებით ბრძოლას არ ვაპირებთ, განსაკუთრებით, რთულ სიტუაციებში. არასდროს მოგიწოდებთ, ბრძოლა იქ გააგრძელოთ, სადაც ჩვენ არ ვიქნებით. პირადად მე არ მოგიწოდებთ, იბრძოლოთ მაშინ, როცა საქართველოში არ ვიქნები. ჩვენ დავასრულებთ ამ რეჟიმს და აღარ დავუშვებთ, რომ ხელისუფლებაში შეურაცხადები მოვიდნენ.

*„ვერსია“*



**კოკა გუნცაძე,**
**„ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი:**

პარტიის სიმბოლოდ მტევანი რამდენიმე პრინციპით შევარჩიეთ — ვაზი ქართველების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ელემენტია. გარდა ამისა, ასეთი მარტივი ლოგოს აღება მარკეტინგული გათვლაც იყო. შეირჩა ყურძნის მინიმალისტური, ექვსმარცვლიანი მოდელი. დატვირთვა სამკუთხედის ფორმის მწვანე ყუნწსაც აქვს — მწვანე ფერი პროგრესის მაჩვენებელია, ღვინისფერი ქართული ტრადიციული ფერია, თავად ყურძენი კი ჩვენი ისტორიაა.

*„ვერსია“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სისხლისმსმელი მინისტრი

**„თქვენს სისხლს დავლევ, პირდაპირ გეუბნებით!“ — ამ სიტყვებით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა შეხვედრაზე სკოლის დირექტორებს, როცა ახალ გადაწყვეტილებას აცნობდა; იქ მყოფთაგან რომელიღაცამ მინისტრის განცხადებები ფარულად ჩაიწერა.**



**დიმიტრი შაშკინი: ამ სკოლების დირექტორები დასაჭერები იყვნენ! მივქარე, რომ ეს საქმე ბოლომდე არ მივიყვანე! ამ 20 მილიონს ახლა ყელიდან ამოვუღებ!**

ახალი გადაწყვეტილების მიხედვით, სპორტული მოედნების მოწყობისთვის გამოყოფილი თანხა უშუალოდ საჯარო სკოლების ადმინისტრაციას გადაეცემა. შაშკინმა შეხვედრაზე დირექტორებს აუხსნა, რომ სამინისტრო ამ საქმეს სკოლებს გადააბარებს.

**„სამინისტრო გადასცემს სკოლას ამ ფულს, სკოლა გააკეთებს... თქვენს სისხლს დავლევ, პირდაპირ გეუბნებით! თქვენ იქნებით პასუხისმგებელი ამ კონკრეტულ საკითხზე, თქვენ მოძებნით, თქვენ ჩაატარებთ, თქვენ მოაგვარებთ. ვიცი, ბევრს მოეწონება, ბევრს არ მოეწონება. მირჩევნია, რომ სკოლის დირექტორი იყოს ამაზე პასუხისმგებელი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, სისხლს დავლევ! თითო სანტიმეტრს დავუთვლი“**, — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

**„ამ სკოლების დირექტორები დასაჭერები იყვნენ! მივქარე, რომ ეს საქმე ბოლომდე არ მივიყვანე!“** — ასე გამოეხმაურა შაშკინი სკოლა-პანსიონების დახურვის თემას. **„ამ 20 მილიონს ახლა ყელიდან ამოვუღებ!“** — შაშკინის ეს მუქარა უკვე კერძო სკოლების დირექტორების მისამართით გაისმა. **„ვისაც სურვილი აქვს, რომ გახდეს დირექტორი, მას მომავალში გამოცდის ჩაბარება მოუწევს,“** — ეს ინფორმაცია შაშკინმა მუქარების შემდეგ აუწყა საჯარო სკოლების დირექტორებს. **„ვაღიარებ, პროვოკაციაზე მივდიოდი, ვაგზავნიდი ბავშვს, რომელიც მიდიოდა, რომ ამ სასწავლებელში (პროფესიულ სასწავლებელში) დაეწყო სწავლა. ეუბნებოდნენ, რომ ადგილი არ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ფასიანი ადგილი, აი, გადაიხადე... მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ნახევარ მილიონს, ზოგი 600 ათასს იღებდა წელიწადში“.**

შაშკინის თქმით, სამინისტრომ მიიღო პროფესიული კოლეჯების გაუქმების გადაწყვეტილება: **საქართველოში 42 პროფესიული სასწავლებელი იყო, აქედან 15 სამინისტრომ დახურა, თუმცა 8-დან 25 ათასამდე გაზარდა მისაღებ მოსწავლეთა ლიმიტი.**

ამერიკა აღმოაჩინა შაშკინმა — კორუფცია ყოფილა თურმე განათლების სისტემაში. ქურჩები გაგვინათეს და ტვინებს გვიბნელებენ თუ რა ხდება?!

წონასწორობიდან გამოვიდა განათლების მინისტრი. საინტერესოა, რატომ ითმენენ ასეთ მინისტრს. ალბათ, იმიტომ, რომ უმეტესობა კორუმპირებულია და ხმას ვერ იღებს, იქნებ გადავრჩე და ჩემი სისხლი არ დალიოსო. **რაც შეეხება კორუმპირებულებს, უნდა დაისაჯონ, მაგრამ მინისტრის შლეგიანი სიტყვების გარეშე. ესენი ხომ ვამპირები არიან, სისხლს სვამენ და ჰალსტუხს აყოლებენ.**

განათლების სისტემაში რეფორმებია საჭიროო და რეფორმის წარმატებული ნიმუში, ალბათ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობაა. ამ თანამშრომლობის შედეგი იყო თემაზე „მე მიყვარს ჩემი პოლიცია“ გამოცხადებული კონკურსის ინციდენტი. **თელავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლემ პროტესტის ნიშნად რქიანი და კუდიანი პოლიციელი დახატა. მოსწავლის თქმით, მას და მის თანაკლასელებს კონკურსში მონაწილეობის მიღება არ უნდოდათ, მაგრამ სკოლის დირექტორმა ისინი დაავალდებულა, რომ ნახატები დაეხატათ და თხზულებები დაეწერათ.** „ამ ნახატით პროტესტი გამოვთქვი. დირექტორები მონებივით არ უნდა გვექცეოდნენ. რაც არ გვინდა, იმას იძულებით არ უნდა გვაკეთებინებდნენ“, — აღნიშნა მოსწავლემ კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში. მოზარდის ვინაობა, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ მჟღავნდება, თორემ, ალბათ, მარტო მას კი არა, მის მშობლებსაც გვარიანად შეაშინებენ, თუ მარტო შეშინებას დასჯერდნენ. სამტრედიაში გაუშვებენ, ალბათ, სპეცსკოლაში. მშობლებს ქონებას წაართმევენ. ციხეში ჩასვამენ. რა, ვერა?

**მანანა ნიკოლეიშვილი, „განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

— სკოლებში რომ კორუფციაა, ფაქტია. დირექტორებიც გასაყრელები არიან. სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყონ არაპროფესიონალიზმის გამო. ამიტომ გახდა საჭირო, რომ სახელმწიფომ შექმნა გასამხედროებული რაზმი, მანდატურებს რომ ეძახიან. რა თქმა უნდა, მინისტრი დირექტორებს ასე არ უნდა ელაპარაკებოდეს, არაეთიკურია, მაგრამ მინისტრი ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, რადგან ნაციონალური პარტიული სიებით დაინიშნენ ისინი. **არავითარი დირექტორების არჩევნები არ ყოფილა. ყველა პარტიული სიითაა დღეს დანიშნული. შაშკინი დირექტორებს ვერ მოხსნის თავის ნებაზე, იმიტომ კი არა, რომ კანონმდებლობა არ აძლევს საშუალებას, უბრალოდ, ამ დირექტორების პოლიტიკური მფარველე-** ▶

# არჩილ გეგენავა და კობა ბექაური — სახელისუფლო მონეტის ავერსი და რევერსი

## ყვარლელები «საპატიო მოქალაქე» პარლამენტარის წინააღმდეგ

**პარლამენტის წევრის, არჩილ გეგენავას მიმართ, რომელიც ცოტა ხნის წინათ ყვარლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, რაიონის მოსახლეობას პრეტენზიები აქვს. ისინი არამარტო მის საპატიო მოქალაქედ არჩევას აპროტესტებენ, არამედ აცხადებენ, რომ გეგენავას კუთვნილმა ფირმამ „მ-გრუპმა“ ყვარელში ტბა და ტყის მასივი ისე შეიძინა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არათუ მოსახლეობას, საკრებულოსაც კი არ ჰქონდა; და საერთოდ, ყვარელში ტერიტორიების შეძენა მხოლოდ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წევრებისთვის არის ხელმისაწვდომი.**

**„ახალი მემარჯვენეების“ წევრი მანანა ნაჭყებია თავად იმყოფებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც გეგენავას კომპანიამ შეიძინა და გეგენავას რანჩოც მოინახულა, რომელიც ტყის მასივითაა გარშემორტყმული.**

— როგორც ოფიციალურად არის ცნობილი, არჩილ გეგენავა „მ-გრუპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მას, როგორც პარლამენტის წევრს, არ აქვს უფლება, ბიზნესით იყოს დაკავებული, თუმცა ჩვენ ყოველდღიურად, როდესაც „მ-გრუპის“ ობიექტები, ამ სხვა ობიექტები იხსნება, რომელსაც ბატონი გეგენავა ფლობს, ვხედავთ, რომ ის მუდმივად იქ ფიგურირებს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ძალიან სერიოზული ეჭვი, რომ იგი არ ემორჩილება კანონს და კვლავაც დაკავებულია ბიზნესსაქმიანობით.

ჩვენს პარტიას კითხვები გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ყვარლის მოსახლეობამ და ყვარლის რაიონის საკრებულოს ჩვენი პარტიის წევრმა ნუგზარ ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოებამ არაერთხელ მიმართა მას კითხვით, თუ რა ფორმით განხორციელდა ყვარლის ტბისა და მისი მიმდებარე



ტყის მასივის პრივატიზება. **საკუთარი თვალით ვნახეთ ბატონ გეგენავას „დაცული ტერიტორიები“. ეს არის უზარმაზარი ტერიტორია ტყის მასივით, რომელიც, მართლაც, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.** როდესაც ასეთი დიდი ფართობი იყიდება რაიონში, საკრებულო მაინც უნდა იყოს საქმის კურსში — რა ფორმით მოხდა პრივატიზება: ეს იყო აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა თუ სხვ. ამ კითხვებზე პასუხი მოვითხოვეთ ბატონი გეგენავასგანაც და ხელისუფლებისგანაც, თუმცა პასუხი არ მიგვიღია. მოსახლეობა შეხვედრების დროს ინტენსიურად აპროტესტებს, რომ **ყვარლის რაიონში იყიდება ყველაფერი, ისე, რომ მოსახლეობას საქმის კურსში არ აყენებენ და ადგილობრივ მცხოვრებლებს არ აძლევენ საშუალებას, მიწის ფართობს ან სხვა რაიმე ქონებას დაეპატრონონ.**

**— თუკი საკრებულომაც არაფერი იცის ამ პრივატიზაციების შესახებ, გამოდის, რომ ის ჩუმად გასხვისდა?**

— დიახ და სწორედ ამიტომ გაჩნდა ეს კითხვები. სხვათაშორის, საქართველოს კანონმდებლობით, არათუ ოფიციალურ მიმართვაზე, არამედ მედიასაშუალებით გახმიანებულ ინფორმაციაზე სისხლის სამართლის საქმეც კი შეიძლება აღიძრას. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ ორგანოებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და თვითონ გეგენავასაც, თუკი მათ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი მოქალაქეების მიმართ, ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

**ყვარლელები სულაც არ თვლიან, რომ გეგენავა არის მათი საპატიო მოქალაქეობის პატივის დადების ღირსი. ისინი თვლიან, რომ ყვარლის საპატიო მოქალაქე უნდა იყოს ადამიანი, რომელიც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ყვარელთან. ყვარელი, მისი ტყეები და მდინარეები თუ ტბები გეგენავასთვის არის მხოლოდ შემოსავლის წყარო და ყვარელთან მას სხვა არაფერი აკავშირებს.**

**— კონკრეტულად რა ტერიტორიები შეიძინა გეგენავამ ყვარელში?** ▶

### პრეზიდენტი დაუფარავად მიმართავს გეგენავას და აქებს, როგორც წარმატებულ ბიზნესმენს

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ბი არ დაუშვებენ ამას.** პროფესიონალი დირექტორები არ უნდა გაყაროს, რომლებიც თითო-ოროლა დარჩა, თორემ დანარჩენი გასაყრელია. განათლების სისტემის მართვა უნდა ხდებოდეს ჰარმონიულად. სპეციალური ქვედანაყოფები, ხელკეტიანი და შეიარაღებული ადამიანები საჭირო არ არიან. როდესაც პროფესიონალ გუნდს მოიყვან მმართველობაში, აღარ იქნება ასეთი ადამიანების საჭიროება სკოლებში. არსად პროფესიონალები აღარ არიან და ამ გაუგებრობამ და სრულმა ქაოსმა გამოიწვია ის, რომ გახდა საჭირო პოლიცია და სკოლის მუშტით და ძალით მართვა. შეგნებული დისციპლინა და, აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხიც გაქრა.

**წლეულს უფრო ცუდ შედეგებს მივიღებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ასეა, უარესდება და უარესდება მდგომარეობა. სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, განათლების სისტემას არაფერი ეშველება. ყოველწლიურად მძიმდება სიტუაცია და ახლაც საატესტატო გამოცდებზე ძალიან ცუდი შედეგები იქნება. უმეტესობა, ალბათ, მხოლოდ სერთიფიკატს აიღებს.**

**სიმონ ჯანაშია, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი:**

— ცხადია, ის მიმართვა, რომელსაც მინისტრი იყენებს, მიუღებელია, მაგრამ არც მარტო ესაა. ზოგადად მართვის ფორმაა მიუღებელი. სკოლის დირექტორები სამინისტროს დაქირავებულები არ არიან და, უპირველესად, პარტნიორობა უნდა არსებობდეს, თუ სახელმწიფოს უნდა, რომ უკეთესობისკენ წავიდეს საქმე და დაინერგოს სიახლეები. პარტნიორობის გარეშე შეუძლებელია კარგი საქმის კეთება. თუ დირექტორებს ისე უყურეს, როგორც ქვეშევრდომებს, ეს მათ ხელმძღვანელობას კარგს არაფერს მოუტანს. ასეთი ქცევები წარუმატებელია არამარტო ჩვენთან, არამედ ყველა ქვეყანაში. პრობლემა მარტო ის კი არაა, რომ ურთიერთობის ასეთ ფორმას ნერგავ, არამედ ვინმე **წარმატებული ადამიანი, რომელიც ამ ურთიერთობას უყურებს, ძნელად თუ გადაწყვეტს, სკოლაში იმუშაოს; დაფიქრდება, ღირს თუ არა მისთვის ამ სისტემაში ყოფნა, დაფიქრდება იმაზე, როგორ ეპყრობიან ადამიანებს და რა პატივისცემას დაიმსახურებს ან როგორ პირობებში მოუწევს მუშაობა.**

კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ ცუდ მაგალითს აძლევს მინისტრი სკოლის დირექტორებს. შესაძლოა, ის სკოლის დირექტორი საკუთარ დაწესებულებაში შეეცადოს იმავე მეთოდებით განიმტკიცოს მდგომარეობა, იგივე შეიძლება მასწავლებლებმაც გაიმეორონ. საბოლოოდ ყველაფერი ეს მოსწავლეებამდე მიდის. ეს გაცილებით უფრო რთული სიტუაციაა, ვიდრე რაიმე არაეთიკური ტერმინების გამოყენება. აქედან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ განათლების სისტემაში, მართვის თვალსაზრისით, სერიოზული პრობლემებია.

**ლილი მიროტაძე**

— ყვარლისკენ მიმავალ გზაზე მას აქვს ძალიან დიდი ტერიტორია, სადაც არის ნარგავები, ნათესები, მათ შორის ზეთისხილიც, და არის ტყის მასივი, რომელიც აკრავს ამ ტერიტორიას. იქვე არის ფეშენებელური რანჩო. არავინ გამიგოს ისე, რომ მე წინააღმდეგი ვარ რაიმე მეურნეობის ან რანჩოსი, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სიმდიდრეა, რომელმაც სიკეთე უნდა მოუტანოს იქ დასაქმებულ ადამიანებს, მაგრამ ბიზნესში წარმატებები უნდა იყოს მიღწეული სუფთად, სუფთა ხელებით და არა პოლიტიკურად გამართული ზურგით. როცა ბიზნესი და ძალაუფლება ერთი კაცის ხელშია, სწორედ ამას ჰქვია ოლიგარქია. **ეს ტერიტორიები ეკუთვნის „მგრუპს“. მინდა, კიდევ აღვნიშნო, რომ არც ხელისუფლება მალავს, რომ ეს კომპანია ეკუთვნის გეგენავას, რადგან ის დაუფარავად ჩნდება ამ კომპანიის მიერ ობიექტების გახსნისას და პრეზიდენტიც დაუფარავად მიმართავს მას და აქებს, როგორც წარმატებულ ბიზნესმენს.**

**— კობა ბექაურს ფორმალურად, მაგრამ მაინც სწორედ ბიზნეს საქმიანობის გამო შეუწყვიტეს პარლამენტარის უფლებამოსილება, დღეს კი არაერთი პარლამენტარი ახორციელებს ბიზნესს, მათ შორის გეგენავაც...**

— ბექაურთან დაკავშირებით, მიზეზი, რომ ის ჩამოაცილეს ბიზნესსაქმიანობას, და პოლიტიკას, იყო გახმაურებული ფაქტი შალვა რამიშვილთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ აშკარად დაინახა, რომ ბექაური სახარბიელო მდგომარეობაში არ აღმოჩნდა, როდესაც ის საგანგებოდ მივიდა, რომ დაეჭერინებინა რამიშვილი და წამოეკიდებინა იგი ამ ავანტიურაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რომ არა ეს ფაქტი, დღეს ბექაური პოლიტიკაშიც იქნებოდა და ბიზნესშიც, ისევე, როგორც არაერთი პოლიტიკოსია დღეს.

მახსოვს, წინა მოწვევის პარლამენტში ძალიან მკაცრად ცდილობდა ხელისუფლება ოპოზიციონერთა ბიზნესების გაკონტროლებას. უამრავი კითხვა დაისვა დავით გამყრელიძესთან დაკავშირებით. თუმცა დავით გამყრელიძეს ბიზნესი კანონიერად ჰქონდა და შემდეგ საერთოდ გაყიდა, სალაპარაკო რომ არ გამხდარიყო და არც ამ ბიზნესს შექმნოდა პრობლემა. თუ უმრავლესობის წევრები მას მიბაძავენ, ურიგო არ იქნება, თუმცა დღეს, ვფიქრობ, რომ ხელისუფლება უფრო ცდილობს, დაუშვას, ვიდრე არ დაუშვას პარლამენტარების ბიზნესსაქმიანობა.

**— ასევე, ამბობენ, რომ ყვარელში სიტუაციას ზურაბ ადეიშვილის მამა აკონტროლებს.**

— ეს ჩვენც მოარული ხმების დონეზე ვიცით, ამიტომ კომენტარს ვერ გავაკეთებთ.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# დაბრუნებული ორდენები და გადაბრუნებული კალიოსტრო

**ორდენი წარჩინების ნიშანი, საპატიო სახელმწიფო ჯილდოა, რომელიც გადაეცემა მოქალაქეს ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის. ორდენის მიმღებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ქვეყნის, ასევე ხალხის წინაშე.**



**დიმიტრი ჩუბაშენკო:**

**მე უარს ვამბობ „რესპუბლიკის ორდენზე“, რადგან ის სააკაშვილსაც გადასცეს... არ მინდა, რამე საერთო მქონდეს ამ პროვოკატორთან**

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი ერთპიროვნულად განკარგავს ჯილდოების შექმნისა და გაცემის საკითხს. ხშირ შემთხვევაში, გაცემულ ჯილდოებს პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად და მხოლოდ სააკაშვილის ოპონენტებისთვის თვალის ახვევას ემსახურება. მაგალითად, **ხელისუფლება ყოველთვის წინასაარჩევნო პერიოდს ამთხვევს, როდესაც მართლაც დამსახურებულ ადამიანებს აჯილდოებს.**

**ხშირია ფაქტები, როდესაც აჯილდოებენ მომღერლებს, „ნაციონალური მოძრაობის“ კონცერტებში აქტიური მონაწილეობისთვის.**

ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, ორდენის მთავარი ღირსება კნინდება და მხოლოდ ხელისუფლების საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მთავარ ხერხს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ ანკესზე ბევრი წამოეგო.

**თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ორდენზე უარს ამბობენ. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ უკან დაბრუნებული, უარყოფილი ორდენების შემთხვევებზე. ბოლოდან დავიწყოთ.**

24 ნოემბერს, მოლდოვის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მიხაი გიმპუმ კიშინიოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფი მიხეილ სააკაშვილი მოლდოვის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი — „რესპუბლიკის ორდენით“ (Ordinul Republicii) დააჯილდოვა. ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ მოვლენას არაჩვეულებრივი გაგრძელება მოჰყვა. საინფორმაციო სააგენტო „REGNUM“-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, **მოლდოველმა ჟურნალისტმა, დეპუტატობის კანდიდატმა დიმიტრი ჩუბაშენკომ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიხაი გიმპუს მიერ მისთვის გადაცემულ ორდენზე უარი თქვა. „მე უარს ვამბობ „რესპუბლიკის ორდენზე“, რადგან ის სააკაშვილსაც გადასცეს. არ მინდა, მე და სააკაშვილს, რომელიც ანტირუსულ პოლიტიკას ახორციელებს და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ომი გააჩაღა, ერთნაირი ორდენები გვქონდეს“,** — განაცხადა ჟურნალისტმა და თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: **„ლიბერალებისა და დემოკრატების მმართველი ალიანსის ინტერესების სასარგებლოდ, იგი უხეშად ჩაერია საარჩევნო პროცესში. სააკაშვილის კიშინიოვში მიწვევა ალიანსის ლიდერთა მხრიდან რუსეთის მიმართ კიდევ ერთი არამეგობრული ჟესტია. გიმპუ და სააკაშვილი მოლდოვისა და რუსეთის ურთიერთობას სულ უფრო აფუჭებენ და დნესტრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების ურთიერთობას სულ უფრო ამწვავებენ. ამ პროვოკატორთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს“.**

მოლდოვის შემთხვევის მსგავსად, საქართველოშიც დაუბრუნებიათ ორდენი უკან. ეს იყო შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ნოდარ მგალობლიშვილმა „ღირსების ორდენზე“ უარი თქვა და არ მიიღო. **„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა ბატონ ნოდარ მგალობლიშვილს** და ჰკითხა, თუ რატომ დაუბრუნა „ღირსების ორდენი“ შევარდნაძეს და მოიქცეოდა თუ არა დღესაც ანალოგიურად, სააკაშვილს რომ მისთვის ორდენი შეეთავაზებინა.

ბატონმა ნოდარმა გვიპასუხა: **„საინტერესოა, ვინ გარიგებთ, ასეთ შეკითხვებს რომ სვამთ. თუ რატომ დავუბრუნე შევარდნაძეს ორდენი, ეს ითქვა მაშინდელ პრესაში და ახალს არაფერს დავამატებ. რაც შეეხება იმას, ავიღებ თუ არა დღეს ვინმესგან ორდენს, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა“.**

თუმცა 2010 წლის 10 აპრილს PRESA.GE-ზე გამოქვეყნებულ მოკლე ინტერვიუში ბატონმა ნოდარმა პრეზიდენტის მიერ გაცემულ ახალ ორდენთან („ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“) დაკავშირებით განაცხადა: **„არ მესმის რა ბრწყინვალებაზეა საუბარი. გიორგი ბრწყინვალე მახსოვს და მიშა ბრწყინვალეც უნდა იყოს?! მაგ ორდენს, ალბათ, თვითონაც მიიღებს. საშინელებაა, მე არ ვიცი, პატარა ბავშვებივით იქცევიან, მთავრობიან-პრეზიდენტიანად, ყველა ერთ ტექსტს ლაპარაკობს — ეს არასოდეს ყოფილა, საქართველო ავაშენეთ! ახლა ქუთაისი, ახლა ბათუმი... პატარა ბავშვმა რომ იცის — მე კანფეტი მაქვს და შენ გაქვს?! აი, ეგ არის, მეტი არაფერი და ეს სამარცხვინოა. სინდისს გეფიცებით, მრცხვენია, ასეთი პრეზიდენტი და მთავრობა რომ გვყავს და ოპოზიციასაც რა ვუთხარი კიდევ“.**

**ნოდარ მგალობლიშვილი:**



**არ მესმის, რა ბრწყინვალებაზეა საუბარი. გიორგი ბრწყინვალე მახსოვს და მიშა ბრწყინვალეც უნდა იყოს?!**

აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რა იყო ზემოთ დასმულ შეკითხვაში შოკისმომგვრელი და აღმაშფოთებელი?!

თუმცა, ალბათ, გასაკვირი არაფერია: როცა საზოგადოების ცნობიერების გაუკუღმართებას გვაგუებენ, კალიოსტროს გადაბრუნება რა გასაკვირია?!

**ოთარ დალაქიშვილი**

## მოკლედ

### 40 წელიწადში სიღატაკე გაორმაგდა

**გაეროს მონაცემებით, 1970 წლიდან 2010 წლამდე მსოფლიოში ულატაკესი ქვეყნების რაოდენობა გაორმაგდა.** გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, ამ დროისათვის მსოფლიოში არის 49 ქვეყანა, რომელიც ყველაზე ნაკლებად განვითარებულთა კატეგორიას განეკუთვნება და რომლის მოსახლეობის 50%-ზე მეტი დღეში მხოლოდ 1 დოლარს ხარჯავს. 1970-იან წლებში მსოფლიოში ასეთი მხოლოდ 25 ქვეყანა იყო. როგორც კონფერენციის გენერალურმა მდივანმა სუპაჩაი პანიჩპაკდიმ განაცხადა, „ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიმართ გამოყენებულმა ტრადიციულმა მოდელებმა მოსალოდნელი ეფექტი ვერ მოახდინა“ და ულატაკესი ქვეყნების მიმართ ამ მოდელებს გადახედვა სჭირდება.

### რამდენჯერ ძვირდება მგზავრობა?

**ამის დათვლას „ქრისტიან დემოკრატები“ ცდილობდნენ. როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა სამუშიამ განაცხადა, მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრობის საფასური ოფიციალურად 25%-ით იზრდება, რეალურად კი ეს თანხა გაცილებით მეტია.**

„თბილისში გადაწყვეტილია მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 10 თეთრით მომატება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მთავრობა ტარიფის შენარჩუნებას გვპირდებოდა, დაპირება დაპირებადვე დარჩა. ამასთან, თუ აქამდე მოქალაქეს ერთი ტრანსპორტით სარგებლობა უხდებოდა, ახლა გარეუბნიდან ქალაქის ცენტრში მოსახვედრად 2 ან 3 ტრანსპორტის გამოცვლაა საჭირო. ასე რომ, ერთი მიმართულებით მგზავრობა 80 თეთრიდან 1 ლარამდე ჯდება“, — განაცხადა სამუშიამ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «საქართველოს ტელევიზიები ცრუობდნენ, როცა სიტყვები: «ოკუპაცია», «ეთნოწმენდა» და «აგრესია» ევროკავშირის თავმჯდომარეს — ბაროზუს მიაწერეს»

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით ლისაბონში, სტრასბურგსა და მოლდოვაში იმყოფებოდა. ლისაბონში იგი პირისპირ შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას. სააკაშვილი ევროპარლამენტში სიტყვითაც გამოვიდა. „ვსარგებლობ დღევანდელი გამოსვლით ევროპარლამენტში, რათა საკუთარ თავზე ავიღო პასუხისმგებლობა ძალის გამოუყენებლობის თაობაზე. ეს საკამათო ინიციატივაა, რადგან ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია უფლება და ვალდებულიცაა, იბრძოლოს საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად; მაგრამ მე ამ საკითხს სხვაგვარად ვუყურებ", — აღნიშნა მან. პრეზიდენტის თქმით, თბილისმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დასაწყებად. „მაგრამ, ყოველ ჯერზე, როცა ჩვენ დიალოგს ვთავაზობთ, საკმაოდ მკაცრი ფორმით ვიღებთ უარს. ახლა კი მხოლოდ ევროპარლამენტის მორალურ ავტორიტეტზე ვამყარებ იმედს, რათა ცალმხრივად განვაცხადო უარი ძალის გამოყენებაზე".**





## ჰამლეტ ჭიპაშვილი: სააკაშვილის სიტყვას არც ოსი, არც აფხაზი და, მითუმეტეს, რუსი სერიოზულად არ აღიქვამს და მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ ჰაერზე ნასროლი ფრაზებია

საქართველოს პრეზიდენტი მოლდოვას პრეზიდენტს, მიხაი გიმპუს შეხვდა. ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის მოლდოვის ყოფილ პრეზიდენტ ვლადიმერ ვორონინთან შეხვედრის შესახებ, თუმცა ვორონინმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. უარის თქმის მოტივად მან ის გარემოება დაასახელა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ „სერიოზული დეფორმაცია განიცადა". მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტთან სალაპარაკო არაფერი აქვს. ვორონინი დარწმუნებულია იმაშიც, რომ მოლდოვის მმართველი ალიანსის ლიდერების სახით მიხეილ სააკაშვილი ერთგულ მსმენელსა და მოწაფეებს იპოვის.

მოლდოვაში ყოფნის დროს საქართველოს პრეზიდენტმა წყალდიდობისგან დაზარალებული ობილენი დაათვალიერა, რომელიც ქართული მხარის დახმარებით აშენდა. ახალ დასახლებაში საქართველოს ქუჩაც არის. მოლდოვაში საქართველოს პრეზიდენტს ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — რესპუბლიკის ორდენი გადასცეს.

მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტების მნიშვნელობაზე პოლიტოლოგი **ჰამლეტ ჭიპაშვილი** გვესაუბრება.

**— ბატონო ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის ათდღიან ვიზიტს ლისაბონში, სტრასბურგსა და მოლდოვაში?**

— ნოემბრის ათი დღე ქართული პოლიტიკის მიერ შეფასდა როგორც „ოქროს დღეები", ქართული დიპლომატიის გამარჯვება და პირადად სააკაშვილის წარმატება. მე არ ვარ ასეთი პათოსით აღსავსე. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ, შესაძლოა, ეს პირადად სააკაშვილისთვის დიდი წარმატება იყო, ვინაიდან ის, ალბათ, სულ სხვა რამეს ელოდა ლისაბონის სამიტისგან. ასეა თუ ისე, მაინც თავზე ხელი გადაუსვეს. **ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რას ითვალისწინებს თავის მუშაობაში ნატო, ევროკავშირი და ევროსაბჭო. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობა მთელს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება თავზე ხელი გადაუსვა კაცს, რომელიც შენმავე კომისიამ, ანუ ევროკავშირის კომისიამ, რომელსაც ტალიავინი ხელმძღვანელობდა, დაუდგინა, რომ 2008 წლის ცხინვალის ომის დროს აგრესორი იყო.** ფარისევლურ და პარადოქსებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც სრულიად თავისუფლად შეიძლება აგრესორისთვის თავზე ხელის გადასმა და შექებაც.

**სააკაშვილს უთხრეს, რა კარგი ბიჭი ხარ და რა კარგ რეფორმებს ატარებო. არადა, ვინ ნახა ეს რეფორმები საკუთარი თვალით და ვინ იგრძნო ისე, როგორც საქართველოს მოსახლეობამ, რომელსაც მიაჩნია, რომ არანაირი რეფორმა არ განხორციელებულა?!** ერთადერთი, ყველა ხვდება, რომ ფასების მომატებას უკვე საზღვარი არ აქვს. ფასები იმატებს პროდუქტებით დაწყებული, ტრანსპორტის ხარჯებით დამთავრებული. განსაკუთრებით მოიმატა გადასახადმა წყალზე. ქვეყანაში, რომელიც წყალს მიაქვს, მოსახლეობა უდიდეს თანხას იხდის მასში. ფაქტობრივად, ეს ყველაფერი გასაკვირი არაა, რადგან ნატო, დასავლეთი, აშშ ამ პერიოდში ყოველთვის იყო ჩვენ მიმართ განწყობილი ისე, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სამართლიან ანტიპათიას იწვევდა.

რაც შეეხება თვით საქართველოს, მან ამ 10 დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტრაფარეტული სიტყვა **„ოკუპაცია"** მიიღო ლისაბონში, მეტი არაფერი. ჩვენთან ამ სიტყვის მნიშვნელობა ისე გვესმის, როგორც **„დაპყრობილი"**, მაგრამ განცხადებაში სულ სხვანაირი მნიშვნელობით იყო გამოყენებული — როგორც **„დაკავებული ტერიტორია"** და არავის არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ იქ აგრესიის შედეგად განხორციელდა ეთნოწმენდა. ეს თქვა, უბრალოდ, ევროპარლამენტმა და მეტი არაფერი, სხვაგან არ განმეორებულა. **საქართველოს ტელევიზიები ცრუობდნენ, როცა „ოკუპაცია", „ეთნოწმენდა" და „აგრესია" მიაწერეს ევროკავშირის თავმჯდომარეს — ბაროზუს. არადა, მე თვითონ ინტერნეტიდან ამოვიღე ბაროზუს მოკლე გამოსვლა და მსგავსი სიტყვები არც გამოუყენებია მას. ის, უბრალოდ, საუბრობდა იმაზე, რომ მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, უსაფრთხოებას. არც აგრესიაზე და არც ოკუპაციაზე კრინტიც არ დაუძრავს, მითუმეტეს — ეთნოწმენდაზე.**

**ფაქტობრივად, საქართველომ ერთადერთი სიტყვა მიიღო, რომელიც ჩაიწერა თუნდაც სტრასბურგში, ეს იყო „ოკუპაცია". არადა, ჩვენი ტელეკომპანიები დაბეჯითებით გვიმტკიცებდნენ საწინააღმდეგოს. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საკითხმა და მისმა აქტუალობამ მეორე პლანზე გადაიწია.**

ლისაბონის დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ ბუქარესტის სამიტმა გადაწყვიტა ნატოში საქართველოს მიღება და ჩვენც ვიმეორებთ იმავეს. მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ნიშნავს იმას, რომ **მომავალი 10 წლის განმავლობაში საქართველო ვერ ეღირსება ნატოში შესვლას. ამისთვის საჭირო იქნება კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. თუ სასწაული მოხდა და ურთიერთობა გაუმჯობესდა, საქართველო გაწევრდება ნატოში, მაგრამ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე.**

**— რაც შეეხება მოლდოვაში ვიზიტს, რითაა ეს ვიზიტი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი? საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო-მოლდოვის მომავალ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის დიდი პერსპექტივები არსებობს.**

— მოლდოვაში არაა დამშვიდებული პოლიტიკური ვითარება. მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა იქ ძალაუფლება დაკარგეს, ცდილობენ, გავლენა დაიბრუნონ. მათ საკმაო ძალა აქვთ პარლამენტში, მაგრამ ერთი ხმა დააკლდათ პრეზიდენტის ასარჩევად. ამდენად, ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ გაუგებარი ვითარებაა. ქვეყანას მართავს კოალიციური მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პირწავარდნილი რუმინელი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გიმპუ. მისი უპირველესი მიზანია მოლდოვის რუმინეთთან შეერთება. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამას მხარს უჭერს, მაგრამ უდიდესი ნაწილი წინააღმდეგია. დარწმუნებული ვარ, რომ ძალაუფლება სხვანაირად გადანაწილდება ქვეყანაში. იმისთვის, რომ საკუთარი პოზიციები განემტკიცებინა, გიმპუმ სააკაშვილი მიიწვია. სააკაშვილმაც არ დააყოვნა და მაშინვე მოლდოვაში გაქანდა.

**— პრეზიდენტის თქმით, თბილისმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დასაწყებად. ევროპარლამენტში გამოსვლის დროს სააკაშვილმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იღებს ძალის გამოუყენებლობაზე. თქვენი აზრით, რას ნიშნავს პრეზიდენტის ეს განცხადება?**

— გიმპუ ანტირუსულადაა განწყობილი. სააკაშვილის მოლდოვაში ვიზიტით კიდევ ერთხელ აშკარად გამოიწვია მოსკოვი და კრემლი. ამის შემდეგ შეიძლება კიდევ ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილს სურს რუსეთთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება? მას არანაირად არ სურს მოსკოვთან დადებითი განწყობის შექმნა. რომც დაელაპარაკოს, ამით რა? მან ძალიან კარგად იცის, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის დროს შეცდომების აღიარება მოუწევს. ეს ყველაფერი რუსეთის ხელისუფლებამაც იცის და მასაც არ სურს სააკაშვილთან საუბარი, აგრესორთან, როგორც რუსეთი სააკაშვილზე ამბობს. ასე რომ, **სააკაშვილის მიერ სტრასბურგის ტრიბუნიდან ნასროლი სამშვიდობო ფრაზები არის ბლეფი და ერთ რამეს ემსახურება — ნაცარი შეაყაროს თვალებში ყველას.**

**— სააკაშვილის განცხადებების მიხედვით, იგი მზადაა, რუსეთთან ყველა დონეზე უპირობო დიალოგი დაიწყოს. ცნობილი გახდა, რომ „ხელის გაწვდის" მორიგ ინიციატივას მოსკოვში სკეპტიკურად უყურებენ. თქვენი აზრით, საქართველოსთვის ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ეს განცხადება არაფერს შეცვლის?**

— სააკაშვილს ევროკავშირის ხელმძღვანელობამ ათქმევინა ამის თაობაზე. ბრიუსელში ყოფნის დროს, როდესაც ევროკავშირის ხელმძღვანელებს შეხვდა. **მათ აიძულეს სააკაშვილი, გადაედგა შემრიგებლური ნაბიჯი ყოფილი ავტონომიების მიმართ და ეთქვა, რომ არ აპირებს ძალის გამოყენებას. საქმე ისაა, მოტყუვდებიან თუ არა აფხაზები და ოსები. მათ ახსოვთ, რომ ომის დაწყებამდე სააკაშვილმა ორი დღით ადრე გააკეთა პაციფისტური განცხადება — ვიყოთ ძმები და მეგობრებიო — და ორ დღეში დაიწყო ომი.** ესე იგი სააკაშვილის სიტყვას არც ოსი, არც აფხაზი და, მითუმეტეს, რუსი სერიოზულად არ აღიქვამს და მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ ჰაერზე ნასროლი ფრაზებია.

**ფარისევლურ და პარადოქსებით აღსავსე ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც სრულიად თავისუფლად შეიძლება აგრესორისთვის თავზე ხელის გადასმა და შექებაც**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «უზარმაზარი მცდელობით «გაჩალიჩებული» სააკაშვილ-ობამას 15-წუთიანი შეხვედრა საქართველოს მოსახლეობას მილიარდზე მეტი დაუჯდა»

**27 ნოემბრის ღამეს ლეიბორისტული პარტიის ოფისთან ძლიერი აფეთქება მოხდა, რასაც შეეწირა ქალბატონის სიცოცხლე, რომელიც ჯავახიშვილის ქუჩაზე, ოფისის მახლობლად ცხოვრობდა. პარტიის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მორიგი ტერორისტული აქტი იყო მათ წინააღმდეგ და ის პარტიის საქმიანობასა და იმ მწვავე განცხადებებს უკავშირდება, რომელსაც ლეიბორისტები ხშირად ხმამაღლა აცხადებენ. ამჯერად პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე სააკაშვილ-ობამას შეხვედრაზე გვესაუბრება, რაც, მისი განცხადებით, საქართველოს ბიუჯეტს მილიარდზე მეტი დაუჯდა.**

## სხვადასხვა ქვეყანაში მოკალათებული მექრთამე მაღალჩინოსნები: პარლამენტარები, კონგრესმენები თუ სხვები მსოფლიოს წინაშე სააკაშვილისა და მისი დამღუპველი პოლიტიკის პირდაპირ ლობირებას ეწევიან.

— მოგეხსენებათ, სააკაშვილი დღიდან პრეზიდენტობისა მილიონებს უხდიდა ლობისტურ კომპანიებს, რომლებიც პიარს უკეთებდნენ მას სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სააკაშვილის რეკლამირებისთვის ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხაა გამოყოფილი. ერთ-ერთი ასეთი ლობისტური კომპანიაა „ბილსმანის კომპანია". ის მუშაობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში, ევროსაბჭოს, ევროკავშირის ქვეყნებსა და კანადაში სააკაშვილის შეხვედრები გააპიაროს და გააშუქოს როგორც მის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიებით ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. **ეს თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან ამოღებული მილიარდებია, რომელიც ამერიკელი თუ ფრანგი ლობისტების ჯიბეში მიდის. სწორედ ამ უზარმაზარი მცდელობით „გაჩალიჩებული" სააკაშვილ-ობამას 15-წუთიანი შეხვედრა, საქართველოს მოსახლეობას მილიარდზე მეტი დაუჯდა, რადგან ეს დაფინანსება ერთი და ორი წლის მანძილზე არ მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება.** ამის შედეგია, რომ სააკაშვილი და სხვადასხვა ქვეყანაში მოკალათებული მექრთამე მაღალჩინოსნები: პარლამენტარები, კონგრესმენები თუ სხვები მსოფლიოს წინაშე სააკაშვილისა და მისი დამღუპველი პოლიტიკის პირდაპირ ლობირებას ეწევიან.

**— თქვენი აზრით, რამდენად შედეგიანი იყო ეს შეხვედრა?**

— ჩვენ ვნახეთ, რომ ობამა შეხვდა ორ დიქტატორს. ერთ-ერთი იყო ავღანეთის პრეზიდენტი, რომელიც კორუფციაშია დადანაშაულებული, და სააკაშვილს. რა კუთხით წარიმართებოდა საუბარი, ეს ადვილი მისახვედრია. ორი ოდიოზური ფიგურაა ხომ? თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რამე პოზიტიური რომ ყოფილიყო ამ შეხვედრაზე, რა ამბავს ატეხდა სააკაშვილი თავისი ტელევიზიებით! კარგად რომ არ დასრულდა ეს შეხვედრა, ამიტომაც არ ამოულია ხმა მას ობამასთან შეხვედრასა და იქ განვითარებულ მოვლენებზე.



**— დიდხანს იყო საუბარი ბათუ ქუთელიას შეცვლაზე. ამბობდნენ, რომ სააკაშვილი მას იმიტომ შემოსწყრა, რომ ვერ მოახერხა, შეეხვედრებინა ობამასთან. ახლა ქუთელია იაკობაშვილმა შეცვალა, როგორ ფიქრობთ, მართლაც ობამასთან შეხვედრას უკავშირდება ქუთელიას შეცვლა?**

— რა თქმა უნდა, ამას უკავშირდება. იცით, ალბათ, რომ ბატონი იაკობაშვილი არის ებრაელი, მას ჰყავს უამრავი ებრაელი მეგობარი და ებრაელების მეშვეობით შეეცდება, სააკაშვილს პოლიტიკური მოღვაწეობა გაუხანგრძლივდეს, ახალი ლობისტების მეშვეობით, რომლებზეც შეეცდება გასვლას ებრაული კავშირების მეშვეობით.

**— რაც შეეხება თქვენი პარტიული ოფისის აფეთქებას, რას უკავშირებთ ამ ფაქტს?**

— ღამით, ორის ნახევარზე, ლეიბორისტული პარტიის ოფისის წინ მოხდა ძალიან ძლიერი აფეთქება, რომლის შედეგადაც დაზიანდა არამარტო ლეიბორისტული პარტიის ოფისი, არამედ მოპირდაპირე მხარეს შენობას ჩაემსხვრა მინები და არის მსხვერპლიც, გარდაცვლილია ქალბატონი ნინო გორდეზიანი, რომელიც იყო ჩვენი პარტიის მხარდამჭერი. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო მის ოჯახს. ეს უკვე მერამდენე ტერორისტული აქტია ლეიბორისტული პარტიის მიმართ, დაშინების მცდელობის მიზნით, ალბათ, იმისთვის, რომ პარტიის ხელმძღვანელმა, მისმა თითოეულმა წევრმა არ ილაპარაკოს სააკაშვილის დამანგრეველი რეჟიმისა და პოლიტიკის შესახებ. ამ ტერაქტებით, ალბათ, ერთუჯრედიანი ადამიანები ცდილობენ, ლეიბორისტული პარტია გააჩერონ. მათ, ალბათ, იმედი აქვთ, რომ ამ ტერორისტული აქტებით შეძლებენ ჩვენს გაჩუმებას, მაგრამ რა დააშავეს თბილისელებმა, იმ ადამიანებმა, რომლებიც არ ერევიან პოლიტიკაში და ცხოვრობენ დედაქალაქში?!

**— გამოძიება რას ამბობს მომხდარზე?**

— სპეციალისტები მთელი ღამე მუშაობდნენ. ამოიღეს ლეიბორისტული პარტიის კუთვნილი კამერის მიერ გადაღებული ჩანაწერები. თუ უნდათ ამ ტერაქტის გამოძიება, გამოიძიებენ კიდეც და, ალბათ, საზოგადოებასაც ეცნობება ამის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, ეს აფეთქება მოხდა ტროტილით და, ტროტილი ვისაც აქვს დღეს ქვეყანაში, მოგეხსენებათ. იცით, როგორ კონტროლდება ქვეყანაში იარაღის ქონა-არქონის ფაქტები და მითუმეტეს — ტროტილის.

**— უშუალოდ პარტიის ოფისთან მოხდა აფეთქება?**

— ჩემი კაბინეტის წინ ამოქმედდა ასაფეთქებელი საშუალება. ჩემი და ჩემი კოლეგის — კონსტანტინე გუგუშვილის ოთახებია ყველაზე მეტად დაზიანებული. იქ დღის განმავლობაში უამრავი ადამიანია და დღისით რომ მომხდარიყო, აუცილებლად იქნებოდა მსხვერპლი. კეთილი ინებოს ქალაქის მერიამ და ამ ადამიანებს ჩაუსვას მინები, რაც შეიძლება სწრაფად, ბიუჯეტის ხარჯზე. ასევე კეთილი ინებოს და ქალბატონი ნინო გორდეზიანის დაკრძალვის ხარჯები აანაზღაუროს.

## «ჩვენი ვარაუდით, ეს აფეთქება მოხდა ტროტილით და, ტროტილი ვისაც აქვს დღეს ქვეყანაში, მოგეხსენებათ»






ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### აფეთქება ჯავახიშვილის ქუჩაზე

**ჯავახიშვილის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებას 58 წლის ნინო გორდეზიანი ემსხვერპლა. მას აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ანასხლეტი მოხვდა.** ადგილობრივების ინფორმაციით, აფეთქება 28 ნოემბერს, დაახლოებით 01:40 საათზე მოხდა. ჩამსხვრეულია ლეიბორისტული პარტიის ოფისისა და მოსაზღვრე სახლის მინები. ასევე, დანგრეულია კედლები და რამდენიმე ოთახის ჭერი. დაცვის თანამშრომლების ინფორმაციით, დაშავებულია მათი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც ტვინის შერყევა აქვს. დაშავდა კიდევ ოთხი ადამიანი, რომელთა შორის ერთი მცირეწლოვანია. თვითმხილველები აფეთქებამდე ადგილზე გაჩერებულ ვერცხლისფერ ავტომანქანა „მერსედესზე" საუბრობენ. სავარაუდოდ, სწორედ მან დატოვა ადგილზე ასაფეთქებელი მოწყობილობა.

### აფეთქება ნონეშვილის ქუჩაზე

**გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელი ნოდარ სანდუხაძე ჯავახიშვილის ქუჩასა და მუხიანის დასახლებაში მომხდარი აფეთქებების საერთო ხელწერაზე საუბრობს. ორივეგან, სავარაუდოდ, ტროტილი აფეთქდა.**

მუხიანის პირველ მიკრორაიონში, ნონეშვილის ქუჩის №13 კორპუსში არსებულ მაღაზიასთან აფეთქება 28 ნოემბერს, 02:55 საათზე მოხდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანებულია მაღაზია, კორპუსის მცხოვრებთა ფანჯრების მინები კი ჩაიმსხვრა. ადგილობრივი მცხოვრებლების განცხადებით, აფეთქება მაღაზიის კიბეზე დამონტაჟებულმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ გამოიწვია, თუმცა კონკრეტულად რა ნივთიერება აფეთქდა, მათთვის უცნობია.

### ტერაქტი ლეიბორისტების წინააღმდეგ

**ლეიბორისტები პარტიის ოფისთან მომხდარ აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაციას აძლევენ და პასუხიმგებლობს ხელისუფლებას აკისრებენ.** პარტიის პოლიტიკური მდივნის — სოსო შატბერაშვილის განცხადებით, როდესაც ერთ-ერთი მთავარი პარტიის ოფისთან ხდება აფეთქება, რომელსაც ეწირება პარტიის აქტივისტის — ნინო გორდეზიანის სიცოცხლე, არის ტერორისტული აქტი, რომელსაც პოლიტიკური დანიშნულება აქვს. შატბერაშვილის განცხადებით, აფეთქებისთვის გამოყენებული იყო ისეთი ნივთიერება, რომელიც მხოლოდ სპეცსამსახურებს აქვს. „ეს ნივთიერება სხვაგან არ იშოვება, ამიტომ მომხდარზე მთელ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას ვაკისრებთ", — განაცხადა მან. მომხდარს ტერაქტი უწოდა პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმაც.

### თქვენ წინაშე სამშობლოა!

**უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქართული ჯარი, პრეზიდენტი, პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი და ოპოზიცია დალოცა.** პატრიარქმა აღნიშნა, რომ ორივემ — მთავრობამაც და ოპოზიციამაც — უნდა იცოდეს, რომ მათ წინაშე სამშობლოა, ამიტომ უნდა დათმონ პირადი და ყველაფერი გააკეთონ, რათა საქართველო გამთლიანდეს. „ღმერთმა მოგვცეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული სამშობლოსი, ადამიანების დაფასება, თავმდაბლობა, განცდა ცოდვათა ჩვენთა, სიყვარული და სასოება, იმედი ღვთისა და ადამიანისა, სიყვარული ღვთისა და მოყვასისა. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ოჯახები, გაამრავლოს ქართველები და გაამთლიანოს სრულიად საქართველო", — ბრძანა უწმინდესმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელისუფლებამ წელზე ქამრების შემოჭერით დაიწყო და ახლა კისერზე ყულფის შემოჭერას გვიპირებს!..

**საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია დღითიდღე უარესდება. ხელისუფლება კი, ბოლო 7 წელია, გვიმტკიცებს, რომ ეკონომიკა წინ მიდის და ქვეყანა აყვავების გზაზე დგას. ასევე, დიდი ხნის წინათ გვახარეს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი დაკემსილი კი არ არის, არამედ, პირველად საქართველოს ისტორიაში, გადაჭარბებით სრულდება და გალამაზებული თბილისი უამრავ ინვესტორს იზიდავს. თუმცა ნაცრის შეყრის პრინციპი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავზე გრძნობენ ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმეს და ხშირად კითხულობენ — თუ ბიუჯეტი მუდმივად გადაჭარბებით სრულდება, რატომ ვერ ხერხდება ხელფასებისა და პენსიების, შემწეობებისა თუ დახმარებების გაზრდა? რატომ იხარჯება დიდძალი თანხა ნაკლებსაჭირო პროექტებზე და რას აძლევს ქვეყანას ბრენდად ქცევისთვის მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნა?**

**ამ საკითხებზე ვესაუბრებით ყოფილ ფინანსთა მინისტრს, დავით ონოფრიშვილს.**



**— ბატონო დავით, რამდენად ნორმალურია, როცა ქვეყნის ბიუჯეტს არ აქვს შევსების პრობლემა, მაგრამ ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობა ამას ვერ გრძნობს?**

— მთავრობამ განაცხადა, რომ „ქამრების შემოჭერის პოლიტიკას" ახორციელებს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ 2011 წლის ბიუჯეტის პროექტს, რაც აქამდე არსებობს, ვერ მივიჩნევთ როგორც რაიმე განსაკუთრებული შემცირებების შედეგს.

ყოველ შემთხვევაში, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ქამრების შემოჭერა არ ეტყობა ბიუროკრატიული აპარატის ხარჯებს. ერთის მხრივ, ნათქვამია, თითქოს შრომისანაზღაურება არ იზრდება, მაგრამ არის მთელი რიგი სამინისტროები, რომლებშიც საშტატო ერთეული არ იცვლება, სამაგიეროდ მატულობს თანამშრომელთა სახელფასო ფონდი, თუნდაც 3-5 და მეტი პროცენტით, რაც ხარჯების შემცირება და ქამრების შემოჭერა ნამდვილად არ არის.

**— რომელ სამინისტროებზეა ხელფასების ასეთი მატება გათვალისწინებული?**

— ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის და ა. შ.

**— ანუ ეს ნიშნავს, რომ განათლებაზე, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურაზე მეტად, ამ სფეროში მომუშავეთა ხელფასებისთვის არის გათვალისწინებული ხარჯები?**

— **დიახ. მაგალითად, ჯანდაცვაში თანხების ზრდა დაკავშირებულია სოციალური სააგენტოს ზოგიერთი თანამშრომლის ხელფასების გაზრდასთან, ვინც დახმარებებს არიგებს; მაგრამ არა იმათთვის, ვისაც დახმარებას ურიგებენ.** როცა საუბარია საყოველთაო გაჭირვებაზე და ხარჯების შემცირებაზე, მაშინ ეს ბიუჯეტსაც უნდა დაეტყოს.

**— როგორც ვიცი, ასევე გაურკვეველია სხვა ხარჯების მიზანმიმართულობა...**

— სხვა ხარჯებიც (900 მილიონი ლარი) ხმარდება კონკრეტულ სამინისტროებს, მაგრამ არც ეს არ არის გაწერილი. ნაწილი მიდის განათლებაში ვაუჩერიზაციაზე, ნაწილი — შეიძლება ჯანდაცვაშიც, მაგრამ დიდი ნაწილი, ბოლომდე არ ჩანს, რისთვის უნდა დაიხარჯოს.

ასევე, განათლებაში შემცირდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა ქართული ენის პროგრამა; განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა. **გაუქმდა საზღვარგარეთ ქართული სკოლის დახმარების პროგრამა, რომელიც სულ რაღაც 100 000 ლარს შეადგენდა. გაუგებარია, რატომ არ უნდა დაფინანსდეს უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის მშობლიური ენის სწავლება, როცა 32 მილიონი იხარჯება კომპიუტერიზაციის პროგრამაზე სკოლებში,** და როცა არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს პირველ-მეორე კლასებში კომპიუტერის სწავლების მიზანშეწონილობაზე. ამ ასაკის ბავშვების სწავლების დაწყებას კომპიუტერებით და არა წიგნებით, სრულიად არ იზიარებენ ევროპასა და ამერიკაში. ასევე არ ფინანსდება ეთნიკურ რეგიონებში ქართული ენის სწავლების პროგრამა.

**— დაზღვევის ერთიანი სისტემა თითქმის აღარ არსებობს. მერიამ არჩევნების შემდეგ ის დაზღვევაც გააუქმა, რაც ხმების მოსაგროვებლად სჭირდებოდა. მარტოხელებსაც კი არ ეძლევათ დახმარება ერთნაირად. აქაც შერჩევითი მეთოდებია „ნაციონალების" მხრიდან...**

— ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ბიუჯეტს მოჰყვება მომავალი წლების პროგნოზი და არანაირი რადიკალური ცვლილება უკეთესობისკენ არ შეინიშნება, რადგან გაიზარდა და გაორმაგდა საგარეო ვალები. შესაბამისად, ამ ბიუჯეტში უფრო მეტი თანხა უნდა დაიხარჯოს საგარეო ვალის მომსახურეობაზე, როგორც ძირითად თანხაზე, ასევე პროცენტებზე. ცხადია, ეს თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტში. ამგვარი ხარჯი უკვე 325 მილიონია, ხოლო 2013 წელს საქართველოს მოუწევს დაახლოებით მილიარდ 300 მილიონი ხარჯის გაწევა.

**— ხშირად ამბობენ, რომ ამ ვალების გადახდა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს მოუწევთ. რეალურად რა ვითარებაა?**

— ბიუჯეტი არის 7 მილიარდი. მომავალში შეიძლება ცოტათი კიდევ გაიზარდოს, საიდანაც ავტომატურად ჩამოიჭრება ეს თანხა. თუ 300 მილიონს ახლა ვიხდით და სოციალურ პროგრამებზე ზრდა არ არის, როცა მილიარდს 300 მილიონი მოეჭრება ბიუჯეტს საგარეო ვალის მომსახურეობაზე, წარმოიდგინეთ მაშინ რამხელა შემცირებები უნდა მოჰყვეს სხვადასხვა მიმართულებით. ამიტომ საკმაოდ რთული სურათი და ცუდი პროგნოზი იხატება მომავალი წლების ბიუჯეტების როგორც შესრულების, ისე ხარჯვის პრიორიტეტულობის თვალსაზრისით.

**— რა არის ამის მიზეზი, რამ მიგვიყვანა წარმატებული ეკონომიკური ზრდის ტემპებიდან ქამრების მოჭერამდე?**

— ყველაფერი, რაც დღეს ხდება — ბიუჯეტის პრობლემა, ფასების ზრდა, ინფლაციური პროცესები, პენსიონერთა და გაჭირვებულთა მდგომარეობა — მიმაჩნია, რომ ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ბოლო 7 წლის განმავლობაში. ლიბერალურ ეკონომიკური პოლიტიკის ნაცვლად ტარდება ფსევდოლიბერალური პოლიტიკა. **ეს არის წმინდა ავტორიტარულ რეჟიმზე დაფუძნებული მკაცრი ადმინისტრირებული მართვა, რომელიც ასევე შორსაა დემოკრატიული ღირებულებებისგან. ამან, საბოლოო ჯამში, გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში რეალურად გაიზარდა უმუშევრობა. თვითონ პრეზიდენტიც აცხადებს, რომ თბილისში 30%-ია უმუშევრობა, გაიზარდა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა რაოდენობაც. სახელმწიფო სტატისტიკით, ეს არის 1,8 მილიონი კაცი.** აქედან, სავარაუდოდ, 800 000 ადამიანი არის პენსიონერი. ამ ადამიანებს აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდიდან, ბოლო ორი წელია, არანაირი დახმარება არ გაზრდიათ. **ამ მილიონ 800 ათასი ადამიანიდან, ვინც შემწეობას ითხოვს, დახმარება ეძლევა მხოლოდ 25%-ს, ისიც 24 ლარი თვეში. ამის პარალელურად, როგორც აღვნიშნეთ, სამჯერ და მეტჯერ გაიზარდა ფასები პირველადი მოთხოვნილების საქონელზე. ამასთან, მაჩვენებელი, რომლითაც განისაზღვრებოდა საარსებო მინიმუმი, დღეს არის 145 ლარი. პენსია კი, ოფიციალურად, 70 ლარია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის შეჭირვებულ მოსახლეობას საარსებო მინიმუმსაც ვერ აძლევს. ამ დროს კი წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრობენ.**

**— მაგრამ რამდენად სწორად არის დათვლილი საარსებო მინიმუმი? შეიძლება დღევანდელ პირობებში, თუნდაც 145 ლარით, ადამიანმა თავი გაიტანოს საქართველოში?**

— ექსპერტთა გათვლებით, ესეც შემცირებული ციფრია. ცხადია, ფაქტობრივად უფრო მაღალია. მაგრამ რაც არის, იმასაც რომ ვერ აძლევს ხელისუფლება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობას, ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა აფსოლუტურად მოხსნილი აქვს. გზები რომ იგება და შენდება რაღაცები, ხიდებიც, ერთის მხრივ, კარგია, მაგრამ ყველაფერს თავისი პრიორიტეტი აქვს ქვეყანაში.

ამავე პერიოდში საკმაოდ გაუარესებულია სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრებიც: რადიკალურად შემცირებულია უცხოური ინვესტიციები (2007 წელთან შედარებით 80%-ით შემცირდა). წელს, მარტო 6 თვეში, შემოსულია სულ რაღაც 270 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია. ასევე გაუარესებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები. იმპორტი თითქმის 4-ჯერ აჭარბებს ექსპორტს. ყველაფერი ეს, ცხადია, ნეგატიურად მოქმედებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სამომავლოდაც საკმაოდ რთულ ვითარებას გვიქადის.

**— მაშინ რომელი რეფორმების გამო გვაღიარა მსოფლიო ბანკმა, რომ მოწინავეები ვართ მსოფლიოში?**

— რეალური წარმატებები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ იყო პირველი ორი წლის განმავლობაში. 2007 წლის შემდეგ ეს ყველაფერი მოდის ინერციით. მთავრობას ისე გაუჭირდა, რომ დღეს გადასახადებიც კი გაზარდა: საშემოსავლო გადასახადი თუ იყო 12% და 2007 წელს გახდა 25%, შემდგომ ისევ უნდა შემცირებულიყო, რისთვისაც შკალაც შედგა. მომავალი წლიდან უნდა ყოფილიყო 18%, შემდგომ კი ორ წელიწადში 15%-მდე დაწეულიყო. მაგრამ ახალი საგადასახადო კოდექსით დარჩა 20% (კიდევ სამი წლით) და 18-მდე თუ ჩამოვა შემდეგ წლებში მაინც, ვნახოთ. იგივე სიტუაციაა დივიდენდთან მიმართებაში. საგადასახადო კოდექსი უკვე იმდენად ლიბერალურიც აღარ არის, რაც იყო ადრე. ამას დაემატა ბიზნესთან ასეთი მძიმე დამოკიდებულება...

**—ანუ ტერორისტული?**

—ამ სიტყვას არ ვიტყოდი, მაგრამ, **ბიზნესის მხარდაჭერის ნაცვლად, რეალურად დაკანონდა სამთავრობო რეკეტი. ხშირ შემთხვევაში, მეწარმეთა დიდი ნაწილი ან იძულებულია გაჩერდეს, უარი თქვას საკუთარ ბიზნესზე, ან უფრო შეზღუდულად აწარმოოს იგი.**

**—მეც ამას ვგულისხმობდი ტერორში და არა პირდაპირი გაგებით...**

— ხშირ შემთხვევაში, როცა ხდება გარიგებები, თანხების ამოღება... მეწარმე უკვე დამფრთხალი და შეშინებულია და, თუ ვინმეს შეუძლია, რაიმე თანხა მიიტანოს, დაჭერას ურჩევნია, გადაიხადოს კომპანიის საბრუნავი სასიცოცხლო სახსრები ან საკუთარი სახლები... უკაცრავად, სახსრები.

**—სახლების გაყიდვაც მოუწია ზოგიერთს, მე მგონი შემთხვევით არ შეგეშალათ...**

—ჰო, და ასეთი მიდგომით, ცხადია, საშუალო და მცირე ბიზნესსაც არანაირი სტიმული არ აქვს (მსხვილზე უკვე არაა ლაპარაკი), რეალურად მოგებაზე რომ იმუშაოს. რაც მთავარია, მათ არ აქვთ კონკურენტუნარიანი გარემო თავისუფალი ბაზრის განვითარებისთვის. სამართლიანი სასამართლოც ვერანაირად ვერ იქნა მიღწეული. საკუთრების ხელყოფასთან დაკავშირებით პრობლემა ძალზე დიდია.

**ცნობილ ჟურნალში „ეკონომისტი" იყო ასეთი ინფორმაცია, საქართველოს, საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით, 94-ე ადგილი უჭირავს. ამიტომ, მე მგონია, რომ სჯობს, საკუთრების დაცვისა და პატივისცემის კუთხით ვიყოთ თუნდაც მეათე ადგილზე, რაც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია,** თორემ ბიზნესის დაწყების თვალსაზრისით რომ ხელსაყრელი პირობებია და ფირმის გახსნა ერთ დღეში შეგიძლია, ეს კარგია. მაგრამ...

**— გახსნით კი გახსნი, მერე როგორ განავითარებ, ესაა მთავარი...**

— საკუთრების უფლებას რომ არ იცავს სახელმწიფო, ეს სერიოზული პრობლემაა. ბევრია მონოპოლისტი. ანტიმონოპოლიური სამსახური ფიქტიურად არსებობს. ეს ყველაფერი, ცხადია, წლების განმავლობაში ხდებოდა, სხვა მოსაზრებებს არც იზიარებდნენ და მტრულადაც აღიქვამდნენ ქართველი თუ უცხოელი ეკონომისტების, ექსპერტების შენიშვნებსა და წინადადებებს. დღევანდელი სიტუაცია ამის შედეგია და **ზამთრის შემდგომ სოციალურად კიდევ უფრო დაიძაბება ვითარება. რადგან ფასები იზრდება, შემოსავლები კლებულობს და რეალური მდგომარეობა საკმაოდ რთულია.**

**— ამასთან, სულ უფრო მეტი ადამიანი რჩება უმუშევარი და გარკვეულწილად ამიტომაც იზრდება ქვეყნიდან ხალხის გადინება.**

— ცხადია, 90% სწორედ უმუშევრობის გამოა წასული ქვეყნიდან. თუმცა სტატისტიკა მათ რაოდენობას უმუშევართა აღწერისას არ ითვალისწინებს.

ბაზარი თავისით ვერ განსაზღვრავს სოციალურად დასახმარებელი ადამიანების ბედს, მითუმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენია. ამიტომ ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სოციალურად დაუცველ ფენებს. მაგრამ ამ ხელისუფლების პოლიტიკაზე უკვე ვისაუბრეთ. მაგრამ მოსახლეობამ მომავალში მაინც უნდა განსაზღვროს, უნდა ასე გააგრძელოს ცხოვრება თუ ახალ გზას აირჩევს.

ეს არჩევანი კი რაც შეიძლება მალე უნდა გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალური დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზრდება და უახლოეს პერიოდში კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს.

ესაუბრა
**ნინო ცხოიძე**

## დავით ონოფრიშვილი:
## როცა ხელისუფლება საარსებო მინიმუმსაც ვერ აძლევს მოსახლეობას, ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობას სრულიად იხსნის...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თემურ ქორიძე: დღეს «ოპოზიციური ელიტა» დეპრესიულ მდგომარეობაშია

**ქართულ გაზეთებში მთავარი სტატიები „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ კრიტიკას ეძღვნება. ექსპერტები აცხადებენ, რომ მისმა ლიდერებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაუცრუეს იმედი. კრების შედეგებზე საუბრისას პოლიტიკური მიმომხილველები და ექსპერტები ასევე თანხმდებიან, რომ საზოგადოების მოლოდინი და კრების ორგანიზატორთა გეგმა განსხვავებული აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ დღეს არა მარტო ოპოზიცია, მთლიანად საქართველოა ჩიხში, რადგან საზოგადოებას, ერთის მხრივ, ხელისუფლება არასტაბილურობის განცდას უნერგავს; მეორეს მხრივ კი, საზოგადოება ხელისუფლებაზე მეტად ოპოზიციას არ ენდობა. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თემურ ქორიძეს ვესაუბრეთ.**



— **დღეს ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება ყველაზე მტკივნეულად უბრალო მოქალაქეების ყოფა-ცხოვრებაზე აისახება. საზოგადოებას, მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, „სახალხო კრების“ დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ესეც ოპოზიციის ერთ-ერთი წარუმატებელი ნაბიჯი აღმოჩნდა. რატომ მოხდა, რომ სახალხო კრებამ ვერ შეასრულა დასახული ამოცანა?**

— სახალხო კრების იდეა არ ჩასახულა არც გუშინ, არც გუშინწინ და არც შარშან. მარტო 1990 წელს ორჯერ-სამჯერ ჩატარდა მსგავსი კრება, 2006 წელსაც ჩატარდა ეროვნული ყრილობა, რომელსაც წინ უძღოდა ხმაურიანი ხელმოწერების კამპანია. შეაგროვეს მილიონ-ნახევარი ხელმოწერა, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლება გამოაცხადეს არაკანონიერად. ამ ხელმოწერების შემდეგ ფილარმონიაში შეიკრიბა 500-მდე კაცი. გაკეთდა განცხადებები და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ცოტა შორს თუ წავალთ და გავიხსენებთ ისტორიას, თუ როდის იყო ნაყოფიერი სახალხო კრება, გეტყვით, რომ ეს იყო 554 წელს ეგრისში (დღევანდელ სამეგრელოში) ჩატარებული სახალხო კრება და მეორე 1917 წელს, როდესაც გადადგა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II. თუ დავაკვირდებით, ასეთი დიდი სახალხო კრებები შედეგიანი იყო მაშინ, როდესაც საქართველო უმეფოდ იყო დარჩენილი და ხალხი თვითონ წყვეტდა ქვეყნის მომავალს. ისტორიაში მხოლოდ ეს ორი სახალხო კრებაა წარმატებული. ეს მოკლე ექსკურსი გავაკეთე იმისათვის, რომ წარმოვაჩინოთ, თუ რატომ იყო წარუმატებელი დღევანდელი სახალხო კრება. მათ არ გაითვალისწინეს ისტორიის გაკვეთილები, რეალობა, რაც დღეს საქართველოშია. უფრო მეტიც, რატომღაც ჩათვალეს, რომ უუფლებო ხალხი იქნებოდა ხელისუფლების გადაყენების საშუალება და წყარო. **ისინი აქცენტს აკეთებდნენ კონსტიტუციის მე-5 მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი. ჩათვალეს, რომ, თუკი ექნებოდათ ხალხის მანდატი, შეძლებდნენ სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას. მაგრამ დაავიწყდათ, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოში ხელისუფლების წყარო ხალხი არაა. ხელისუფლების წყარო არის ძალა და სიყალბე.**

„ოპოზიციური ელიტა“ დღეს თვითონ იმყოფება დეპრესიულ მდგომარეობაში, აბსოლუტურად დაბნეულია და წარმოდგენა არ აქვს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. მე ამას არ ვამბობ ნიშნისმოგებით, პირიქით, დიდი გულისტკივილით ვაცხადებ. „სახალხო კრების“ წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ კრებაში მონაწილეობდა 25 ათასამდე პიროვნება. მინდა გითხრათ, რომ 25 ათასი ადამიანი რომ ჰყოლოდა ერეკლე მეფეს, ოღონდ იარაღში ჩამჯდარი და თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლი, აღა-მაჰმად ხანი თბილისში ველარ შემოიჭრებოდა. მაგრამ **ამ კრებაზე იდგა 25 ათასი უუფლებო ადამიანი, რომელიც იმედგაცრუებული დარჩა იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერებისგან ელოდნენ წინ გაძღოლას და იმ იდეების ხორცშესხმას, რასაც ისინი თვეების განმავლობაში ჰპირდებოდნენ საზოგადოებას.**

## რატომ დაგვჭირდა ბრიუსელის ტრიბუნა იმის სათქმელად, რის თქმაც ჩვენ თვითონ შეგვეძლო ჩვენი ძმებისთვის?!



## ხელისუფლება სიცრუითა და ყალბისმქმნელობით დღეს ისეა გატაცებული, უკვე თვითონაც ამ სიცრუისა და სიყალბის მონად გადაიქცა

განსაკუთრებით ყველაზე მეტად აქტიურობდა, გახსოვთ, ალბათ, გუბაზ სანიკიძე, რომელმაც დაუმორჩილებლობის იდეაც კი წამოაყენა. როდესაც საუბარია დაუმორჩილებლობაზე, ეროვნული დაუმორჩილებლობა გულისხმობს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას. ასეთ დროს პოლიციელი არ უნდა წავიდეს სამსახურში, ექიმი — საავადმყოფოში, მასწავლებელი — სკოლაში; უნდა დაიხუროს ყველა მაღაზია, სავაჭრო ობიექტი: სახელმწიფო ჩინოვნიკებმა ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ ხელისუფლებას. ეს არის დაუმორჩილებლობა, თორემ უმუშევარი ხალხი ისედაც სახლშია გამოკეტილი. **ჩვენს ოპოზიციას დაუმორჩილებლობის მექანიზმზე წარმოდგენაც კი არ აქვს.**

არ მინდა ვთქვა, რომ ისინი ატყუებენ საზოგადოებას, მინდა ვიფიქრო, რომ თვითონ ტყუვდებიან. ის, რასაც ამბობენ დაუმორჩილებლობის მომხრეები, რომ ისინი გადაკეტავენ გზებს, საბაჟოებს, აეროპორტებს, რკინიგზას და ასე შემდეგ, დაუშვებელია, რადგან ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოსა და პოლიციას თითის განძრევაც არ დასჭირდებათ. ადამიანები, რომლებსაც დაბრკოლებას შეუქმნის ამგვარი ბარიერები, თვითონ გაითავისუფლებენ გზას. წარმოიდგინეთ, ორიოდე გროშისთვის სავაჭროდ გასულ ადამიანს გზა დახვდეს გადაკეტილი და, საღამოს შინ პური რომ ვერ მიუტანოს ოჯახს, რას იზამს, რა მდგომარეობაში ჩავარდება?!

ხელისუფლების შეცვლის პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძველი ნამდვილად არსებობს ქვეყანაში და აუცილებლობაც ნამდვილადაა, მაგრამ ამ მეთოდებითა და ხერხებით, რომლითაც ოპოზიცია ხელმძღვანელობს, შეუძლებელია.

— **პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას ევროპარლამენტში დღევანდელი ხელისუფლება დიდ წარმატებად მიიჩნევს. განსაკუთრებით იმ საკითხს, რომ ევროკავშირმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი თურმე ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენია. თქვენ როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის ამ „წარმატებებს“?**

— ხელისუფლება სიცრუითა და ყალბისმქნელობით დღეს ისეა გატაცებული, უკვე თვითონაც ამ სიცრუისა და სიყალბის მონად გადაიქცა. ვინც სარკოზ-მედვედევის მემორანდუმს იცნობს, მათთვის, ალბათ, გასაოცარია ის აჟიოტაჟი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ქმნის. ამ მემორანდუმში გარკვევით არის ჩაწერილი, რომ ევროკავშირი ითხოვს რუსეთის ჯარის დაბრუნებას 2008 წლის 8 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე. ოკუპირებულად ისინი თვლიან იმ რამდენიმე სოფელს, რომელშიც აგვისტოს ომის შემდეგ დარჩა რუსული ჯარი და — არამც და არამც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ქართული საზოგადოება ცინიკურად შეჰყავთ შეცდომაში, აბუჩად იგდებენ ქართველ ერს! ის, რომ თავდაუსხმელობის საკითხთან დაკავშირებით სააკაშვილის გამოსვლა ქართულმა მედიამ წარმოაჩინა როგორც სააკაშვილის კეთილი ნაბიჯი, ყოველგვარ ცინიზმს სცილდება. **საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის კატეგორიულ უარს ამბობდა ცეცხლის გაუხსნელობის ხელშეკრულების ხელის მოწერაზე, მაგრამ დღეს დასავლეთის ძალისხმევამ აიძულა საქართველოს ხელისუფლება ეს ნაბიჯი გადაედგა, რაც ლოგიკურად იმ სამარცხვინო პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება წლების განმავლობაში ახორციელებს.** უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზები და ოსები ამგვარი ხელშეკრულების დადებას მოითხოვდნენ აგვისტოს ომამდეც. ჩვენი მდგომარეობა გაცილებით მომგებიანი და უკეთესი იქნებოდა, ასეთი ხელშეკრულება მართლაც რომ არსებულიყო ომამდე. ამიტომ ის, რომ სააკაშვილი ამ საკითხს საკუთარ კეთილ ინიციატივად თვლის, ტყუილია.

თუკი წარმატებაა ის, რომ ევროკავშირმა ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მაშინ რატომ გამოდის პრეზიდენტი სააკაშვილი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ინიციატივით? დამარცხების შემდეგ ხელის მოწერა მსგავს დოკუმენტზე არ არის სამარცხვინო კაპიტულაცია?

დღეს ურთიერთობის გარკვევა არა მარტო რუსეთთან, დასავლეთთანაც პირისპირ გვიწევს და იმის მტკიცებაც, რომ ჩვენ დავჭკვიანდებით, ჩვენ უკეთ მოვიქცევით და რომ ისეთ სისულელეებს აღარ ჩავიდენთ, როგორსაც ჩავდიოდით. საერთოდ რატომ დაგვჭირდა ბრიუსელის ტრიბუნა იმის სათქმელად, რასაცი ჩვენი ძმებისთვის დასავლეთის დაუხმარებლადაც კარგად შევძლებდით?! იმიტომ, რომ გაფუჭებული აქვთ საქმე და პირისპირ სალაპარაკო პირი აღარ აქვთ?!

— **ბატონო თემურ, პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ არაერთხელ დასახა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონკრეტული გზები, თუმცა არც წინა და არც დღევანდელმა ხელისუფლებამ მისი რჩევები არ გაითვალისწინა, რამაც ქვეყანა კატასტროფის პირას მიიყვანა. დღევანდელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გათვალისწინებით, არის თუ არა საქართველოში ამ პრობლემის მოგვარების შანსი?**

— ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ დღეს ჩვენში ყველაზე ნაკლებად სწორედ საქართველოს გაერთიანებაზე საუბრობენ. ეს საკითხი საერთოდ ამოვარდნილია დროის კონტექსტიდან და გაურკვეველ მომავალშია გადატანილი. მეტიც, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლება შეგნებულად გაურბის ამ თემის წინ წამოწევას და ცდილობს, გამოგონილი „მიღწევებით“ გადაფაროს მისი არსებობა. არადა, საყოველთაო სოციალური კეთილდღეობის პირობებშიც კი წარმოუდგენელია, რომ რომელიმე სახელმწიფო თავს წარმატებულად მიიჩნევდეს, როცა მას ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგული აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ დანაკარგთა ნუსხაში მხოლოდ გეოგრაფიულ ასპექტზე ყურადღების შეჩერება საკმარისი არ არის.

**ჩვენ ბოლომდე უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა მასშტაბის კატასტროფასთან გვაქვს საქმე, მკაფიოდ უნდა წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავს ქვეყნის რღვევისა და კულტურულ-ისტორიული მენტალობის დაშლის პროცესი. ამ უმწვავეს საკითხებზე ჩვენში ყველაზე ადრე და ამასთანავე, ყველაზე კვალიფიციურად პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ დაიწყო საუბარი. იგი ჯერ კიდევ ათი-თხუთმეტი წლის წინათ აფრთხილებდა საზოგადოებას და ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე უზუსტეს დიაგნოზს უსვამდა ჩვენს ეროვნულ სნეულებებს. ალექსანდრე ჭაჭიამ შეიმუშავა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მეცნიერული კონცეფცია, რომელიც დღემდე რჩება ჩვენი პოლიტიკური მომავლის შეუცვლელ დოკუმენტად. სამწუხაროდ, ხელისუფლება არც კი დაინტერესებულა ამ კვლევებით.**

ერთი შეხედვით, ეს სრულიად წარმოუდგენელი გულგრილობაა. მაგრამ, თუ აღნიშნულ ფაქტს კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ გულგრილობას, არამედ ხელისუფლებაში გაბატონებულ არაპროფესიონალიზმს, სრულ ინტელექტუალურ და ზნეობრივ-მოქალაქეობრივ სტაგნაციას, რომელმაც, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ფართო საზოგადოებაც მოიცვა. ამიტომ ახლანდელ ეტაპზე, არსებული საგარეო პოლიტიკური კურსის პირობებში, საქართველოს გაერთიანება წარმოუდგენელად მეჩვენება. საჭიროა რადიკალური ცვლილებები. ტრანსფორმაციის პროცესი უნდა შეეხოს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს: საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლების სისტემას, სულიერ-კულტურულ ყოფას... ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ჭაჭიას ფუნდამენტურ გამოკვლევებში ჩახედვაც არ უნდა დაგვეზაროს.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


გულბაათ რცხილაძე:

# გამორიცხულია, რომ დასავლეთმა რუსეთზე ზეწოლა დაიწყოს ჩვენი ტერიტორიების გამო

**საქართველოს ხელისუფლება ორი წლისწინანდელი ომით გამოწვეული შოკიდან გამოსვლას ცდილობს. მიუხედავად უშურველად ბოძებული კრედიტებისა, რომლის გადახდა მომავალ თაობას მძიმე ტვირთად დააწვება, იგი ვერ ახერხებდა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევას და ყველანაირად ცდილობდა ნდობის აღდგენას თეთრ სახლსა თუ ევროსტრუქტურებში. ამისთვის მილიონებს არ იშურებდნენ და ლობისტურმა კომპანიებმაც კარგად იხეირეს საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე. ლისაბონის ნატოს სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრა და ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოკლედ შეაფასა — ეს იყო მისი 7-წლიანი მმართველობის ყველაზე ნაყოფიერი კვირა საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი აქტიურობის შეფასება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს გულბაათ რცხილაძეს ვთხოვეთ.**



**ახლა მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე დამაჯერებლად საუბარი, ვინც ამას, დიდი ხანია, აკეთებს. თუ ჭკუა აქვთ, მოუსმინონ ისეთ პიროვნებებს, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა, რომელიც რუსეთში საქართველოს სასიკეთო ბევრ საქმეს აკეთებს**

**— ბატონო გულბაათ, ორწლიანი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა. მართალია, ერთმანეთს ლისაბონში ნატოს სამიტის ფარგლებში სულ 30 წუთით შეხვდნენ და ტელევიზიით მხოლოდ ფოტოკადრები ვიხილეთ, მაგრამ ეს არ აუფერულებს იმ საკითხების მნიშვნელობას, რომლებზეც პრეზიდენტებმა იმსჯელეს. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში, რა შეიძლება შეცვალოს ლისაბონის შეხვედრამ?**

— ობამა-სააკაშვილის მოკლეხნიანი შეხვედრა, როგორც ფაქტი, აღსანიშნავია და მნიშვნელოვანიც, თორემ საკითხების არსებითი განხილვა ასეთ ფორმატში არ ხდება. პირადად ობამა გაცილებით ნაკლებ ინტერესს იჩენს საქართველოსადმი და მისი ფაქტობრივი პრეზიდენტისადმი, ვიდრე ობამას წინამორბედი პრეზიდენტი ბუში იჩენდა. ობამას სხვა აქცენტები აქვს თავის პოლიტიკაში, მათ შორის საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო, როგორც გეოგრაფიული მოცემულობა, ამერიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონში, უინტერესო გახდა ამერიკული პოლიტიკისთვის. ასეთი მკვეთრი ცვლილებები სტრატეგიაში, მით უმეტეს, ამერიკის შემთხვევაში, არ ხდება. ნება მომეცით, აშშ-საქართველოს ხელისუფალთა ურთიერთობების ზოგ მომენტზე შევჩერდე, რათა თქვენს კითხვას შეძლებისდაგვარად ამომწურავად ვუპასუხო.

საქართველოს ხელისუფლება ორი წლის წინათ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში თითქმის დაუფარავად გულშემატკივრობდა მაკეინს, რადგან სწორედ „რესპუბლიკური“ ადმინისტრაციის პირობებში განხორციელდა „ვარდების რევოლუცია“ ჩვენში და ეს ადმინისტრაცია „ვარდების ხელისუფლებას“ დემონსტრაციულად უჭერდა მხარს, გარეგნული ეფექტების ჭარბი გამოყენებით, რაც ასე უყვართ ქართველებს. 2005 წელს ბუშის ვიზიტი თბილისში ამგვარი გარეგნული ეფექტის მქონე ნაბიჯი იყო, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერის აშკარა დემონსტრაცია, რაც ხელისუფლებამ, ბუნებრივია, უპირველესად, საშინაო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა (მაშინ ამერიკის რეიტინგი საქართველოში მაღალი იყო და, შესაბამისად, ამერიკული მხარდაჭერა ყველაფერთან ერთად ხელისუფლების მორალურ ტრიუმფსაც ნიშნავდა). სააკაშვილს და მის გარემოცვას ამგვარი ურთიერთობის

**ირანი კავკასიის რეგიონში მართლაც მშვიდობის პოლიტიკას ატარებს და იგი საქართველოს ხელისუფლებასთან არანაირ ავანტიურაზე არ წავა რუსეთის წინააღმდეგ**

გაგრძელების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მაკეინის ეიმედებოდა – ღია მხარდაჭერა და „ხუთოსნის“ მხარზე გაცილებით ხშირი „მეგობრულად ხელის დატყაპუნება“, ვიდრე ამას დღეს აქვს ადგილი.

მაგრამ სააკაშვილი არ ტყუოდა, როდესაც ობამას გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ ჩვენ, ანუ „ვარდების ხელისუფლებას“, ამ ახალ ადმინისტრაციაშიც გვყავს მოკავშირეები, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი ჩემი მეგობარიაო. მე კიდევ დავძენდი: **„ვარდების ხელისუფლების“ ჩამოყალიბება შევარდნაძის გარშემო ხდებოდა 1990-იანი წლების მანძილზე, „დემოკრატი“ კლინტონის ადმინისტრაციის დროს. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, „დემოკრატებიც“ და „რესპუბლიკელებიც“ ერთნაირად აღიქვამენ აშშ-ის ინტერესს საქართველოს მიმართ და, შესაბამისად, ამერიკაში ხელისუფლების ცვლილებით სააკაშვილისთვის არსებითად ტრაგიკული არაფერი მომხდარა.**

კი, ნაკლები მხარდაჭერაა, ობამასთვის პიროვნულად ძალზე უცხოა კავკასიის პრობლემები და პირადად სააკაშვილი, მაგრამ იმისთვის აუცილებელი მხარდაჭერა, რომ სააკაშვილმა ძალაუფლება შეინარჩუნოს, ამერიკიდან არსებობს ობამას ადმინისტრაციის პირობებში და იარსებებს კიდეც.

გახსოვთ, ალბათ, საქართველოში ოპოზიცია საკმაოდ ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ობამას გამარჯვების გამო. 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ ამ ოპოზიციამ მორატორიუმი გამოაცხადა დამნაშავე რეჟიმის კრიტიკაზე, ნაცვლად იმისა, რომ იგი ემხილებინა ბოლომდე. მათ სააკაშვილის დამხობა შემდეგი წლის გაზაფხულისთვის, 9 აპრილისთვის გადადეს. მაშინ მათ **ობამას იმედი ჰქონდათ – აი, გაიმარჯვებს ობამა, ინაუგურაციის შემდეგ მას ცოტა დრო დასჭირდება, რომ თავის თანამდებობას „მოერგოს“ და შემდეგ ჩვენ აქედან შევუტევთ სააკაშვილს და ობამაც დაგვეხმარება...** ასეთი იყო ოპოზიციისა და საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის წარმოდგენა, მომავლის ხედვა. ვაფრთხილებდი ზოგ ოპოზიციონერს ამ იმედების უსაფუძვლობის შესახებ, მაგრამ ეიფორია გონებაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. **ყველას უნდა გაეცნობიერებინა, რომ სააკაშვილი უკვე არსებული, 2008 წლის 5 იანვრის უღვთოდ გაყალბებული არჩევნების შემდეგ არალეგიტიმური, მაგრამ ფაქტობრივი პრეზიდენტია;** ამ არალეგიტიმურობასაც მე აღვნიშნავ ჩემს ორიოდ კოლეგასთან ერთად (სააკაშვილს „დე ფაქტო პრეზიდენტს“ ვუწოდებთ), თორემ თქვენ, ჟურნალისტები, მას პრეზიდენტად მოიხსენიებთ, ისევე, როგორც ყველა სხვა, ვისაც იგი გულზე ეხატება თუ არ ეხატება, ამ ოპოზიციის ჩათვლით, მოიხსენიებს მას პრეზიდენტად. ასეთად აღიარა იგი უცხოეთმაც. ხოლო რადგან სააკაშვილი პრეზიდენტია ისედაც არასტაბილურ საქართველოში, მისი რევოლუციური გზით მოშორება ობამას ამერიკასაც ხელს არ აძლებს, რადგან აშშ-ს ნებისმიერ შემთხვევაში მისი მორჩილი სტაბილური ძალა სჭირდება აქ, ადგილზე.

ახლა თქვენ შეიძლება კითხვა გაგიჩნდეთ: **მთელი რიგი პარტიებისა ამერიკას თავის თავს სთავაზობს, როგორც სააკაშვილზე არანაკლებ მორჩილ პროდასავლურ ძალას, სამაგიეროდ, სააკაშვილზე უფრო გაწონასწორებულები ვართო, — აწონებენ თავს ამერიკელებს; მაშ, რატომ არ უნდა ამერიკას არც ეს პარტიები სააკაშვილის ნაცვლად? არ სჭირდება და იმიტომ.** მიუხედავად მრავალი პიროვნული ნაკლისა, სააკაშვილი ყველაზე ენერგიული პოლიტიკოსია ამ ოპოზიციის ფონზე, რომელიც პრაქტიკულად ამერიკის ნებისმიერ დავალებას შეასრულებს. სააკაშვილს აქვს თავისი ხელქვეითების მობილიზების დიდი უნარი. ისეთი ფლეგმატური, ქარიზმას მოკლებული პოლიტიკოსის დრო, როგორიც ირაკლი ალასანიაა, ჯერ არ დამდგარა. მით უმეტეს, ქვეყნის ლიდერის როლს ვერ იკისრებს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) ისეთი საჩოთირო პიროვნება, როგორიც გიორგი თარგამაძეა (ბადრი პატარკაციშვილის ღალატში და 7 ნოემბრის შემდეგ მერაბიშვილთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ). სააკაშვილი კი ერთპიროვნული, ზომაზე მეტად ავტორიტარული მმართველია და **დასავლეთს მიაჩნია, რომ საქართველოს სწორედ ასეთი მმართველი სჭირდება — მმართველი, რომელიც „რკინის ხელით“ განახორციელებს დასავლურ პოლიტიკას, უფრო მეტიც — საქართველოს ვესტერნიზაციის ექსპერიმენტს.**

რაც მთავარია, გავიმეორებ, — სააკაშვილი უკვე არის ხელისუფლების სათავეში და ეს მისი მთავარი კოზირია. ვინმე სხვა რომ მოიყვანონ სააკაშვილის ნაცვლად, ამას დიდი, მტკივნეული ცვლილებები უნდა მოჰყვეს სახელისუფლო ვერტიკალში. ხელისუფლებისგან გამწარებული მრავალი ადამიანი მოითხოვს სამართლის აღდგენას; საზოგადოება თავისუფლების სუნს იგრძნობს და ალასანიას ან თარგამაძის გადიქტატორებას აღარ მოითმენს; საზოგადოება მოითხოვს არსებითი ხასიათის ცვლილებებს და **მეტი დემოკრატიის შედეგად თვით ალასანიასნაირი პროამერიკელი მმართველიც კი ვეღარ იქნება საქართველოს ცალსახად პროდასავლური კურსის გარანტი, რადგან საქართველოს ეროვნული ინტერესი ითხოვს რუსეთთან ურთიერთობების დაბალანსებას და ეს საზოგადოების უკვე აშკარა მოთხოვნაა დღეს, რომლის იგნორირება მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილს შეუძლია ამ საზოგადოების მოტყუების და დაშინების გზით! სხვა ამას უკვე ვეღარ შეძლებს და ეს იციან ამერიკელებმა.**

მაგრამ დავუბრუნდები თქვენს შეკითხვას, სიტყვა ისედაც გამიგრძელდა. გამომდინარე იქიდან, რაც ზემოთ ვთქვი, ობამა-სააკაშვილის ლისაბონის შეხვედრას საქართველოს საერთაშორისო პოზიციებისთვის ნაკლები შედეგი ექნება; არც შიდა პოლიტიკურ არენაზე შეცვლის რამეს არსებითად. ეს შეხვედრა უბრალოდ იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოში ყველაფერი ძველებურად რჩება – სააკაშვილი მართავს ამ ქვეყანას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე, ოპოზიცია კი განზილებული რჩება და ჩურჩულით, შიდა სამზარეულოს დონეზე შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენი აგინოს ობამას და მთლიანად ამერიკას.

**— საკმაოდ გამოუვალი ვითარება ჩანს, თუმცა რუსეთზე ფსონმაც არ გაუმართლა ზოგ პოლიტიკოსს...**

— ამერიკის პოლიტიკაზე დაბოღმილი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებმაც მას შემდეგ გაიგეს რუსეთის „ხიბლი“, რაც ამერიკაში აგრძნობინეს, რომ სააკაშვილის ჩანაცვლება განხილვას არ ექვემდებარება, ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურებიან. რუსეთთან ურთიერთობებზე ადრე უნდა ეფიქრათ და ეს პოზიცია ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე ან უშუალოდ ამ ომის შემდეგ ორ-სამ კვირაში უნდა გამოეხატათ. **ახლა მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე დამაჯერებლად საუბარი, ვინც ამას, დიდი ხანია, აკეთებს. თუ ჭკუა აქვთ, მოუსმინონ ისეთ პიროვნებებს, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა, რომელიც რუსეთში საქართველოს სასიკეთო ბევრ საქმეს აკეთებს. ბატონი ჭაჭია, როგორც მახსოვს, აქტიურად გამოდიოდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის დაბალანსების კონკრეტული წინადადებებით „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდშიც, მაგრამ ხელისუფლებამ, ისევე, როგორც შევარდნაძის დროს, მას ყური არ ათხოვა, ამით კი ქვეყანამ წააგო.** ასევე, ქართული დიასპორების ზოგი მესვეური, როგორიც ალექსანდრე ებრალიძეა, მეგულება ჩვენს სახელმწიფოებს შორის ხიდად. საერთოდ, ქართველი ხალხი არც ისე ღარიბია ღირსეული წარმომადგენლებით, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, ჩვენი ტელევიზიების გადამკიდე.

**— ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების შესახებ მიხეილ სააკაშვილის მიერ 23 ნოემბერს სტრასბურგში, ევროპარლამენტის წინაშე გაცხადებულ ცალმხრივ ინიციატივას როგორ შეაფასებთ? აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობისა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონი ამ სამშვიდობო ინიციატივას მიესალმება. რამდენად შესაძლებელია, ევროპის ფართო ჩართულობის შემთხვევაში, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გზაზე შემხვედრი ნაბიჯები გადმოდგას რუსეთმა?**

— სანამ რუსეთის შემხვედრი ნაბიჯების განხილვას დავიწყებდეთ, ჯერ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას ასეთი ნაბიჯი, სააკაშვილის ეს ფსევდოინიციატივა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

კი აბსოლუტურად უფასურია. რომელ მოლაპარაკებებზე საუბრობს სააკაშვილი, რომელიც ელემენტარულად რუს ექსპერტებს ვიზას არ აძლევს და არ უშვებს საქართველოში არასამთავრობო სექტორთან სასაუბროდ და მათ „აგენტებად“ აცხადებს?! **ხელისუფლება დაუბრუნდა იმ უმწიფარ რიტორიკას, რომელიც არსებობდა ჩვენში 1989-1991 წლებში, როდესაც მოდაში იყო რუსეთის გინება და ყველა ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანის „კრემლისა და სუკის აგენტად“ გამოცხადება. ახლა 2010 წელია და მაშინდელ რიტორიკას რეპრესიული ზომებიც დაემატა, ქვეყანა ჯაშუშომანიამ მოიცვა. ამ ფონზე რთულია, დააჯერო რუსეთი შენს გულწრფელობაში, მით უმეტეს, როდესაც არ ხარ გულწრფელი დიალოგის მოთხოვნისას.**

სააკაშვილმა რუსეთი ჯერ „ოკუპანტად“ გამოაცხადა, შემდეგ ულტიმატუმები წაუყენა და ახლა დიალოგისკენ მოუწოდებს. ეს აბსურდია. ამიტომ რუსეთი ამ ფსევდოინიციატივას ზედმეტ ყურადღებას არ მიაქცევს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე შესაბამისი განცხადებაც გააკეთა და ყველაფერი ამით ამოიწურება. თუმცა, მე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ **საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო და არის რუსეთთან ურთიერთობის გარკვეულ მოდელზე შეთანხმების მცდელობები. არაფორმალური კონტაქტები უკრაინის მეშვეობით მყარდებოდა თბილისსა და მოსკოვს შორის. როგორც ვიცი, ამ პროცესში ნაწილობრივ ოპოზიციაც იყო ჩართული.**

მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის მმართველობის დასრულებამდე რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებითი ხასიათის წინსვლა არ იქნება. სააკაშვილმა თავად დაწვა რუსეთთან მისასვლელი ყველა ხიდი, რუსეთი „მტრად“ ჰყავს გამოცხადებული და ამ მტრის ხატზე ახდენს თავისი ბატონობის ლეგიტიმურობის დასაბუთებას — ის რომ არა, საქართველოს „რუსული აგენტურა“ დაეპატრონება. ამიტომ მისი ინიციატივა მორიგი საკენკია, რადგან სააკაშვილს წინ უდევს ყველასთვის ცნობილი ციფრები, რომ საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მომხრეა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა. ასევე, ამერიკა (ევროპა ხომ თავისთავად) აწარმოებს რუსეთთან სერიოზული დაახლოების პროცესს, ამიტომ სააკაშვილს სხვა გზა არ რჩება, გარდა ასეთი ინიციატივების გაჟღერებისა. მაგრამ მან ასევე იცის, რომ რუსეთი მასთან არ წავა დათმობებზე და მას შემდეგ შეუძლია განაცხადოს, რომ რუსეთი არ ღებულობს მისგან „გულახდილად“ გაწვდილ ხელს და რუსეთი დაადანაშაულოს კონფრონტაციულობაში... ასეთ ვითარებაში **ევროპა აუტკივარ თავს არ აიტკივებს და რაიმე განსაკუთრებულ აქტიურობას არ გამოიჩენს რუსულ-ქართული ურთიერთობების დასარეგულირებლად; ეშტონის სიტყვიერი მხარდაჭერა სააკაშვილის „ინიციატივისადმი“ სიტყვებადვე დარჩება.**

**—ბატონო გულბაათ, უნდა მოველოდეთ თუ არა მოვლენების ფორსირებულ განვითარებას იმ ფონზე, როცა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზეა საუბარი, შემდეგ კი ევროკავშირმა მიიღო განცხადება, რომელშიც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებადაა მოხსენიებული?**

— მართალი გითხრათ, თქვენ მიერ ნახსენები განცხადებების ორიგინალი ვერ მოვიძიე, ყველა ამ ინფორმაციის პირველწყარო საბოლოო ჯამში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღმოჩნდა. მაგრამ ამას არ აქვს ახლა მნიშვნელობა, დავუშვათ და ბუკვალურად მივიღოთ ნატოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროკავშირის მიერ გაკეთებული და ნინო კალანდაძის მიერ პერიფრაზებული განცხადებები: **აქ არის გაკეთებული მოწოდება, რომ „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი, ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“ ნახსენებია, მაგრამ გაკვრით, სხვა კონტექსტში. ეს არ არის რუსეთის ქმედების დაგმობა ან მოწოდება რუსეთის ხელისუფლებისადმი, უკან წაიღოს თავისი აღიარება სოხუმისა და ცხინვალის მიმართ, ლიკვიდაცია გაუკეთოს სამხედრო ბაზებს და ასე შემდეგ. ეს არის მორიგი არაფრის მთქმელი განცხადებები, რომლებიც უხვად არსებობს ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული. ახალი არც არაფერი მომხდარა: ისედაც ვიცით, რომ დასავლეთი არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს.**

**საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო და არის რუსეთთან ურთიერთობის გარკვეულ მოდელზე შეთანხმების მცდელობები. არაფორმალური კონტაქტები უკრაინის მეშვეობით მყარდებოდა თბილისსა და მოსკოვს შორის. როგორც ვიცი, ამ პროცესში ნაწილობრივ ოპოზიციაც იყო ჩართული**

ალნიშნული განცხადებები, რომლებიც, თავისი მნიშვნელობის გამო დასავლურ პრესაში საერთოდ არ გაშუქებულა (ხოლო ბაროზუს სიტყვები აშკარად დაამახინჯეს ხელისუფლების ტელეარხებმა), ვერ გამოიწვევს რაიმე ცვლილებას დასავლეთის პოლიტიკაში რუსეთის მიმართ ან საკუთრივ რუსეთის პოლიტიკაში საქართველოს მიმართ. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა ხდებოდა ლისაბონში სახელმწიფო მეთაურთა დონეზე. **სააკაშვილისგან განსხვავებით, ობამას მედვედევთან ბევრად უფრო ინტენსიური და შინაარსიანი ურთიერთობა აქვს. გამორიცხულია, რომ დასავლეთმა რუსეთზე ზეწოლა დაიწყოს ჩვენი ტერიტორიების გამო.** დიახ, რუსეთს მაშინ შეახსენებენ ამ პრობლემას, როცა მათ ეს დასჭირდებათ: საქართველო, როგორც ყოველთვის, დასავლეთის ხელში ინსტრუმენტი იქნება რუსეთთან მიმართ პოლიტიკაში, რომელსაც თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია. იგი შეიძლება საჭიროების შემთხვევაში ამოიღო, ხოლო, როცა აღარ გჭირდება, ისევ გადამალო. მაგრამ ამ „ინსტრუმენტის“ ინტერესები არავის აინტერესებს.

**— ვიდრე ჩვენი საუბრის სხვა თემებზე გადავალთ, ბარემ საქართველოს ხელისუფლების კავკასიასთან დაკავშირებულ ახალი ინიციატივებზეც გკითხავთ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლისას რეგიონული ალიანსის — მშვიდობიანი და ერთიანი კავკასიის სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების საკუთარი ხედვა წარმოადგინა. ამას მოჰყვა უვიზო რეჟიმის შემოღება ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის. როგორ შეაფასებთ ამ მიმართებით საქართველოს ბოლოდროინდელ პოლიტიკას?**

— ეს ისეთივე პროვოკაციაა, როგორც „ქართულ-აზერბაიჯანული კონფედერაციის“ იდეა, რომელსაც თურქეთიც უნდა შეუერთდეს, თუკი ხელისუფლების ზოგიერთ დეპუტატს დავუჯერებთ. გლობალისტური ძალები, რომლებიც რუსეთისთვის ძირის გამოთხრას ცდილობენ, მომავალშიც შეეცდებიან, კავკასიის რეგიონში რუსეთისთვის არახელსაყრელი სიტუაცია იყოს. სააკაშვილი ამ ძალების თამაშს თამაშობს, თუმცა მის მოსაგებად არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. რუსეთი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ინარჩუნებს კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიაზე, ისევ და ისევ ჩრდილოკავკასიელებზე დაყრდნობით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა



**დასავლეთს მიაჩნია, რომ საქართველოს სწორედ ასეთი მმართველი სჭირდება — მმართველი, რომელიც „რკინის ხელით“ განახორციელებს დასავლურ პოლიტიკას, უფრო მეტიც — საქართველოს ვესტერნიზაციის ექსპერიმენტს**

რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრეა. **რუსეთს გაწონასწორებული, პარტნიორული ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანთან და სამოკავშირეო ურთიერთობები – სომხეთთან. სააკაშვილის ოცნებები უსაფუძვლოა, რუსეთის გარეშე კავკასიის რეგიონი არ არსებობს. მაგრამ, თუ ნამეტანს მოინდომებს და სიფრთხილეს დაკარგავს, 2008 წლის აგვისტოსგან განსხვავებით, რუსებს უკვე ნამდვილად ვეღარ გადაურჩება.** მე არა მგონია, რომ სააკაშვილმა მეორედ ჩაიდინოს სისულელე და რუსეთი ომში გამოიწვიოს. შემთხვევით არ გააჟღერა მან ევროპარლამენტის ტრიბუნაზე „მოთმინების სტრატეგია“, რომელიც რუსეთის მიმართ ფიზიკურ დაპირისპირებას გამორიცხავს. სააკაშვილის პოლიტიკა რუსეთისადმი ირიბი პროვოკაციებით გაგრძელდება, ძირითადად, ვერბალური ხასიათის იქნება. ვიზების გაუქმება ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრთათვის უფრო სიმბოლური ჟესტია, რადგან თავად რიგით ჩრდილოკავკასიელებს არაფერში სჭირდებათ ქართული ვიზები. თუკი აქ ბურებთან და ბუშმენებთან ერთად დავასახლებთ მათ, სხვა საქმეა, მაგრამ არც ამისთვის არიან ისინი მზად. სამუშაო, ფული რუსეთში იშოვება და არა — სააკაშვილის საქართველოში, სადაც ხელისუფლება, ნებისმიერ მეწარმეს – მილიონერსა თუ უბრალო „მესემიჩკეს“, მართლაც სულს ხდის.

თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველო სააკაშვილის ხელში მეტ-ნაკლებად ქმედითი იარაღია რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოში მეგობრული ხელისუფლების არარსებობა რუსეთს სტრატეგიულ პრობლემებს უქმნის სამხრეთის მიმართულებით. მაგრამ ამით საქართველო არაფერს იგებს, მხოლოდ აგებს. კიდევ ვიმეორებ: **ჩვენი სამწუხარო რეალობა ისაა, რომ საქართველო ინსტრუმენტია, იარაღი, რომელსაც თავისთავად ფასეულობა და დანიშნულება არ გააჩნია არსებული პოლიტიკური კურსის გამო.**

**— ბოლო დროს საგრძნობლად გააქტიურდა საქართველო-ირანის ურთიერთობები. სავიზო რეჟიმიც კი გაუქმდა. ბევრმა თბილისისა და თეირანის დაახლოებაში საქართველოს ხელისუფლების მიერ აშშ-ის შანტაჟის ელემენტები დაინახა, სხვებმა მეზობელთან კარგი ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობაზე გაამახვილეს ყურადღება. მოსკოვი ამ ფაქტს სრულიად მშვიდად შეხვდა. თუმცა, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მას კი ირანთან, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვს... თქვენი აზრით, რა თამაშს თამაშობს საქართველოს ხელისუფლება? შეგახსენებთ ირანის თავდაცვის მინისტრის ბაქოში ვიზიტისას გაკეთებულ განცხადებას, რომ თეირანი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში სტაბილურობისა და მშვიდობის აღსადგენად ყველანაირი დახმარებისთვის მზადაა.**

— რუსეთის მიერ ირანის ინტერესების ცოტა უხეში ფორმით იგნორირებამ და დასავლეთთან, ჩემი აზრით, ზედმეტად სწრაფი დაახლოების მცდელობამ მნიშვნელოვნად გააფუჭა რუსულ-ირანული ურთიერთობები. მაგრამ ირანის მხრიდან რუსეთის შანტაჟის მცდელობას საქართველოს საშუალებით მაინცდამაინც ვერ ვხედავ, ვინაიდან ირანი ბოლო პერიოდში მთლიანად სამხრეთ კავკასიაში გააქტიურდა, დაიწყო ურთიერთობების დარეგულირება აზერბაიჯანთან, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახმადინეჯადის ვიზიტი ბაქოში და იქ გაკეთებული განცხადებები. სომხეთთან ირანს ხომ ისედაც ტრადიციულად კარგი ურთიერთობები აქვს.

**გასაკვირი და მოულოდნელი არ არის, რომ თეირანი საქართველოსთანაც აღრმავებს ურთიერთობას, რომელიც პოლიტიკურთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ხასიათისაა. ამ პროცესს უნდა მივესალმოთ და ჩვენმა ინსტიტუტმა მხარდაჭერა ქართულ-ირანული ურთიერთობების გაღრმავების მიმართ უკვე გამოხატა.** თუმცა საქართველოს ხელისუფლება აქაც არ არის თანმიმდევრული და დამოუკიდებელი: საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა ამას წინათ ჟურნალ „ლიბერალში“ თავი იმართლა ხელისუფლების სახელით, ირანთან ურთიერთობებს იმიტომ ვაღრმავებთ, რომ ჩვენი რეგიონული მეზობელია, დასავლეთი ბოლომდე ვერ გვიცავს, ირანს კი პერსპექტივაში შეუძლია რუსეთთან გვიშუამდგომლოს, მაგრამ ირანის ატომური პროგრამის საკითხში ჩვენ „საერთაშორისო თანამეგობრობის“ პოზიციაზე ვართო. მაგრამ არც დარჩიაშვილს, არც საქართველოს ხელისუფლებას ირანი არ სთხოვს განმარტებას, უჭერენ ისინი მხარს ირანის ატომურ პროგრამას თუ არა. გამოდის, რომ დარჩიაშვილი ირანთან „არასანქცირებული“ ურთიერთობის გამო დასავლეთისგან ყურის აწევის მოლოდინში აკეთებს ასეთ განცხადებებს; მეორეს მხრივ კი, აღიარებს, რომ დასავლეთის დახმარება საკმარისი არ არის და ირანთან ურთიერთობა აუცილებელია. ასეა თუ ისე, მიზეზებისგან დამოუკიდებლად, ირანთან დაახლოება საბოლოო ჯამში წინ გადადგმული ნაბიჯია და ჩვენი ქვეყნის ინტერესებში შედის.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას. შიიტური ირანი თავად ებრძვის ალ ქაიდას ტერორიზმს, რომელიც სუნიტურ სამყაროში შეიქმნა ისევ და ისევ ამერიკის პატრონაჟით. ამიტომ **ირანი მხარს არ დაუჭერს ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმს. თუმცა ირანს პროცესებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, მისი ავტორიტეტი რუსეთის მუსლიმებს შორის ბოლო ხანს უფრო გაიზარდა. მაგრამ ისევ და ისევ ირანი კავკასიის რეგიონში მართლაც მშვიდობის პოლიტიკას ატარებს და იგი საქართველოს ხელისუფლებასთან არანაირ ავანტიურაზე არ წავა რუსეთის წინააღმდეგ.** ბოლოს და ბოლოს, ირანელებს კარგად ესმით, რომ რუსეთთან მათი ურთიერთობების გაფუჭება დროებითია და რუსულ-ირანული ღერძი მომავალში მაინც ჩამოყალიბდება, ევრაზიული სივრცის დასავლური ექსპანსიისგან დასაცავად. მით უმეტეს, რომ ამ კუთხით ბოლო დროს თურქეთიც აქტიურობს, თურქეთი ირანთანაც და რუსეთთანაც აღრმავებს კონტაქტებს და თანამშრომლობას. ირანი და რუსეთი, ადრე თუ გვიან, დაძლევენ ურთიერთობების კრიზისს; მათ ამისკენ გეოპოლიტიკური ინტერესები უბიძგებს.

**— ბატონო გულბაათ, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას აშშ-თან შეუთანხმებლად ეწარმოებინა საერთაშორისო პოლიტიკა. მით უფრო, ისეთ ქვეყანასთან, რომელსაც აშშ „ბოროტების ღერძის“ ერთ-ერთ შემადგენლად განიხილავს. აშშ-ში საქართველოს ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თემურ იაკობაშვილი დარწმუნებულია, რომ „თუ საქართველო ირანის საერთაშორისო საზოგადოებასთან დაახლოების საქმეში წვლილს შეიტანს, ამით საერთაშორისო არენაზე ქვეყნის როლი და ღირსება კიდევ უფრო გაიზრდება“. იქნებ, ჩვენს ქვეყანას, მისი მდებარეობის გათვალისწინებით, ახალი ფუნქცია დაეკისრა?**

— საქმე ისაა, რომ ის ფორმატი, რა ფორმატითაც საქართველო ურთიერთობს ირანთან, საფრთხეს არ უქმნის ამერიკის ინტერესებს რეგიონში. **საქართველოს არ შეუძლია ამერიკის წინააღმდეგ ირანის კარტის გათამაშება, ძალიანაც რომ მოინდომოს; ასევე, — რუსეთის წინააღმდეგ, ამიტომ ამერიკაც და რუსეთიც საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ ქართულ-ირანული ურთიერთობების გაღრმავებას.** იაკობაშვილის განცხადება ამ ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი მეგალომანიის კიდევ ერთი გამოხატულებაა და სერიოზული კომენტარის ღირსად არ მიმაჩნია.

ესაუბრა
**ბონდო მჭედლიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ზინა ბაიაშვილი: მინდა, ყველამ იცოდეს — მე და ჩემი პირველი ჯგუფის ინვალიდი, უსინათლო მეუღლე შიმშილისგან სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვართ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ 3 ნოემბრის ნომერში ვაშლოვანის ქუჩის №3-ში მცხოვრებ 63 წლის სოციალურად დაუცველ მარტოხელა ქალბატონზე, ივლიტა კასრაძეზე გიამბეთ; ამჯერად კი იმავე მისამართზე, ასევე, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ, 51 წლის ზინა ბაიაშვილს ვესტუმრეთ, რომელიც ზემოაღნიშნული ინტერვიუს გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაგვიკავშირდა.**



**— ქალბატონო ზინა, დღეს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხრიდან ხშირად გვესმის, რომ ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება და მათ ყურადღებას არავინ აქცევს. თქვენ სწორედ სოციალურად დაუცველი ბრძანდებით და რამდენად ზრუნავენ თქვენზე შესაბამისი უწყებები, საერთოდ, რა პირობებში ცხოვრობთ?**

— ჩემი და ჩემი ოჯახის მდგომარეობა დღეს იმდენად გაუსაძლისია, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რით დავიწყო. ვარ სოციალურად დაუცველი, უსახლკარო, მძიმე ავადმყოფი. არ გამაჩნია არანაირი შემოსავალი და საარსებო პირობები... ჩემი მეუღლე პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდია, გადატანილი აქვს ორი ინსულტი და, ფაქტობრივად, გადაადგილებასაც ვერ ახერხებს. ასევე ვარ მეც. **უსახსრობის გამო ექიმთან ვერ მივდივარ, წამლებსაც ვერ ვყიდულობ და დღითიდღე სულ უფრო უარესად ვხდები. საჭმელ-სასმელიც არ გვაქვს, ვერც კომუნალურ გადასახადებს ვიხდით, ზამთარში კი გაყინულ ოთახში ვზივართ, იმიტომ, რომ გათბობის საშუალება არ გვაქვს.** ახლობლები და ნათესავებიც არავინ გვყავს ისეთი, რომ მოგვხედოს და დაგვეხმაროს, ასე რომ, უკიდურესად გვიჭირს...

ძალიან მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ შიმშილისგან უკვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვართ. ყურადღებას კი არავინ გვაქცევს; ამიტომაც დაგიკავშირდით თქვენ და სწორედ თქვენი საშუალებით მინდა, მივმართო, ვთხოვო არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომ დამეხმარონ, ხელისუფლების იმედი არ მაქვს; თუ არა და, პირდაპირ ვიტყვი, მეც და ჩემი მეუღლეც, ისევე, როგორც ბევრი სხვა სოციალურად დაუცველი ოჯახი, განწირულები ვართ...

**— არასამთავრობოებს რომ მიმართავთ, კარგია, მაგრამ ხელისუფლებას თუ მიაწვდინეთ ხმა თქვენი მდგომარეობის შესახებ?**

— აბსოლუტურად ყველა თანამდებობის პირს, ყველა შესაბამის უწყებას განცხადებით მივმართე, მაგრამ, მაპატიეთ და, ყველამ ფეხებზე დამიკიდა. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ამათთან ხვეწნა-მუდარას აზრი არ აქვს და შევეშვი...

**— რომელ უწყებებს მიმართეთ?**

— დედაქალაქის მერიას, პირადად გიგი უგულავას, საკრებულოს, პრეზიდენტსაც კი, მაგრამ, პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალეს. ერთადერთი, ვინც ჩემს განცხადებას გამოეხმაურა, მამუკა ქაცარავა იყო, რომელიც დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ ბოლოს მანაც ფეხებზე დაგვიკიდა, როგორც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. ამის შემდეგ გია მამრიქიშვილს (ქაცარავას მოადგილეს) მივწერე წერილი, ვიფიქრე, იქნებ მან მოგვიხერხოს რამე-მეთქი... პასუხი მივიღე ასეთი: თუ კი რამეს შევძლებთ, დაგეხმარებითო... ეს იყო და ეს, სხვა არანაირი ყურადღება მათი მხრიდან არ ყოფილა და **არც მაქვს იმის იმედი, რომ ჩემს გასაჭირს ვინმე გულთან ახლოს მიიტანს, იმიტომ, რომ დღეს ამ ქვეყანაში, როგორც ჩანს, მოქალაქეების ბედი არავის ადარდებს და რეალურად არავინ ფიქრობს მშიერ-მწყურვალ, უსახლკარო, მიუსაფარ ადამიანებზე...**

**— სოციალურად დაუცველის სტატუსით თუ სარგებლობთ?**

— სტატუსი მაქვს და გარკვეულ დახმარებასაც ვიღებ, მაგრამ ეს დახმარება იმდენად მცირე და მიზერულია, რომ არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მდგომარეობის ადამიანისთვის, ოცდარვალარიანი შემწეობა ნამდვილად სასაცილოა, მით უმეტეს, როცა ფასები, ტარიფები დღითიდღე იზრდება და ყველაფერი ძვირდება. რა უნდა ვქნა? როგორც გითხარით, სახლი არ მაქვს და კარი, არც სამსახური, არც რამე სხვა შემოსავალი... არსებობა ხომ მინდა?! ვის მივმართო და რა გზას დავადგე, არ ვიცი...

**— ისიც გასაკვირია, ოცდარვალარიანი დახმარება რომ დაგინიშნეს. ბევრს საერთოდ გაუუქმეს სოციალურად დაუცველის სტატუსი.**

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მექნება თუ არა სოციალურად დაუცველის სტატუსი, როცა დახმარება ოცდარვა ლარია; თუმცა მაგ ოცდარვა ლარსაც არ მინიშნავდნენ, რომ არა ჩემი აქტიურობა...

**— რა მიზეზით არ გინიშნავდნენ?**

— რომ გითხრათ, გაგეცინებათ. ამ რამდენიმე წლის წინათ სოციალურად დაუცველთა სააგენტოს წარმომადგენელი მეწვია სახლში, დაათვალიერა ჩემი ოთახი, შემდეგ რამდენიმე კითხვა დაგვისვა, რაღაცები ჩაიწერა და ბოლოს მითხრა, თქვენ არც ისე ძალიან გიჭირთ, ჩვენ რომ გვეგონა და ორმოცდაშვიდიათასზე დაბალ ქულას ვერ დაგიწერთო. გაოგნებული დავრჩი...





**დღეს მე მიჭირს, მაგრამ ხვალ და ზეგ ნებისმიერი შეიძლება ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს... ამ ქვეყანაში აღარ დაიდგომება...**

**— მერე არ ჰკითხეთ, რაში მიწერთ ორმოცდაშვიდიათასზე მაღალ ქულასო?**

— ვკითხე კი არა, გეუბნებით, გაოცებული დავრჩი. მე ვუთხარი, ქალბატონო, როგორ არ გრცხვენიათ, მაგას რომ ამბობთ-მეთქი. მომიტრიალდა და ცინიკურად მიპასუხა — იცით რა, თქვენზე გაჭირვებულებიც არიან ამ ქვეყანაზეო.

**— თქვენი აზრით, რამდენი ქულა უნდა დაეწერათ თქვენთვის?**

— რა თქმა უნდა, ნული. **მე არ მაქვს სახლი, კარი, შემოსავალი და რამე ისეთი ნივთი, რომ გავყიდო და ვიარსებო. თქვენ წარმოიდგინეთ, საწოლიც არ მაქვს და ფიცარზე მძინავს. საჭმელს ორ დღეში ერთხელ ვჭამთ, ხანდახან კი სამი-ოთხი დღეც მშივრები ვართ. ზამთარში ვიყინებით...**

მოკლედ, არ ვიცი, რომელი ერთი ვთქვა და ვის მივმართო. ხელისუფლების იმედი ნამდვილად არ მაქვს ან როგორ უნდა მქონდეს იმის შემდეგ, რომ ჩემისთანა გაჭირვებულს ქუჩაში ტოვებს ბედის ანაბარა.

**— ოთახი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობთ, ვის ეკუთვნის?**

— ეს ოთახი ჩემი მეუღლის დის საკუთრებაა, ჩვენ დაგვითმო და, უკვე წლებია, აქ ვცხოვრობთ, მაგრამ უკვე თვითონაც აღარ ჰყოფნის საცხოვრებელი ფართი და მალე, ალბათ, აქედანაც წასვლა მოგვიწევს. სხვა საცხოვრებელი კი არსად გვაქვს. რა ვქნა, არ ვიცი, ქუჩაში ვრჩებით...

**— ქალბატონო ზინა, შეიძლება ამას არც უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ სოციალურად დაუცველთა მიმართ ხშირად ისმის ხოლმე ასეთი პრეტენზიები, პასიურობენო. პირადად თქვენ, გარდა იმისა, რომ განცხადებებით მიმართეთ სხვადასხვა უწყებებს, კიდევ რა ზომებისთვის მიგიმართავთ თქვენი უფლებების დასაცავად? თუ გიცდიათ, გამოგეხატათ პროტესტი თუნდაც იმავე სამინისტროს შენობასთან?**

— ასეთი პრეტენზიები, ალბათ, იმიტომ ჩნდება, რომ დღეს ქვეყანაში ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველია, რომელთაც არანაირი საარსებო პირობები არ აქვთ. ვიღაცას უნდა, რომ ეს ადამიანები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს, მაგრამ ამ ხალხს ყველას და ყველაფრის იმედი აქვს დაკარგული და არავის დაძახილზე ქუჩაში არ გამოვა. ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ, იმიტომ, რომ მე ვიცი, რა არის იმედგაცრუება...

**— საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში რას გულისხმობთ?**

— რას ვგულისხმობ და, **როცა გამოდიან და ამბობენ, სოციალურად დაუცველები პასიურობენო, ჯერ დაფიქრდნენ და მერე ილაპარაკონ. თვითონ ყველაფერი აქვთ, არაფერს იკლებენ, ჩვენ კიდევ შიმშილით ვიხოცებით... ერთი დღე მაინც იცხოვრონ ჩვენი ცხოვრებით, გამოსცადონ ის, რასაც ჩვენ განვიცდით და ნახავენ, რა დღეშიც ვართ. მაგათ, როგორც ჩანს, არ იციან, რა არის შიმშილი და სიდუხჭირე, იმიტომ რომ, ხომ იცით, „მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო“. ამას, პირველ რიგში, ოპოზიციის გასაგონად ვამბობ...**

**— სხვათა შორის, იმავე ოპოზიციის წარმომადგენლები დღეს ნიშნისმოგებით აცხადებენ, 30 მაისის არჩევნებში სოციალურად დაუცველთა დიდმა ნაწილმა ხმა ხელისუფლებას მისცაო.**

— დიახ, ასეც იყო და ამას არც ვმალავ. მე პირადად ხმა მივეცი გიგი უგულავას, იმიტომ, რომ მეგონა, რამეთი დამეხმარებოდა.

**— მერე დაგეხმარათ?**

— არა და ახლა ვნანობ კიდეც, რომ ხმა უგულავას მივეცი, მაგრამ მეორეს მხრივ არც ამ ოპოზიციას ვენდობი. ასე რომ, ჩემთვის სულ ერთია, ვინ მოვა ხელისუფლებაში, რადგან ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ვინც არ უნდა მოვიდეს, ჩემზე და ჩემი კატეგორიის ადამიანებზე არავინ იზრუნებს.

**— მაშ, ვისი იმედი გაქვთ, რა გამოსავალს ხედავთ?**

— მე ვერანაირ გამოსავალს ვერ ვხედავ, გარდა ერთისა — სანამ გავუძლებ, უნდა ვიყო ასე, მშიერ-მწყურვალი, უსახლკარო და მიუსაფარი. სხვა გზა არ მაქვს, ვინაიდან უკვე ყველაფერი ვცადე, ყველას მივმართე და ყურადღება არავინ მომაქცია, მოკლედ, განწირული ვარ. მინდა ეს ყველამ იცოდეს, **დღეს მე მიჭირს, მაგრამ ხვალ და ზეგ ნებისმიერი შეიძლება ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. სამწუხაროდ, სწორედ აქეთ მივყავართ ხელისუფლებას და მის პოლიტიკას, რომლის წყალობითაც დღეს ადამიანებს ამ ქვეყანაში აღარ დაედგომებათ...**

ესაუბრა
**ჯაბა ქვანია**

**P.S.** როგორც დასაწყისში აღვნიშნე, „საქართველო და მსოფლიოს“ სამი ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ 63 წლის სოციალურად დაუცველ, მარტოხელა ივლიტა კასრაძესთან, რომელშიც მან საკუთარ პრობლემებზე, გასაჭირზე ისაუბრა. ნომრის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონი ივლიტა დამიკავშირდა და მითხრა: „**დიდი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს, მთელს რედაქციას, რომ დამეხმარეთ, იმ ინტერვიუს შემდეგ ვიღაც-ვიღაცები დაინტერესდნენ ჩემი გასაჭირით და ყურადღება მომაქციესო**“.

სასურველია, რომ მომავალში არც ერთ სოციალურად დაუცველს, ღარიბსა და გაჭირვებულს „ყურადღების მისაქცევად“ ინტერვიუ, ხვეწნა-მუდარა და, მით უმეტეს, პროტესტის გამოხატვა არ დასჭირდეს.

# ნაბუქომ ჩაილურის წყალი დალია

**„ნაბუქოს“ მილსადენის აგების პრობლემა ისე დაიხლართა და დაიკლაკნა, რომ საბოლოოდ დიდი კითხვის ნიშნის ფორმა მიიღო: აშენდება კი ოდესმე?
ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ ერთი კვირის წინათ ბრიუსელში გამართული ჯგუფური დისკუსიის მონაწილენი, რომელიც მოაწყო „ევროპის მეგობრების“ ჯგუფმა.**






ჩვენი მკითხველისთვის, ეგებ, საინტერესო იყოს, რომ ამ ორგანიზაციის სათავეში დგანან გაზეთ Financial Times-ის ყოფილი კორესპონდენტი **ჯაილს მერიტი** და საინფორმაციო ინტერნეტ-რესურსის — EarActiv-ის ხელმძღვანელი **ვილი დე ბაკერი.**

„ნაბუქოს“ პოლიტიკური აქცენტი მკითხველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი: ცენტრალური აზიის გაზის საბადოების ევროპასთან დაკავშირება იმ მიზნით, რათა ბებერი კონტინენტის ქვეყნები, რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული რუსულ „გაზპრომზე“.

იდეა არის. პროექტი კი, როგორც Foreign Polisy 27 ნოემბერს წერდა (**სტივ ლევაინი, „ევროპის აუხდენელი ტრანსკონტინენტური ოცნება მილსადენზე“**) „დონკიხოტურ სტადიაში იმყოფება“.

**ფრიად გაჭიანურდა ამ იდეის მატერიალიზაცია, რომელსაც თავისთავად „კეთილშობილური ელფერი“ დაჰკრავდა: აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული ღერძის შექმნა.**

ამ ღერძის მეორე ნაწილი თავის დროზე უპრობლემოდ იქნა რეალიზებული: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ- და გაზსადენები უკვე მოქმედებს. „ნაბუქო“ რა დღეშიცაა, უკვე ვთქვით.

**რა უშლის ხელს მშენებლობის დაწყებას?**

**პირველი. ჯერჯერობით დაუდასტურებელია გაზის მარაგის ოდენობა.**

**მეორე. არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ 30-წლიან პერიოდში, რაც აუცილებელია პროექტის თვითღირებულების დასაფარად, ამ გაზს ვინმე იყიდის.**

**პესიმისტურია თურქმენული გაზის ევროპამდე მიღწევის პერსპექტივა.**

ამგვარი სიტუაციის შექმნაში მნიშვნელოვანია თვით თურქმენეთის არათანმიმდევრული პოლიტიკის წილი. **„1990-იანი წლების ბოლოს,** — წერს გამოცემა, რომლის პუბლიკაციასაც განვიხილავთ, — **აშხაბადმა უარი თქვა ტრანსკავკასიური გაზსადენის მშენებლობის შესახებ კონსორციუმის წინადადებაზე, რომელშიც შედიოდნენ კომპანიები** Bechtel-ი **და** eral Electric-ი“. **მიზეზად დასახელდა ის, რომ „ამ კომპანიებმა არ მოისურვეს გერმანულ ბანკში იმდროინდელი პრეზიდენტის — საფარმურატ ნიაზოვის სახელზე ასობით მილიონი დოლარის შეტანა“.**

ეს იყო პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპს პირობითად „პოტიომკინის მილსადენი“ შეიძლება ვუწოდოთ. **„1990-იანი წლების ბოლოს ნიაზოვმა და ამ რეგიონის ზოგიერთი სხვა ქვეყნის ლიდერებმა სულელური ფარსი მოაწყვეს: შუა უდაბნოში ორი მილსადენი შეადუღეს და შეეცადნენ გაზსადენის ავღანეთის გავლით გაყვანას. ეს მცდელობა ჩაიშალა და ამ ობოლ განშტოებას არავინ მიუერთდა“.**

მესამე ეტაპი პირველი ორივით არეული და გაუგებარია. პრეზიდენტის პოსტზე საფარმურატ ნიაზოვის მემკვიდრე **გურბანგულ ბერდიმუჰამედოვის პოზიცია ასეთია: „გაზსადენი თქვენ თვითონ ააშენეთ, ჩვენ კი გამოვიყენებთ“.**

## ყურბანგულ ბერდიმუჰამედოვის პოზიცია ასეთია: «გაზსადენი თქვენ თვითონ ააშენეთ, ჩვენ კი გამოვიყენებთ»

იმის გამო, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ჩინელების გარდა, ვერავინ ბედავს, მიგვანიშნებს პუბლიკაციის ავტორი: **„თურქმენები დასავლეთის წინადადებას ბლეფად აღიქვამენ“.**

რით აიხსნება აზიელების ორჭოფობა — თან სურთ, თან თავს იკავებენ?

პირველი მიზეზი არის ის, რომ „მათ პანიკურად ეშინიათ რუსეთის შესაძლო რეაქციის“.

მეორე მიზეზი: **„თურქმენულ გაზს ჩინელები ყიდულობენ და იმ განშტოებით მარაგდებიან, რომელიც თავად ააშენეს, თურქმენებს კი იმედი აქვთ, რომ გაზის უფრო მეტ რაოდენობას გადაქაჩავენ სამხრეთის მიმართულებით ირანისა და ავღანეთის გავლით“.**

მაშ, „ნაბუქოს“ რა დარჩება? — კითხულობს სტივ ლევაინი და აქვე უპასუხებს, რომ ამ ახალ, ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრის სახით არსებული მილსადენის შესავსებად მოიაზრებენ აზერბაიჯანული გაზის მცირე მარაგს შაჰ-დენიზის საბადოს მეორე რიგიდან. ეს კი **„აშკარად არასაკმარისი რაოდენობაა იმისთვის, რომ გაზსადენის მშენებლობად ღირდეს“. „ნაბუქოს“ მწყობრში ჩადგომას კი, არც მეტი, არც ნაკლები, 8 მილიარდი დოლარი სჭირდება.**

**ასე რომ, „ნაბუქომ“ ჩაილურის წყალი დალია და მისი ავტორები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ.**

# საქართველო მხოლოდ ბაყაყების ექსპორტით თავს ვერ გაიტანს

**ჩვენი ეკონომიკური ექსპერტების კარგა ხნის წინათ გამოტანილ ამ „განაჩენს“ აღმოჩენასავით გვაწვდის The Economist-ი 27 ნოემბრის პუბლიკაციაში.
ჩვენ კი ვიცოდით, მაგრამ სოფლის მეურნეობის მინისტრად მშობლების თანხლებით მიყვანილ ბაკურ კვეზერელს მაინც და მაინც ამ ბაყაყებზე ამოსდის მზე და მთვარე.**



250 000-ზე მეტი ბაყაყი გაიგზავნაო საზღვარგარეთ შარშან. დარჩა 300 წლის კუ, ქალბატონი ტორტილა ამ მხიარულად მოყიყინე ამალის გარეშე.

წუხს ბურატინო.

წლევანდელი „მაჩვენებლები ერთიორად მეტი უნდა იყოსო“, — უხარია ბაკურს.

**დუმილი დაისადგურებს ქართულ ჭაობებსა და ჭყანტობებში, ანუ ხელიდან გამოგვეცლება ის ერთადერთი, რაც ქართულ პროვინციულ სივრცეს, ბათუმის გამოკლებით, ცხადია, სიცოცხლის ნიშანწყალს უნარჩუნებდა. ასე თუ ისე.**

**საქართველოს ექსპორტს კი არაფერი ეშველება მანამდე, „სანამ ისეთი ყოველდღიური საკვები შემოაქვს, როგორიცაა, მაგალითად, ახალი რძე. ქართული ბრენდები რძის ფხვნილისგან დამზადებულ რძეს ყიდიან“.**

რა ვიცი, იყო დრო, როცა მაგდანები და მათი ლურჯები სრულიად აკმაყოფილებდნენ დედაქალაქის მოსახლეობის მოთხოვნებს. დღეს ისეთი რა გველეშაპი ჩამოგვისახლდა ავლაბარში, რომ „ბრენდებიც“ კი იძულებული არიან, უცხოეთიდან შემოზიდონ ხელოვნური რძის დასამზადებელი ფხვნილი?!

მარტო ეს თავისტკივილი რომ გვაწუხებდეს, რა გვიჭირდა.

The Economist-იც ცდილობს, ობიექტურად შეგვიფასოს სიტუაცია, რომელიც „საკმაოდ ექსტრემალურია“:

**„კომუნისტური მმართველობის დროს, — აღნიშნულია პუბლიკაციაში, — საქართველო საბჭოთა კავშირის უმეტეს ქვეყნებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის ნაწარმით ამარაგებდა. მაგრამ სსრკ-ის დანგრევას ეკონომიკური კატასტროფა მოჰყვა. 1991 წელს დაახლოებით ნახევარი მილიონი ქართველი ინდუსტრიულ სფეროში მუშაობდა. 2004 წლისთვის კი 100 000 კაცზე ნაკლები იყო დასაქმებული ამ სფეროში. ამ წლებში ჯართის შეგროვება ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ექსპორტად იქცა და ეს ფაქტი დღემდე არ შეცვლილა. ქვეყნის სამეურნეო სექტორის ჩამოშლას (ჩაი, ციტრუსი, ხილი, ხორცი და გადამამუშავებელი მეურნეობა) ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე მძიმე შედეგი მოჰყვა. შედეგად 2004 წლისთვის საქართველოს მშპ 1989 წლის მაჩვენებელთან შედარებით 45 პროცენტით დაეცა“.**

შეიძლება დავეთანხმოთ პუბლიკაციის ავტორს, მაგრამ დავიზღვიოთ თავი და **ეკონომიკის ექსპერტს, პროფესორ დავით იაკობიძეს** ვთხოვოთ კომენტარი.

**„რა გიპასუხოთ?** — ამბობს ბატონი დავითი, — **მსჯელობა ერთგვარად ეკლექტიკურია. მაინც და მაინც საქმეში ჩახედული კაცის ნააზრევს არ ჰგავს. მაგალითად, 1992 წელს საქართველოს მშპ 1989 წლის მშპ-სთან შედარებით უკვე მხოლოდ 20 პროცენტი იყო. 1992 წლიდან დაიწყო ზრდა და 2004 წლისთვის გაორმაგდა.**

**ჯართის შეგროვება კი არა, ჯართის გატანა იქცა ექსპორტის პრიორიტეტად.**

მნიშვნელოვანია ისიც, რომ, **ეკონომიკა გარედან შემოსულმა ბოროტმა ძალებმა კი არ დაგვინგრიეს, ჩვენვე დავმართეთ საკუთარ თავს „რევოლუციური“ რადიკალიზმით.**

უკან დახევა და „ჩამოშლა“ ფაქტია, მაგრამ ამ უკუსვლის მიზეზები სერიოზულ და შიდა თუ გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ. თუმცა მესმის, რომ ეს არის ჟურნალისტური მასალა, რომელსაც მეცნიერულ ანალიტიკას ვერ მოვთხოვთ“.

რაცა გვაქვს, ეს არის.

„ეს“ კი პირდაპირ გვეუბნება, რომ უცხოური დახმარება (4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღგვითქვეს), რომელიც საქართველოს ეკონომიკას ასე თუ ისე ჩაძირვისგან იცავს, „დროთა განმავლობაში აუცილებლად შემცირდება და საგადასახადო ბალანსში გარღვევას გამოიწვევს“.

**ყველაზე დიდი თავსატეხი ჩვენი მთავრობისთვის,** Economist-ის მიხედვით, **ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული „უზარმაზარი ბალანსის დარეგულირებაა“.**

რის ხარჯზე? ცხადია, უცხოური ინვესტიციების. მაგრამ მათი ნაკადი 2007 წელთან შედარებით შარშან სამჯერ უფრო დაბალი იყო. 2010 წელს კი **„უცხოური ინვესტიციები საქართველოში უფრო პატარა ნაკადულს შეგვიძლია შევადაროთ, ვიდრე წყალუხვ მდინარეს“.**

„საქართველოს მთავრობა შეჩვეულია, რომ ეკონომიკის მართვისთვის მას ყოველთვის აქებენ: მსოფლიო ბანკმა „იოლი ბიზნესის წარმოების“ ჩარტებში საქართველო მე-12 ადგილზე დააყენა, მაგრამ **ცუდი არ იქნებოდა (გთხოვთ, დააკვირდეთ! — ა.ს.), ყურადღება მიექციათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დონისთვის. 2010 წელს მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში, რომელიც მსოფლიო ბანკზე უფრო მაღალი საზომია, საქართველო 139 ქვეყანას შორის 93-ე ადგილზეა“.**

93-ე და მე-12 ადგილებს შორის ხომ არის დიდი სხვაობა?

არის.

ბაყაყები კი სულ სხვას ყიყინებდნენ.

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამოხმაურებანი



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

ძალოვანი სფერო ყოველთვის წინა პლანზე იყო სააკაშვილის პოლიტიკაში, მიუხედავად იმისა, ბოკერია იქ იქნება თუ არა. ბოკერია ამ ყველაფერში შეიტანს ახლა შეუბრალებლობის ახალ ელემენტებს. კაცი ხვრეტდა საკუთარი ხელით ციხეში პატიმრებს, მე იქ ვიდექი და ნამდვილად არაფერს არ ვიგონებ. ეს კაცი ჩამოსაკიდებელია ჭადრის ხეზე... ნანა იოსელიანი შემხვდა ამას წინათ საზღვარგარეთ, მოჭადრაკე რომ არის, და მითხრა: „კაცო, ხალხი მხვდება და მეჩხუბება, როგორ გააჩინე და გაზარდე ეგეთი ანტიქართველი შვილიო. ვეუბნები, ჩემი შვილი არ არის, ნანა ალექსანდრიასია“-თქო. ეშლებათ...

*„ალია“*



**ლეონიდ პარფიონოვი,**
**ტელეჟურნალისტი:**

მეჩვენება, რომ სააკაშვილის პოლიტიკა აშკარად არათანმიმდევრულია. თუ მას რუსეთისადმი ისეთი სურვილები ჰქონდა, რომელთა შესახებ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, მაშინ გაუგებარია, აქამდე მთელ რიგ საკითხებში რატომ ჰქონდა მას მკაცრი და შეურიგებელი პოზიცია. საქმე კიდევ ისაა, რომ თქმით ყველაფრის თქმა შეიძლება. ნიშნავს კი სააკაშვილის მიერ ნათქვამი საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებას? პირადად მე ასეთი რამ ძნელად წარმომიდგენია. ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ კრემლი სააკაშვილისადმი დამოკიდებულებას შეიცვლის.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ნინო კალანდაძე,**
**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაჟღერებული სამშვიდობო ინიციატივა ისედაც იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებას წარმოადგენს. მიხეილ სააკაშვილმა ევროპარლამენტში გამოთქვა მზადყოფნა, ეს ინიციატივა წერილობით საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს გადაუგზავნოს. რაც შეეხება ჟენევას, ეს ცალმხრივი ფორმატი არ არის. ამიტომ საქართველო მზადაა, ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში გააფორმოს, თუ რუსეთი ანალოგიურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზეც აიღებს.

*„პირველი“*



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით მოხდება. ჩვენ არ დაბრუნდებით 90-იანებში; რევოლუციების დრო დასრულდა, თუმცა ამ ბრძოლაში შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა კონსტიტუციური ფორმა, აქციებიც კი.

დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი არჩევნები გაზაფხულზე არ იქნება. ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესში ვართ შესული. საარჩევნო გარემოს შეცვლა დასრულდება გაზაფხულის ბოლოს. ჩემი ვარაუდიც და შეთანხმებაც ასეთია.

*jurnalist.ge*



**ლია მუხაშავრია,**
**ადვოკატი:**

უარყოფითი ლიტერატურული პერსონაჟებიც კი ძალიან მიყვარს და არ მინდა, ჩვენს პოლიტიკოსებთან გაიგივებით გავანაწყენო...

*„ყველა სიახლე“*



**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემიის“ წარმომადგენელი:**

სამწუხაროდ, მომხდარის გამო, იდეამ სოლიდურობა დაკარგა. კრების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ დარბაზში არ გამართულა — მათ ამისთვის უნდა ებრძოლათ და კრების მოწყობის არსი ხალხისთვისაც გაცილებით უკეთ უნდა აეხსნათ. ისე კი არა, — ბევრი ხალხი თუ მოვა, ასე ვიზამთ, ცოტა თუ მოვა — ისეო. გარკვევით უნდა ეთქვათ, რამდენი ადამიანიც უნდა მოვიდეს, განსახილველად რიგ საკითხებს გამოვიტანთ, დარბაზს ავირჩევთ და არავითარი შევარდნა არ იქნებაო.

*„ვერსია“*

# «შენ გაგიმარჯოს, სიკვდილო...»

**2010 წლის 25 ნოემბრიდან მოყოლებული გადაბრუნებული ურმებით აივსო საქართველოს დაბეტონებული და ასფალტსაფარიანი ცენტრალური გზები: რუსთაველზე გამართული სახალხო კრების შედეგები, ვისაც არ დაეზარა, ამ ტრადიციული მეთოდით შეგვიფასა.**

უფასოა და მომგებიანი: ხავსია უპარტიოდ დარჩენილი, ცალკე აღებული პოლიტიკოსებისთვის და საწყისი კაპიტალი ხელისუფლების მიერ აუტიდან შემოგდებული ჯაბულანებისთვის — ახალწვეულ მოლაყბეთათვის, რომლებიც ჯერ არ გამხდარან „ცნობადი“, მაგრამ უკვე არ ვარგიან, როგორც ის ბურთები — ჯაბულანები, რომლებსაც აფრიკის ოღროჩოღრო მინდვრებზე აგორებდნენ ცნობილი ფეხბურთელები.

გვარები არ მკითხოთ, არ დამიხსომებია: ხვალ მაინც დაგვავიწყდება ყველას.

სამაგიეროდ — აგერ მათი ენერგიული დასკვნები: **სრული იმედგაცრუება და გულგატეხილობა! ოპოზიციის ფიასკო და გამანადგურებელი კრახი! დასამარება სამგლოვიარო მარშის თანხლებით! პოლიტიკური გვამები და პირში ჩალაგამოვლებული ხალხი...**

**ოპოზიციონერებს** აშავებენ ვითომ, ფაქტობრივად კი, **ოპოზიციონერობას** უტევენ, როგორც ხელისუფლების საპირწონეს, ავტორიტარული მმართველობის თუ უგვანო ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ ამხედრებულ სახალხო ძალას.

ერთი ფსიქოლოგი, რომელიც წინა კბილების უქონლობამაც ვერ დააბრკოლა, ეკრანზე გამოჩენილიყო, სატელევიზიო „კარტინკების“ შედარებით გვიმტკიცებდა გასულ პარასკევს (შეიძლება, ხუთშაბათიც იყო): ერთის მხრივ, ესთეტურობა, სილამაზე და სიკაშკაშე ბათუმიდან გადმოცემული საოპერო ვარსკვლავების კონცერტის და, მეორეს მხრივ, მრუმე ფერები, მაშასადამე, არაესთეტურობა სახალხო კრებისა, რომელიც რუსთაველზე ტარდებოდა, პირველის სასარგებლოდ განაწყობდა მაყურებელს, ანუ ხელისუფლების უპირატესობაში არწმუნებდა ელექტორატს.

არჩევანი შედგა.

მდაბიოთა შეკრება (კარგი სიტყვა აქვთ რუსებს — чернь) ჩაიშალა.

ჩვენ — чернь!

ისინი — ესთეტები, ვისაც ნაგვის ყუთებში ქექვისთვის გაუწირავს ქართველი ხალხი!

**წინასაარჩევნო სლოგანი — „საქართველო სიღარიბის გარეშე“ ადამიანების მიმართ ისეთივე ცინიკური დამოკიდებულების გამოხატულებაა, როგორც სახალხო კრების გამართვის დღეს ბათუმში პლაჩიდო დომინგოსა და ქართველი მომღერლების „ისტორიული კონცერტის“ გამართვა. თბილისის აბუჩად აგდება და ნებივრობა ღვთაებრივი ჰანგების მოლივლივე ტალღებზე. მღილთა ამბოხი და მაძღართა განცხრომა.**

**ხალხი ამათთვის ლექია, ფსკერზე დარჩენილი უსარგებლო მასა. ყმები ვგონივართ ახალთავადებს, ძონძებში გახვეული სეთურის მიწისმთხრელები.**

სულიც ამოგვხდომია ოპოზიციის კვალზე დამდგარ მასას.

ოპოზიცია თავის თავს დაიცავს, ან ვერ დაიცავს. ხალხი მადარდებს და ოპოზიციური სულისკვეთება მისი.

გაქრა? დასამარდა?

ოპოზიციის შეცდომები იმ რიგისაა, რომელთაც, შესაძლებელია, იდეის დევალვაცია მოჰყვეს, რისკენაც ისწრაფვიან ხელისუფლება და გადაბრუნებული ურმების კარგად დაფინანსებული მეხრენი.

— ჩვენ დავინახეთ, რომ ხალხთან მუშაობაა საჭირო, ადგილებზე ბირთვის შეკვრა, ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, — არ ვიცი, ჩვენ გვამშვიდებენ, არ ვიცი, თავს იმართლებენ სახალხო კრების ლიდერები.

**კარგით, რა! „კმარას“ გამოცდილება მაინც წინ არ გქონდეთ, თავისუფლების ინსტიტუტის. როგორ ამზადებდნენ უცხოეთში ამათ კოორდინატორებს, როგორ ასწავლიდნენ დაუმორჩილებლობის ანბანს: შეკრებები, ტრენინგები, ბალკანური გამოცდილების გაზიარება... და მოხდა ის, რაც მოხდა: პოსტსაბჭოთა სივრცეში სოროსის ექსპერიმენტი მხოლოდ ჩვენთან აღმოჩნდა ეფექტიანი.**

კი — რევოლუციური სიტუაცია, როცა ხელისუფლებას აღარ შეუძლია, ხალხი კი ვეღარ ითმენს. მაგრამ, ამასთან ერთად, წლების მანძილზე ჩატარებული ორგანიზაციული საქმიანობის რისკიანი რუტინა.

**ვინმეს მართლა ხომ არ ჰგონია, რომ 1917 წლის ორი გადატრიალება ერთმა მუჭა რევოლუციონერებმა შემთხვევით მოახდინეს?!**

**ესენი ახლა აკეთებენ დასკვნებს — უნდა ვიმუშაოთო.**

**ხელისუფლება ხელებს იფშვნეტს და ქელეხის გადასახდელად ემზადება.**

მაგრამ ვისთვის დარეკავს გლოვის ზარი?

გერმანელ ფილოსოფოსს, ფიხტეს თუ ვენდობით, **„სიკვდილი ბუნებაში არის დაბადება, სიკვდილში ნათლად ვლინდება სიცოცხლის ამაღლება. ბუნებაში არ არსებობს მომაკვდინებელი საწყისი, რადგან ბუნება მხოლოდ სიცოცხლეა; კლავს არა სიკვდილი, არამედ უმეტეს ცხოველი სიცოცხლე, რომელიც ჩაისახება და ვითარდება ძველ სიცოცხლეს ამოფარებული. სიკვდილი და დაბადება მხოლოდ სიცოცხლის ბრძოლაა საკუთარ თავთან, და ამ ბრძოლის მიზანი უფრო ამაღლებული და ცხოვრების მოთხოვნებთან შეფარდებული მისი გამოვლენაა“** (Фихте, Назначение человека, С.-Петербург, 1905, стр. 131).

უფრო მარტივად ვთქვათ: **„შენ გაგიმარჯოს, სიკვდილო, სიცოცხლე ხარობს შენითა“ (ხალხური)**.

სიკვდილი დაბადებაა!

აქედან გამომდინარე, ოპოზიციის სიკვდილი, რომელზეც ალაპარაკდა თეთრხელთათმანიანთა ნასყიდობა, ხელისუფლების გამარჯვება კი არ არის, არამედ შეურიგებლობის ძლიერი მუხტის დაბადების ნიშანია, რომელიც ჩაისახა და ვითარდება „ძველ სიცოცხლეს“ ამოფარებული.

საქმე ისაა, გაწვდება თუ არა ჩვენი გონება და ინტელექტი ახალ რეალობას, რომელიც იშვა სიკვდილისგან?..

**იჭრიალა, იჭრიალა გაუპოხავმა ურემმა ამ შეკითხვის ორღობეებში და დადგა — არც გზა ჩანს, არც გადაბრუნება უშველის ამ საქმეს. დასკვნა კი ხელის გულზე დევს: მასირებული კრიტიკა ნაბანი წყლისთვის ბავშვის გატანებაა.**

წყალს გატანებული ბავშვი კი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა მოსე.

**არმაზ სანებლიძე**



## მოკლედ

### ვინ იქნება მომავალი კანდიდატი

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი 2012 წლისთვის საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ერთობლივად მიიღებენ.**

„მე და მედვედევი გადავხედავთ, როგორი იქნება ქვეყანაში ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და შემდეგ შესაბამისად ვიმოქმედებთ“, — განაცხადა პუტინმა. ბერლინში ყოფნისას გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრემიერმა აღნიშნა, მომავალი არჩევნების კანდიდატის თემა უკვე ტრადიციად იქცა. რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 2012 წლისთვის არის დაგეგმილი.

### უმრავლესობა კრებას დასცინის

**რუსთაველზე მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით მმართველ უმრავლესობაში სერიოზული შეფასებების გაკეთება უჭირთ.** იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა ახალი კონსტიტუციის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა, რომ, „თუ სახალხო კრებამ“ და მისმა მხარდამჭერმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია გააბათილეს და სხვა ქვეყნებისაც უკან არ მიაყოლეს, მაშინ, იმედია, სერიოზულ საერთაშორისო სკანდალს ავცდით“. მიღებულ „სახალხო ვერდიქტს“ „სრულიად არასერიოზული“ უწოდა უმრავლესობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა.

### ოპოზიციის ტროას ცხენი

**„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ორგანიზატორებს უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს.** „მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელად თანავუგრძნობთ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც ქვეყანაში რეალური ცვლილებების განხორციელების მიზნით პროტესტის უკიდურეს ფორმას — ქუჩის აქციებს მიმართა, ედპ მიიჩნევს, რომ სახალხო კრების ორგანიზატორი პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან განხორციელებული მორიგი უპასუხისმგებლო აქცია შემდეგში მიმართული აღმოჩნდა არა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ — ოპოზიციის.

# კიდევ ერთხელ გაცრუებული იმედი

## ლადო სადღობელაშვილი:

# უმაქნისი ოპოზიციის წყალობით, დღეს სააკაშვილი არის ერთპიროვნული მეფე, რაც საქართველოს დაღუპავს

**„ყურადღებით! ვიწყებთ! ძრწოდეთ! ბაკურ, ფონოგრამა! ირაკლი, გუბაზი, ეკა... тетя Нина, თემური ჩამოვიდა, შაშიაშვილი? გოჩა სად არის, ძასოხოვი? ჩემი იგორი? ვაიმე, მგონი ჩავისვარეთ!“ — ასეთი პათოსით დაიწყო ჩვენთან საუბარი არასამთავრობო ორგანიზაციის „მამული, ენა, სარწმუნოება“ წევრმა ლადო სადღობელაშვილმა „სახალხო კრების“ აქციებთან დაკავშირებით.**





**— როგორ შეაფასებთ „სახალხო კრების“ ორდღიან აქციებს?**

— რაც 25 და 26 ნოემბერს მოხდა, იყო სრული კრახი. კარგად მახსოვს „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ლიდერების განცხადებები, რომ კრება არ დასრულდებოდა ისე, როგორც ადრე ხდებოდა, ანუ იქ შეკრებილ საზოგადოებას არ წაიყვანდნენ რკინიგზის გადასაკეტად, ეკლესიაში და არ გაუშვებდნენ სახლში. თუმცა მოხდა უარესი — **20 ათასამდე ადამიანი 2 საათით შეკრიბეს პარლამენტის წინ და შემდგომ სახლში დაუპირეს გაშვება. ქუჩა ყველაზე ეფექტური ბერკეტია დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ხალხიც ისეა გამწარებული სოციალური პირობების გაუარესების გამო, რომ ნებისმიერ აქციაზე, ნებისმიერ რადიკალურ ნაბიჯზეა წამსვლელი. მაგრამ ეს ოპოზიციამ კიდევ ერთხელ ვერ გამოიყენა.**

რას ნიშნავდა ზოგიერთი „ლიდერის“ განცხადება: ხალხის საკმარისი რაოდენობა არ მოვიდა?! თბილისელებო, გამოდით! რომ გამოსულიყვნენ, მერე რა? ეყოფოდათ შნო ამ არაერთხელ სახელგატეხილ ოპოზიციონერ ლიდერებს რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად?

კარგი იდეა იყო „სახალხო კრება“, თუმცა პოლიტიკანებმა გააუბრალოეს ეს იდეაში მძლავრი ორგანიზაცია. წესიერი ხალხის უკან აღმოჩნდნენ ბინძურები. არ ვიყავი ამ ორგანიზაციაში გაწევრებული, მაგრამ როგორც მოქალაქე თვალყურს ვადევნებდი მათ საქმიანობას. როდესაც შეიკრიბნენ პარლამენტთან, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. სააკაშვილმა რევოლუცია 17 ათასი კაცით მოაწყო, ოპოზიციას კი არა ერთხელ ჰყავდა ქუჩაში სამჯერ და ოთხჯერ უფრო მეტი ხალხი გამოყვანილი, მაგრამ ვერაფერი გააკეთა. **ხალხი სახალხო კრებაზე მივიდა სააკაშვილის რეჟიმის დასასრულებლად. „ჩვენ სააკაშვილის ხელისუფლებას დავამთავრებთ!“, „ხალხი, რომელიც ქუჩაში გამოვა, სახლებში არ წავა, სანამ მიზანს არ მიაღწევს!“ — ასეთი განცხადებების შემდეგ გამოდის ნინო ბურჯანაძე და იძახის, დაიშალეთო. ეს იყო დიდი დარტყმა აქციაზე მყოფი ადამიანებისათვის.** იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი არ იყო წინასწარ დაგეგმილი. ვიმედოვნებ, მიზეზი იყო ის, რომ შნო არ ეყოთ სააკაშვილის მართველობის დასამთავრებლად.

**— „სახალხო კრების“ წარმომადგენლების მიერ აქციების დაშლის გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში გაღიზიანება გამოიწვია...**

— რა თქმა უნდა, გამოიწვევდა. ეს იყო ხალხის აბსოლუტურად ჯანსაღი რეაქცია. ორ დღეში კი არა, ეს ყველაფერი 25-შივე დამთავრდებოდა, ხალხს რომ არ მოეთხოვა გაგრძელება.

**— როგორ ფიქრობთ, ადეკვატური იყო თუ არა 26-ში აქცის მონაწლეების ტელევიზიასთან წაყვანა და პიკეტირების მცდელობა?**

— ეს იყო თითიდან გამოწოვილი მიზეზი. ოპოზიციას რომ იმ დღესვე გამოეხატა პროტესტი, როდესაც მათ უარი უთხრეს პირდაპირ ტრანსლაციაზე, კიდევ გასაგები იქნებოდა. 26-ში კი ტელევიზიის ვითომ პიკეტირების მცდელობა იყო „წყალწაღებული კაცი ხავსს ეჭიდებოდაო“ პოზიცია. ოპოზიციის ამ ნაწილმა ხალხს კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედი. ოპოზიციის იმ ნაწილზე, რომელიც საერთოდ არ მივიდა აქციაზე, ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. ალასანია, „მემარჯვენეები“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“ — ეს არის ხალხი, რომელიც შემჩნეულია ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირში და თანაც — არაერთხელ.

**ერთ-ერთმა ლიდერმა თქვა, რომ გრძელ და მძიმე გაზაფხულს ვპირდებით ამ ხელისუფლებასო. ახლა გაზაფხულისთვის გადაიტანეს. ხალხს აღარ სჯერა მათი, ამ მოვლენების შემდეგ — მით-უმეტეს!**

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალოს?**

**— საჭიროა ახალი, ეროვნული, ქართველებზე და საქართველოზე აღმოცენებული ორგანიზაცია, პარტია, მოძრაობა, რომელიც შეებრძოლება იდეოლოგიას და არა პიროვნებებს; რომელიც იქნება არა რუსული ან ამერიკული მხარე, არამედ ქართული; ვინც დაიწყებს და დაამთავრებს გინდ არჩევნებით, გინდ რევოლუციით. ძველი ოპოზიცია ყველასთვის გაცრუებული იმედია და მეტი არაფერი. დღევანდელი ოპოზიცია არის აბსოლუტურად ნული.**

**— როგორ ფიქრობთ, ამ მოვლენებმა შეუწყო ხელი სააკშვილის პოზიციების გამყარებას?**

— სააკაშვილმა მიაღწია საკუთარ მიზანს და ამაში ოპოზიციამ შეუწყო ხელი. ხალხს დაანახა, რომ ოპოზიცია. ამ მოვლენებით სააკაშვილმა კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები. უმაქნისი ოპოზიციის წყალობით, დღეს სააკაშვილი არის ერთპიროვნული მეფე, რაც საქართველოს დაღუპავს.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ

### ექსპერტები მინისტრის წინააღმდეგ

**საქართველოს ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, 2009 წელთან შედარებით, მიმდინარე წლის ათი თვის მონაცემებით, საქართველოში საგადასახადო ადმინისტრირების წნეხი შემცირდა.**

ამ სასიხარულო ინფორმაციას ეკონომიკის ექსპერტები ცალსახად არ ეთანხმებიან. ეკონომიკის საკითხთა ექსპერტის — გია ხუხაშვილის განცხადებით, სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა. ექსპერტ დავით ნარმანიას განცხადებით კი, აღნიშნული მაჩვენებელი ეჭვს ბადებს, რადგან თითქმის ყველა ბიზნეს-კომპანია, რომელშიც ფინანსური შემოწმება განხორციელდა, დაჯარიმდა“.

### თაღლითი ადვოკატი

**სამართალდამცველებმა თანხის გამოძალვისა და თაღლითობის ბრალდებით ადვოკატი მერაბ ვარშანიძე დააკავეს.** საქმის მასალების მიხედვით, ვარშანიძემ ერთ-ერთი პატიმრის მერაბ კონცელიძის მეუღლე დაარწმუნა, რომ ყალბი სასამართლო სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, თავდაპირველად პატიმრისათვის სასჯელის გადავადებას, შემდეგ კი, შეწყალების უფლების გამოყენებით, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას შეძლებდა. აღნიშნული მომსახურეობის საფასურად კონცელიძის ოჯახს მისთვის 3 200 დოლარი გადაუხადა. მას შემდეგ, რაც ადვოკატმა დანაპირები ვერ შეასრულა, დაზარალებულმა კი იჩივლა, ვარშანიძეს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

### იმგზავრეთ ძვირად და «ხარისხიანად»

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაძვირებას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით ხსნიან.** „ეს ხდება იმიტომ, რომ მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდეს. საკითხი განსახილველად გავა საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, რომელზეც მერიის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი აკაკი ჯოხაძე ტარიფის გაძვირების მიზეზებს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის, რომ 520 ათასი ადამიანისთვის, რომლებიც შეღავათებით სარგებლობენ, მგზავრობის საფასური იგივე დარჩება“, — დაგვაიმედა ლაშა იმედაშვილმა. თბილისის მერიის ინიციატივას საკრებულო 29 ნოემბერს დაამტკიცებს.

## გაფრიზებული



**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

სანამ ზოგიერთი გენიოსი ამბობს, — წავა მიშა, მოვა გრიშაო, არაფერი გვეშველება. რა თქმა უნდა, მსოფლიოში ასეა, რომ „მიდის მიშა, მოდის გრიშა“ — მთავარია, რა პრინციპით მოვა ის ე.წ. გრიშა, როგორ წავა მიშა და რამდენად სამაგალითო იქნება მიშას წასვლა, ამაზეა მთელი მსოფლიო აგებული და, როცა შეგნებულად ითესება ხალხში ასეთი ნიჰილიზმი, როდესაც ადამიანები ამბობენ, რომ ამას არაფერი ეშველება, თუ ამ სიტუაციას არ ეშველება და ვეგუებით, მაშინ ვისხდეთ იმ კასრში, რომელიც ბინძურია და ვისხდეთ, სანამ არ მოგვწყინდება.

*„ალია“*



**ლაშა ამირეჯიბი, „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ორგანიზატორი:**

ბოკერია ნამდვილად ინკვიზიტორია... ბოკერია ეკლესიების მთავარი დამანგრეველია. ბოკერიას ინიცირებული იყო ე.წ. ციხის სისხლიანი ბუნტი, როცა საკნებში პატიმრები ჩახოცეს. ბოკერია პატრონობს პედერასტებს, იეღოველებსა და ათასი ჯურის სექტანტებს. ის ამერიკულ პოლიტიკას ატარებს, უფრო სწორად ის ამერიკულ-სექტანტურ პოლიტიკას ლობირებს. ამ თვალსაზრისით ბოკერია ძალიან საშიში კაცია. გარდა ამისა, მანდ არის ერთი პატარა ნიუანსი — ეკა ტყეშელაშვილი ვანო მერაბიშვილს ასე პირდაპირ ვერ დაეტაკებოდა, მაგრამ ამას დიდი სიამოვნებით იზამს გიგა ბოკერია, რადგან მას არაერთი საეგზეკუციო და დამსჯელი აქციისთვის უხელმძღვანელია.

*„ალია“*



**დავით ბაქრაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:**

როგორც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისე შიგნით არიან დაინტერესებული ძალები, რომელთაც საქართველოს არასტაბილურ სახელმწიფოდ წარმოჩენა სურთ და სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა ფიზიკური შეტევების განხორციელებისა.

*„პირველი“*



**პაატა დავითაია, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს, ქვეყანაში გაუგებარი კრიმინალური ფაქტები ხორციელდება, რაც ვითარების ხელოვნურად დაძაბვას ემსახურება.

*„პირველი“*



**იური ვაზაგაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ სიცოცხლე“ დამფუძნებელი:**

ერთობის გარდა, საზოგადოებას გამოსავალი არ აქვს. პოლიტიკოსები ხალხისკენ იშვერენ ხელს, გულგრილობაში გვადანაშაულებენ და გადავწყვიტეთ, ჩვენ აგვეღო ინიციატივა ხელში. ამ ხნის განმავლობაში ხალხი პოლიტიკოსებს უსიტყვოდ მიჰყვებოდა ქარში, წვიმაში, თოვლში... დაგვშლიდნენ, ისევ შევიკრიბებოდით და ასე განუწყვეტლივ. დღეს ადამიანებს საზოგადოების წარმომადგენლებისა უფრო სჯერათ, ვიდრე პოლიტიკოსების.

*„ყველა სიახლე“*



**მანანა ნიკოლაიშვილი, „განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

ამგვარი ფორმით და, რაც მთავარია, ფართო უფლებამოსილებით, მანდატურის ინსტიტუტი არსად არის. არაერთ წამყვან ამერიკელ ექსპერტს შევხვედრივარ, რომლებიც ჩვენში მოქმედ კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ უარყოფითად აფასებენ... ტყუილად ცდილობენ განათლების რეფორმის მამები, დაგვიმტკიცონ, რომ ყველაფერი ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობიდან „გადმოთარგმნეს“, ამგვარი ანტიმეცნიერული, ანტიპედაგოგიური კანონი იქ არავის მიუღია. ან განა ამერიკის შეერთებულ შტატებში მასწავლებლებს, განსაკუთრებით მცირესაათიან პედაგოგებს, მანდატურზე ოთხჯერ ნაკლები ხელფასი აქვთ?!

*„ყველა სიახლე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## აშშ ავღანეთში ტანკებს აგზავნის



**აშშ-ის არმიის სარდლობამ გადაწყვიტა, ავღანეთში ტანკები გადაისროლოს, — იტყობინება „Washington Post“-ი.** აღსანიშნავია, რომ აქამდე, 9 წლის განმავლობაში, ამერიკელები ავღანეთის კამპანიაში ტანკებს არ იყენებდნენ, თუმცა რთულმა მდგომარეობამ აიძულა პენტაგონი, პირვანდელ გადაწყვეტილებას გადახედოს. პირველი 16 ტანკი ჰელმენდის პროვინციაში გაიგზავნება, სადაც ბოლო დროს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს.

## დაჭრილ ამერიკელებს რობოტები მიხედავენ



**ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოსაყვანად, აშშ-ის არმია კომპანია „Vecna Technologies“-ის რობოტებს გამოიყენებს, — წერს „DefenceTalk“-ი.** რობოტს „BEAR“-ი შეარქვეს (ეს აბრევიატურაა სრული დასახელებიდან „ბრძოლის ველიდან ევაკუაციის რობოტი-ასისტენტი“ და ამასთანავე, „დათვი“ — ინგლისურად). ის დისტანციურად იმართება, აღჭურვილია ვიდეოკამერებითა და სენსორებით და 230 კილოგრამამდე ტვირთის აწევა და გადატანა შეუძლია. საინტერესოა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ გვერდზე დაეცემა, რობოტს შეუძლია ისევ ვერტიკალური მდგომარეობა მიიღოს.

## «WM-120» — მოკითხვა ჩინეთიდან



**ჩინეთში ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის — „WM-80“-ის ახალი ვერსია „WM-120“ შეიქმნა.** „Jane‘s Defence Weekly“-ის ცნობით, მისი მოქმედების რადიუსი 120 კილომეტრამდე გაიზარდა. გამოცემის ვარაუდით, 273 მმ. რეაქტიული ჭურვები ინერციული GPS სანავიგაციო სისტემით აღიჭურვა, რომელიც უკვე გამოიყენება სხვადასხვა ჩინურ რაკეტებში. „WM-120“-ის გამშვები დანადგარის საბრძოლო მასა 36,5 ტონაა. ის „TA-580“ ავტომობილის ბაზაზე (ფორმულა 8X8) დამონტაჟდა. მაქსიმალური სიჩქარე შოსეზე 70 კმ/სთ-ია; რაკეტების გაშვებისთვის მომზადებას 5-8 წუთი სჭირდება. ცნობისთვის: ჩვენი მეზობელი სომხეთი ამ დანადგარის ძველი ვერსიის, „WM-80“-ის, რამდენიმე ერთეულს ფლობს.

## „STM“ — პატარა და ჭკვიანი ბომბი



**კომპანია „Raytheon“-მა წარმატებით გამოსცადა ახალი 6-კილოგრამიანი ბომბი „STM“, რომლითაც უპილოტო საფრენი აპარატები აღიჭურვება.** ბომბს დამიზნების ორი — ლაზერული და GPS სისტემა აქვს. ნავარაუდევია, რომ მსგავსი ტიპის ბომბები, რომელთაც მიმომხილველების ნაწილი მაღალი სიზუსტის იარაღის ცალკე კლასში გამოყოფს, ბრძოლის ველზე მცირე ქვედანაყოფების სიცოცხლისუნარიანობას გაზრდის და შეამცირებს მათ დამოკიდებულებას საავიაციო და საარტილერიო მხარდაჭერაზე, აგრეთვე, რთული რელიეფის პირობებში ბრძოლის დროს მათი მოქმედების ეფექტურობას გაზრდის.

# კორეა ძმათამკვლელი ომის ზღურბლზე დგას

**გასულ სამშაბათს მომხდარმა საარტილერიო დუელმა ჩრდილოეთი და სამხრეთ კორეა კვლავ ომის საშიშროების წინაშე დააყენა. ეს მეორე სერიოზული ინციდენტია, რომელიც წლეულს მოხდა, მარტში გაურკვეველ ვითარებაში ტორპედირებულ იქნა და ჩაიძირა სამხრეთელების კორვეტი „ჩხონანი“, 46 მეზღვაური დაიღუპა.**



დავიწყოთ გეოგრაფიით და იმ გარემოების აღნიშვნით, რომ არანაირი „კუნძული ენპჰენდო“, რომელსაც, მედიის ცნობით, ჩრდილოელებმა ჭურვები დაუშინეს, ბუნებაში არ არსებობს. „ენპჰენდოს არქიპელაგი“ კი, რომლის შემადგენლობაში შედის კუნძულები ტე-ენპჰენდო და სო-ენპჰენდო (დიდი და მცირე ენპჰენდო), ნამდვილად არსებობს და ყვითელ ზღვაში მდებარე სხვა სამ კუნძულთან ერთად (პენენდო, ტე-ჩხონდო, სო-ჩხონდო) ჩრდილოეთ კორეის სიახლოვეს სამხრეთელების მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენს. ამ კუნძულებზე განლაგებულია სამხედრო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტები და საზღვაო ქვეითების მსხვილი ძალები. იმ შემთხვევაში, თუ სრულმასშტაბიანი ომი დაიწყება, ამ შენაერთებმა, იდეაში, შეიძლება მსხვილი სადესანტო ოპერაცია განახორციელონ.

საზღვაო საზღვარი ამ კუნძულების სიახლოვეს სადავოა. **ჩრდილოეთ კორეა „ჩრდილოეთის გამყოფ ხაზს“ არ სცნობს. უახლოესი წერტილი ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე კუნძულებისგან 15-16 კილომეტრშია. ამ წერტილიდან სამხრეთ კორეამდე კი 55-60 კილომეტრია. ეს გარემოება ჩრდილოელებს, არტილერიის გამოყენების თვალსაზრისით, უდავო უპირატესობას აძლევს.** თანაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხრეთელების სარდლობა კუნძულზე განლაგებული დაჯგუფების საარტილერიო კომპონენტს გააძლიერებს, შეზღუდული სივრცისა და რელიეფის თავისებურებების გამო ის ეფექტური მანევრირების საშუალებას მოკლებული იქნება. თუმცა ცხადია, აბსტრაქტული საარტილერიო დუელის წარმოდგენა არაფერს გვარგებს, რადგან **ესკალაციის შემთხვევაში საქმე მხოლოდ არტილერიით არ შემოიფარგლება, საქმეში მოიერიშე ავიაციაც ჩაერთვება და საერთოდ, სრულმასშტაბიანი დაპირისპირება არა მხოლოდ კუნძულების ზონაში, არამედ კონტინენტზეც საზღვრის მთელ გაყოლებაზე დაიწყება.** რა შეიძლება მოხდეს ამ შემთხვევაში?



გეოგრაფია კონტინენტზეც ჩრდილოელთა მხარეზეა, მათი „კოკსანის“ ტიპის თვითმავალი საარტილერო დანადგარები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „M-1991“ სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულს, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს, სადაც 10 მილიონზე მეტი მცხოვრებია, იოლად წვდება. ტაქტიკური შეხედულებები, რომლებსაც ჩრდილოელთა გენერალური შტაბი ხელმძღვანელობს, პრინციპში, არც ისე შორს დგას გასული საუკუნის 70-იანი წლების საბჭოთა იდეებისგან. ეს ეხება როგორც არტილერიის მასირებას, ისე მექანიზებული შენაერთების მიერ მანევრული ომის წარმოების პრინციპებს.

სავარაუდოდ, ჩრდილოელები საწყის ეტაპზე შეეცდებიან, მოაწყონ „საარტილერიო არმაგედონი“ სეულსა და 38-ე პარალელზე, გაარღვიონ სამხრეთელთა თავდაცვითი ზღუდეები სასაზღვრო ზოლში და თავიანთ მძიმე კორპუსებს (ჯავშანსატანკო და მექანიზებული ბრიგადებისგან შედგება) თავისუფალ სივრცეზე გასვლისა და მანევრული ომის წარმოების შესაძლებლობა მისცენ. **უდიდესი მნიშვნელობა ამ სავარაუდო გეგმაში დაეთმობა სარაკეტო იერიშს სამხრეთელთა აეროდრომებზე, რადგან აშშ და სამხრეთ კორეა ჩრდილოელთა წინსვლის ჩაშლაში ავიაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.**

თუ სარაკეტო იერიში წარმატებით განხორციელდება, მოკავშირეები ომის საწყის ეტაპზე (ავიაციის თვალსაზრისით) ამერიკულ ავიამზიდებზე ბაზირებული 150-200 „ჰორნეტის“ და „სუპერ-ჰორნეტის“ იმედად დარჩებიან, ისიც იმ შემთხვევაში თუ აშშ კონფლიქტის დაწყებამდე კორეის ნაპირებთან თავს 3-4 ავიამზიდ დაჯგუფებას მოუყრის. თუმცა სამხრეთელთა წინააღმდეგობის, ტექნიკის სიძველისა და საწვავ-საპოხი მასალების ნაკლე- ▶

# COMSUBIN: იტალიელი საზღვაო დივერსანტები

**რა დასამალია და, იტალიის შეიარაღებული ძალები მისაბაძ მაგალითად მსოფლიოში არასოდეს ითვლებოდა, უფრო — პირიქით. თუმცა არსებობს ერთი სფერო, სადაც იტალია ხანგრძლივი დროის განმავლობაში უდავო ლიდერად ითვლებოდა და დღესაც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს; იტალიელი წყალქვეშა დივერსანტები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.**





იტალიის საზღვაო სანაპირო ზოლის სიგრძე 5 ათას კილომეტრს აღწევს, თავისთავად ეს ფაქტი ქვეყნის დაცვისთვის ძლიერი ფლოტის შექმნას გულისხმობს. თუმცა ეკონომიკური სისუსტე არასოდეს აძლევდა იტალიას შესაძლებლობას, ამ მხრივ „პირველი რანგის“ საზღვაო სახელმწიფოებისთვის კონკურენცია გაეწია. ბრძოლის იაფ საშუალებებსა და ასიმეტრიულ ტაქტიკაზე დაფიქრება სწორედ აქედან მოდის.

**ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, 1918 წლის 1 ნოემბერს, ორმა იტალიელმა წყალქვეშა დივერსანტმა ავსტრია-უნგრეთის ფლოტის სიამაყის, დრედნოუტ „VIRIBUS UNITIS“-ის ჩაძირვა მოახერხა.** მეორე მსოფლიო ომის წყალქვეშა დივერსანტები იტალიის მე-10 ფლოტილიის („10ª Flottiglia MAS“, იგივე „La Decima“) შემადგენლობაში მოქმედებდნენ. მათი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოპერაცია იყო რეიდი ალექსანდრიაზე, სადაც **1941 წლის 19 დეკემბერს ხანგრძლივი დროით მწყობრიდან გაიყვანეს ორი ბრიტანული დრედნოუტი „QUEEN ELIZABETH“ და „VALIANT“ და კიდევ ორი ხომალდი, იტალიელებმა მხოლოდ 6 დივერსანტი დაკარგეს (ტყვედ ჩავარდნენ), რაც მიყენებულ უზარმაზარ ზარალთან შედარებით, პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავდა.** მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიელი წყალქვეშა დივერსანტებისა და მათი მეთაურის — იუნიო ბორგეზეს (მეტსახელი „შავი თავადი“) სახელოვანი თავგადასავლების აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანს; ასე რომ, ისევ თანამედროვე ეტაპს დავუბრუნდეთ. ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ბობის გამო ჩრდილოელები, მიუხედავად იმისა, რომ მათ დასაწყისში წარმატებული წინსვლისა და სეულის დაკავების მაღალი შანსი აქვთ, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებენ სამხრეთ კორეის ტერიტორიის სრულ დაკავებას და მოკავშირეები, ისევე, როგორც 1950 წელს, შეინარჩუნებენ პლაცდარმს, სადაც ამერიკული ჯარების გადასროლა დაიწყება.

**გამორიცხული არაა, რომ საბოლოოდ, XXI საუკუნეში კორეის პირველი ომის სცენარი განმეორდეს.**

მოკავშირეები შენარჩუნებულ პლაცდარმებზე ძალების კონცენტრაციას მოახდენენ და მაშინ, როდესაც ჩრდილოელთა ერთობ დაჟანგული სამხედრო მანქანა კრიზისში შევა, კონტრშეტევას დაიწყებენ და ჩრდილოეთით წაიწევენ. თუმცა **ჩინეთი, ალბათ, არ დაუშვებს ჩრდილოეთ კორეის დაკავებას ამერიკელების მიერ** (სტრატეგიული თვალსაზრისით, კორეა ჩინეთის შუბლზე მიბჯენილი პისტოლეტია) **და ჩრდილოელებს სერიოზულ დახმარებას აღმოუჩენს.**

გეოგრაფიული პირობები წინსვლისთვის ჩრდილოეთ კორეაში გაცილებით არახელსაყრელია, ვიდრე სამხრეთში. ამასთანავე, აქ, ავღანეთისგან განსხვავებით, ამერიკელთა წინააღმდეგ არა ათეულ ათასობით, არამედ ასეულ ათასობით, თუ არა მილიონობით, მოწინააღმდეგე იბრძოლებს. ასე



რომ, **გამორიცხული არაა, რომ ომი, ისევე, როგორც 50-იანებში, „ფრედ“ დასრულდეს და მისი ერთადერთი შედეგი მიწასთან გასწორებული კორეა და უზარმაზარი მსხვერპლი გახდეს.**

თუმცა, ისევ სავარაუდო კონფლიქტის საწყის ეტაპს დავუბრუნდეთ და ვნახოთ, რამდენად რეალურია ჩრდილოეთ კორეის ავიაციისა და საჰაერო თავდაცვისთვის არტილერიისა და ჯავშანსატანკო ნაწილების წარმატებული მოქმედება უზრუნველყოს, მარტივად რომ ვთქვათ „გადაეფაროს“ მათ წინსვლის, პირველ, ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე, რაც პრინციპში, მათ ერთადერთ ამოცანას წარმოადგენს, ვიდრე კონფლიქტში ამერიკული ავიაციის მსხვილი ძალები ჩაერთვებიან და, შესაბამისად, მარცხი ჰაერში გარდაუვალი გახდება.

**სამხრეთ კორეის საჰაერო ძალები შედარებით მცირე, მაგრამ მაღალტექნოლოგიურია. მათ შემადგენლობაშია: 42 მძიმე გამანადგურებელი „F-15K“ (60%-ით ადგილობრივი კომპონენტებისგან შემდგარი „F-15E“-ს გაუმჯობესებული ვარიანტი). 174 „F-5E Tiger“, 170 „F-16“ (მათ შორის 5 „F-16C“, 90 „KF-16C“ და 45 „KF-16D“). ძველი თვითმფრინავები შედარებით ცოტაა. მათ შორისაა 68 მოიერიშე-გამანადგურებელი „F-4 Phantom-2“, რომელთაც მოიერიშეების ფუნქცია ეკისრებათ. საწვრთნელი-მოიერიშე ავიაციიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ 64 „KAI T-50“ (კიდევ 80-ის წარმოება იგეგმება), ეს ძალზე მსუბუქი, სწრაფი და მაღალტექნოლოგიური თვითმფრინავია, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად ნებისმიერი იარაღით აღიჭურვოს.**

**საჰაერო თავდაცვის სისტემაში „Patriot PAC-2“-ის 6 ბატარეა (თითოეულში 8 გამშვები დანადგარი) და „MIM-24 HAWK“-ის 24 ბატარეაა. ყველა დანადგარი ინტეგრირებულია სარადარო სისტემასთან „AN/MQP-64 Sentinel“-ი.**

**ჩრდილოეთ კორეას გაცილებით მეტი თვითმფრინავი ჰყავს, თუმცა მათი უმრავლესობა სამუზეუმო ექსპონატს ჰგავს.**

**ყველაზე საუკეთესო 35 МиГ-29С“-ია, ცეცხლის მართვის გაუმჯობესებული სისტემით. დაზუსტებელი ინფორმაციით, მათი უმრავლესობა ფხენიანის საჰაერო თავდაცვას უზრუნველყოფს. შემდეგ მოდის სარაკეტო დუელებზე ორიენტირებული 46 „МиГ-23МЛ“-ი და 10 „МиГ-23Р“-ი, შემდეგ კი ნამდვილი პანოპტიკუმი იწყება: 190 „МиГ-21“, 200 „МиГ-17“, 80 რეაქტიული ბომბდამშენი „ИЛ-28“, რომელთა როლი თანამედროვე ომში, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. მოიერიშე ავიაციაში წარმოდგენილია 36 „Су-25“, 12 „L-29“ და ასამდე „Су-7“, „Су-22“ და „Q-5“.**

ჩრდილოეთ კორეის საჰაერო თავდაცვის სისტემაში შედის 24 „С-200“, 128 „С-125“, 240 „С-75“ და დაუდგენელი რაოდენობის „С-25“, რომელთაც მსოფლიოში, დიდი ხანია, არავინ იყენებს. საჰაერო თავდაცვის უფრო დაბალ საფეხურზე („Круг“, „Куб“, „Стрела“ და ა.შ.) ნუ ჩამოვალთ, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ ჩრდილოკორეელებს, ყოველივე ამასთან ერთად, საზენიტო არტილერიის, მათ შორის, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი 11 ათასზე მეტი ერთეული აქვთ. ძნელი ამოსაცნობია, თუ რა ფუნქცია ეკისრებათ მათ თანამედროვე ომში.

იმის მოდელირება, თუ რა მოხდება კორეის საჰაერო სივრცეში ომის დაწყების შემთხვევაში, ძალზე საინტერესოა, თუმცა ამას მოკლედ ვერ ვიტყვით. ასე რომ, სჯობს, მსჯელობა ამ თემაზე ახლო მომავლისთვის გადავდოთ.



◀**COMSUBIN (Comando Raggruppamento Subacquei e Incursori Teseo Tesei)** სამი ქვედანაყოფისგან შედგება. პირველი მათგანის მებრძოლები „GOI“ („Gruppo Operativo Incursori“, იგივე „რეიდერები“) უფრო ახლოს კლასიკურ კომანდოსებთან დგანან, ხოლო მეორეში „GOS“ („Gruppo Operativo Subacquei“) საკუთრივ საბრძოლო მყვინთავები შედიან. სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის ისაა, რომ **რეიდერები აქტიური, აგრესიული მოქმედებებისთვის გამოიყენებიან, მათ შორის ხმელეთზე, სანაპირო ზოლში, ხოლო „GOS“-ის მყვინთავები უფრო კონტრდივერსიული ოპერაციებისთვის, პორტებისა და გემების დაცვისთვის.** აღსანიშნავია, რომ „GOI“-ის ყველა მებრძოლს გავლილი აქვს „GOS“-ის შემადგენლობაში მოქმედებისთვის აუცილებელი მომზადება და პირიქით.

**„GOI“ შედგება სარდლობისგან და საბრძოლო ქვედანაყოფებისგან, რომლებიც 6 ესკადრონად იყოფა, თითოეულ ესკადრონში 25 მებრძოლია, დასახული ამოცანებიდან გამომდინარე ესკადრონი, თავის მხრივ, იყოფა ოპერატიულ (როგორც წესი, 6-10 კაციან) რაზმებად.**

„GOS“-ი იყოფა ექვს რაზმად, რომელთაგან თითოეულში ერთი ოფიცერი და შვიდი ოპერატორი შედიან. ეს რაზმები განლაგებულია საკვანძო პორტებში, კერძოდ, კალიარიში, ლა სპეციაში, აუგუსაში, ტარანტოში, ანკონასა და ლა მადალენაში. მათი **მთავარი ამოცანა პორტებისა და გემების დაცვა და საზღვაო დივერსანტებისთვის წინააღმდეგობის გაწევაა.** ისინი, აგრეთვე. სანაპიროსთან ახლოს, მეორე მსოფლიო ომის დროიდან შემორჩენილი „სიურპრიზების“ განაღმვით არიან დაკავებულნი. **1999 წლის შემდეგ მათ გაუვნებელყვეს 34 საავიაციო ბომბი, რომლებიც ნატოს ავიაციამ იუგოსლავიის კამპანიის დროს** (თვითმფინავების დაზიანების ან სხვა მოულოდნელი გარემოებების გამო) **იტალიის სანაპიროს სიახლოვეს წყალში ჩამოაგდო. ამ ჯგუფს გააჩნია უნიკალური აღჭურვილობა, რომელიც მას საძიებო-სამაშველო ოპერაციების ეფექტური ჩატარების შესაძლებლობას აძლევს; მაგალითად, მინი-სუბმარინები „MSM\1 S USEL“, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.**

შერჩევის კრიტერიუმები ძალზე მკაცრია, „COMSUBIN“-ში მსურველთა მხოლოდ 10% ხვდება. პირველადი კვალიფიკაციის შემდეგ ახალბედა მებრძოლები სპეციალიზიციის ექვსთვიან კურსს გადიან, რომლის დროსაც ხდება მათი განაწილება „GOI“-სა და „GOS“-ში; მათი მომზადების დონის ამაღლება მომდევნო წლებშიც (როგორც წესი, 35 წლის ასაკამდე მსახურობენ) მიმდინარეობს. COMSUBIN-ისთვის დამახასიათებელია მუდმივი წვრთნა და კვალიფიკაციის ამაღლება, მებრძოლები უსაქმოდ იქ არასოდეს არიან.

**COMSUBIN-ის შემადგენლობაში, აგრეთვე, შედის „GNS“-ი, სპეციალური მცურავი საშუალებების ჯგუფი, რომელიც „GOI“-სა და „GOS“-ის მოქმედებას უზრუნველყოფს.**

ყოველივე ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სახელმწიფომ შექმნას შესანიშნავი ქვედანაყოფები და შეიმუშაოს მათი გამოყენების უნიკალური ტაქტიკა, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძი თუ არა, შესასწავლი და გასაანალიზებელი იქნება. **იტალია, ალბათ, ვერასოდეს შექმნის ფლოტს, რომელიც ზესახელმწიფოების საზღვაო ძალებისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს, თუმცა ვერც ერთი ადმირალი მსოფლიოში ვერ დაიძინებს მშვიდად, თუ ეცოდინება, რომ მის ხომალდებზე ნადირობა იტალიელმა საზღვაო დივერსანტებმა დაიწყეს.**

მოამზადა
**გიორგი გიგიბერია**



# გაფრაზებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი:**

უახლოეს წლებში, უფრო ზუსტად კი, ამ წლიდან დაწყებული 2020 წლამდე, ეროვნული თავდაცვის დაფინანსების მოცულობა საერთო შიდა პროდუქტის 2,8%-ით განისაზღვრება. ეს მნიშვნელოვანი ფულია, ამ პროგრამის ფარგლებში იქამდე უნდა მივიდეთ, რომ სამხედროების საბაზო, ფულადი დაფინანსება, პრაქტიკულად, გასამმაგდეს.

*rbc.ru*



**რამზან კადიროვი,**
**ჩეჩნეთის სახელმწიფო მეთაური:**

იმ ადამიანებმა, რომლებმაც უარი თქვეს ტერორიზმზე, განაცხადეს, რომ მათ წლობით ამზადებდნენ ქართული და დასავლური სპეცსამსახურების წარმომადგენლები, „სტინგერის“ რაკეტებითაც კი აიარაღებდნენ. რატომ გზავნიან ჩვენთან ჩვენი ქართველი ძმები სააკაშვილის ხელმძღვანელობით ამ სატანის შვილებს? შეერთებული შტატებიდან ბრძანების გარეშე სააკაშვილს სუნთქვაც კი არ შეუძლია. თუკი შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კავკასიაზე კონტროლს მოიპოვებს, ისინი უფრო მეტად დაიწყებენ საკუთარი პირობების კარნახს.

*foreignpress.ge*



**ვლადიმირ ვორონინი,**
**მოლდოვის ყოფილი პრეზიდენტი:**

არის რაღაც, რაც ჩემთვის მიუღებელია. სააკაშვილმა ზუსტად ასეთი ნაბიჯები გადადგა ქუთაისის „დიდების მემორიალის“ აფეთქებით. ჩემთვის ეს შეურაცხყოფა... ჩემთვის ეს შებილწვაა. მე ამის დავიწყება არ შემიძლია. ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ჩემთვის არსებობა შეწყვიტა. მიხეილ სააკაშვილი არარაობაა. საკითხავი ის არის — ადამიანია ის თუ არა.

*gazeta.ru*



**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი,**
**თურქეთის პრემიერ-მინისტრი:**

ნუთუ ისრაელი ფიქრობს, რომ მას შეუძლია შეიჭრას ლიბანში ყველაზე თანამედროვე თვითმფრინავებითა და ტანკებით, დახოცოს ქალები და ბავშვები, დაანგრიოს სკოლები და საავადმყოფოები და ელის, რომ ამაზე გავჩუმდებით? ნუთუ ისრაელი ფიქრობს, რომ შეუძლია ყველაზე თანამედროვე იარაღი, ფოსფორის შიგთავსიანი ჭურვები, კასეტური ბომბები იმისთვის გამოიყენოს, რომ ღაზაში ბავშვები ხოცოს და მოელის, რომ ჩვენ ამ დროს მდუმარებას შევინარჩუნებთ? ჩვენ არ გავჩუმდებით. ჩვენ ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობით დავდგებით სამართლიანობის მხარეს.

*rian.ru*



**ბორის ჩოჩიევი,**
**სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში:**

ევროპარლამენტში სააკაშვილის განცხადებების დაჯერება არ შეიძლება. მსგავსი განცხადებები არაერთხელ მოგვისმენია საქართველოს ხელმძღვანელობისგან, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, 2008 წლის აგვისტოში, ისევე, როგორც 1992 და 2004 წლებში, დაერღვიათ ყველა ეს პირობა, შეთანხმება და მოლაპარაკება. ევროპარლამენტში, ძირითადად, იმ ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც შეაიარაღეს და სამხრეთ ოსეთისკენ გასალაშქრებლად გზა დაულოცეს სააკაშვილს. მშვიდობის შესახებ წინადადებით სააკაშვილმა მათ უნდა მიმართოს, ვის წინააღმდეგაც ძალას იყენებდა და ვის წინააღმდეგაც თითქოსდა ძალას აღარ გამოიყენებს. რუსეთის ფედერაცია იყო და რჩება მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად სამხრეთ ოსეთში, აგრესორისგან ჩვენი ინტერესების დაცვის გარანტად.

*rosbalt.ru*



**ნიკოლა სარკოზი,**
**საფრანგეთის პრეზიდენტი:**

მე არაფერი მაქვს თქვენი საწინააღმდეგო, თუმცა მგონია, რომ პედოფილი ხართ. ვინ მითხრა? ეს ჩემი პირადი დასკვნაა. შეგიძლიათ თავი იმართლოთ! ხვალამდე, ჩემო პედოფილო მეგობრებო!

*topnews.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# აფეთქების გენია

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**




**მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.**
**მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-43

**ყველას და ცხადია, სტარინოვსაც, მშვენივრად ესმოდა, რომ ფინეთის კამპანია გაცილებით უფრო სასტიკი და დაუნდობელი ომის პროლოგი იყო.**

1941 წლის 22 ივნისი, ბელორუსიის მომცრო ქალაქის მოედანი. სადღაც ძალიან ახლოს ფაშისტური ბომბდამშენები საბჭოთა ქალაქებს ანადგურებენ. წითელი არმია პანიკურად იხევს უკან. ხალხი მოუთმენლად ელის ოფიციალურ შეტყობინებას საბჭოთა ხელმძღვანელობისგან, რადიო კი დიქტორის მხნე ხმით დილის ვარჯიშისკენ მოუწოდებს მოსახლეობას. ამ სურათს სტარინოვი სიცოცხლის ბოლომდე დაიმახსოვრებს.

**წითელი არმია თავდაცვისთვის მზად არ იყო, მაგრამ სარდლობა ყველანაირად ცდილობდა მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას. მოსკოვში სტარინოვს პირდაპირ დაუსახეს ამოცანა — საბჭოთა ჯარის უკან დახევის შემდეგ ხიდები უნდა აეფეთქებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში — დახვრეტა.**



ვიაზმასთან სტარინოვი მეორედ გადაურჩა სიკვდილს, ამჯერად წითელარმიელების ხელით. ხიდზე, რომლის აფეთქებაც იყო გამიზნული, მას ხელი ჩაავლეს, იარაღი აჰყარეს და მიაძახეს: **„ცუდად მუშაობენ თქვენი პატრონები, ახლა შენი საქმე წასულია, საძაგელო ფაშისტო“.** როგორც გაირკვა, ხიდის აფეთქების ბრძანება შინაგან საქმეთა კომისრის მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი და არა თავდაცვის სახალხო კომისრის მიერ, როგორც ამ შემთხვევაში აღმოჩნდა.



**ამ თითქოსდა უმნიშვნელო გაუგებრობას უზომოდ დიდხანს არკვევდნენ ადგილობრივ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, იმდენად დიდხანს, რომ ხიდის აფეთქების დრომ ჩაიარა. გერმანიის კოლონებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაიარეს ხიდი და დაიკავეს მთლიანი ქალაქები, ოლქები, რესპუბლიკებიც კი.**

სამხედრო აკადემიაში სტარინოვის საკურსო ნაშრომის თემა „ოპერაცია ალბერიხი“ იყო. ეს მსოფლიო ომების ისტორიაში დასახლებული პუნქტების დანაღმვის უმსხვილესი ოპერაცია იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს საფრანგეთიდან გერმანიის ჯარების უკან დახევისას განხორციელდა და იმ დრომდეც სამაგალითოდ ითვლებოდა. **ხარკოვში, რომლის დაცემაც გარდაუვალი იყო, ილია სტარინოვს საკუთარი ალბერიხი — უზარმაზარი სამრეწველო ცენტრის ყველა იმ ობიექტის დანაღმვის ოპერაცია ელოდა, რომელიც შეიძლებოდა რაიმე ღირებულება გამხდარიყო მტრისთვის.**




**ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, ი. სტარინოვის შვილთაშვილი:**

ცნობილი იყო თარიღი, როდესაც ხარკოვს დავტოვებდით. ვინაიდან ხარკოვის დაკარგვა გარდაუვალი გახდა, მის ტერიტორიაზე ყველა სამხედრო ობიექტი უნდა განადგურებულიყო. მათი უბრალოდ განადგურება უაზრობა იქნებოდა. ეს ამოცანა ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ მოწინააღმდეგეც დაზარალებულიყო, ანუ საჭირო გახდა როგორც შენელებული მოქმედების ნაღმების, ასევე რადიომართვადი ნაღმების საქმეში გაშვებაც.



განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად იქცა ხარკოვში, ძერჟინსკის ქუჩა №17-ში მდებარე სახლი, რომელიც ხრუშჩოვს ეკუთვნოდა. მცირეოდენ ეჭვსაც კი არ იწვევდა, რომ ეს მდიდრული შენობა რომელიმე გერმანელ მაღალჩინოსანს მოუვიდოდა თვალში. ახალ მობინადრეებთან ერთად მისი აფეთქება სტარინოვისთვის პრინციპის საქმედ იქცა.

**იმისთვის, რომ თავისი გერმანელი კოლეგები მოეტყუებინა, სტარინოვმა მინა ნახშირში ჩამალა. ზერთული ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც მრავალრიცხოვანი ეშმაკობებით დამზადდა, ჩვეულებრივისგან ერთადერთი რამით განსხვავდებოდა — თუ ასაფეთქებლის აკუმულატორი დაიცლებოდა, მინა აბსოლუტურად უსაფრთხო გახდებოდა.**

ამავე დროს სახლის ქვეშ ღამ-ღამობით ღრმა ორმოს თხრიდნენ. ამ ორმოში სასწაულებრივი ძალის უზარმაზარი ნაღმი უნდა ჩაედოთ. ნიკიტა ხრუშჩოვს სახლი მანამ არ უნდა მიეტოვებინა, ვიდრე საიდუმლო სამუშაოები საბოლოოდ არ დასრულდებოდა. სტარინოვის გეგ-



მის მიხედვით, ყველაფერი აბსოლუტურად დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო. **ძერჟინსკის ქუჩისა და სხვა რადიომართვადი ნაღმები ვორონეჟიდან მოიყვანეს მოქმედებაში 14 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ხარკოვში გერმანელები დამკვიდრდნენ. მათი მოქმედების შედეგი დიდი ხნით რჩებოდა გამოცანად — ჰიტლერელები დანაკარგების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას არ ჩქარობდნენ.**

ამ, სინამდვილეში მნიშვნელოვნად წარმატებული, ოპერაციისთვის სტარინოვი კიდევ ერთხელ შერისხეს. საბჭოთა სამხედროებმა მოახერხეს, მოესმინათ ფიურერის მიერ გაცემული ბრძანება, რომლის მიხედვითაც გერმანელ მენაღმეებს მადლობას უცხადებდნენ ხარკოვში დიდი რაოდენობით რუსული ნაღმების ამოღებისათვის. მათ შორის იყო ხრუშჩოვის სახლის ნაღმიც. **მოსმენილ საუბრებში გერმანელები ირწმუნებოდნენ, რომ სტარინოვის ნაღმებს მოძველებული კონსტრუქცია ჰქონდა და ცუდად იყო შენიღბული. საბჭოთა სარდლობა დიდი შემართებით წამოეგო ამ ანკესს.**

„ამხანაგო სტარინოვ, თქვენი ნაღმები არ ფეთქდება“, — უსაყვედურა საინჟინრო ჯარების მეთაურმა, გენერალმა ნევსკიმ.




**ალექსეი პოპოვი, ისტორიკოსი:**

გერმანელებმა გაავრცელეს ჭორები ამ ნაღმებზე, ამბობდნენ, თითქოს რუსები უზომოდ დაუდევრები არიან, ნაღმების ელემენტები დაუნესტიანდათ და ასე შემდეგ. ეს ინფორმაცია მივიდა ჩვენების, უსაფრთხოების ორგანოების თანამშრომლების, ყურამდეც. მათ კი, რა თქმა უნდა, დაიწყეს გადამოწმება, თუ რამდენად ახლოს იყო გაგონილი სინამდვილესთან. სტარინოვს, ცხადია, ჰქონდა არასასიამოვნო მომენტები, შეიძლებოდა, მასზე რაიმე ეჭვი მიეტანათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, როგორც ისტორიამ უჩვენა, ეს ასე არ მოხდა.



მხოლოდ ორი წლის შემდეგ გაიგო სტარინოვმა ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი გამნაღმველისგან, რომ გერმანელი მენაღმეების ნამუშევარი არც ისე მამაცური იყო, რუსული ნაღმებს კი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა განსაზღვრება „მოძველებული“. უფრო მეტიც, **ტყვედ ჩავარდნილმა გერმანელმა კაპიტანმა სტარინოვს უამბო, რომ მან ნამდვილად გააუვნებელყო რთული ნაღმი, რის თაობაზეც გერმანულ ბრძანებაში იყო საუბარი და ამის შემდეგ ხრუშჩოვის სახლში გერმანული გარნიზონის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი ფონ ბრაუნი დასახლდა. მაგრამ ნაღმი სინამდვილეში გაუვნებელყოფილი არ აღმოჩნდა, რის თაობაზეც გერმანელებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როდესაც ვორონეჟიდან მართული სიგნალის შედეგად ხრუშჩოვის სახლი გერმანელ გენერალთან ერთად აფეთქდა.**




**მაკსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

როდესაც ნაღმი ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც ღამით, დანიშნულ დროს უმძლავრესი რადიოსიგნალი გაუშვეს ვორონეჟიდან, სახლის ადგილას გაჩნდა უზარმაზარი ორმო. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი გერმანულ-ხარკოვული ქვედანაყოფები თავს არ ზოგავდნენ, საპატიო დაკრძალვისთვის ვერაფერი აღმოაჩინეს. ეს იყო სტარინოვისა და მისი კოლეგების ხარისხიანი მუშაობის პირდაპირი მაჩვენებელი.



**ფიურერი გაცოფებული იყო და თავისი მეცნიერებისგან რადიომართვადი ნარმების შექმნას მოითხოვდა. ნაღმი, რომელიც რუსულ ანალოგს სიმსუბუქითა და მოხერხებულობით აჭარბებდა კიდეც, მართლაც შეიქმნა, მაგრამ სერიულად არ დამზადებულა. ამისთვის ძალიან ბევრი ძვირფასი მეტალი იქნებოდა საჭირო.**



1942 წლის დასაწყისში სტარინოვი კვლავ ცდილობდა, დაერწმუნებინა სარდლობა, რომ მოწინააღმდეგის ზურგში ტოტალური პარტიზანული ომის წარმოება იყო აუცილებელი. ამ ინიციატივისთვის იგი კიდევ ერთხელ გადაურჩა ტყვიას. სამხედრო იდეოლოგი მეხლისი მოუდრეკელი დივერსანტის დახვრეტის პირობას დებდა, თუ ის მომავალშიც არ შეწყვეტდა თავისი საეჭვო იდეებით ბელადის შეწუხებას.

**ალექსეი პოპოვი, ისტორიკოსი:**

წარმოიდგინეთ, ფრონტი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა. გერმანელებმა ისე გაიარეს, როგორც დანა გადის კარაქში. წითლების ჯარი უკან იხევდა, ქაოსი არ მთავრდებოდა. უკან იხევდნენ ლტოლვილებიც, ანუ მშვიდობიანი მოსახლეობა და, შესაძლოა, მისი იდეები იმ მომენტში სახელმწიფო მეთაურთაგან მართლაც არავის ესმოდა. როდესაც მას არასასიამოვნო საუბარი ჰქონდა მეხლისთან, ეს უკანასკნელი ეუბნებოდა, ჭურვები არ გვყოფნის, ბომბები არ გვყოფნის, თქვენ კი ვიღაც პარტიზანებზე გველაპარაკებითო.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, პარტიზანული ომის აუცილებლობა ცალსახად თვალნათელი იყო. ბელორუსიის კომპარტიის პირველი მდივნის, პანტელეიმონ პონომარენკოს მხარდაჭერით სტარინოვმა პარტიზანების დაჩქარებული წესით მომზადება მაინც დაიწყო. მაგრამ მათთვის იარაღი ჯერ არსად ჩანდა. ასაფეთქებელი ნივთიერებების დასამზადებლად საქმეში ჩართეს ქალაქის აფთიაქების მთელი კონტინგენტი.

**მაკსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

თუ ჯანსაღად შევაფასებთ პარტიზანული მოძრაობის ხარისხს, განსაკუთრებით 1941-1942 წლებში, უნდა ითქვას, რომ რეალურად რაღაცის გაკეთება ხერხდებოდა იმ რეგიონებსა და იმ პარტიზანულ ქვედანაყოფებში, რომლებმაც 1941 წელს სტარინოვის აქტიური მონაწილეობით გაიარეს მომზადება სამხედრო დივერსანტების სკოლაში ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დივერსანტთა სკოლაში შექმნილ ბაზებზე.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

# აბუ ბაქარ ბაშირი: «ჩვენი უმაღლესი მისწრაფება — სიკვდილი ალაჰის გზაზე»

**ინდონეზიის მუსლიმანთა სულიერი სახე და ინდონეზიელი მოჯაჰედების ლიდერი აბუ ბაკირ ბაშირი 1938 წლის 17 აგვისტოს კუნძულ იავას აღმოსავლეთით, ჯომბანგში, ძირძველი იემენელების ოჯახში დაიბადა. 1959 წლამდე ქალაქ პონოროგოს სკოლა-ინტერნატ „პონტორში“ სწავლობდა, შემდეგ კი ქალაქ სოლოს ალ-ირსიადსკის უნივერსიტეტში ჩააბარა. უმაღლესი სასწავლებელი 1963 წელს დაამთავრა. მანამდე, სტუდენტობის წლებში, სოლოს „ისლამისტების სტუდენტური ასოციაციის“ აქტიური წევრი „ალ-ირსიადსკის ახალგაზრდული ორგანიზაციის“ მდივნად აირჩიეს, 1961 წელს კი „ინდონეზიის ისლამისტური ახალგაზრდული მოძრაობის“ პრეზიდენტი გახდა.**









1972 წელს ბაშირმა თავის მეგობარ აბდულა სუნგკაროსთან ერთად სოლოს მახლობლად გახსნა ახალი სკოლა-ინტერნატი „ალ-მუკმინი“, რომლის მთელი სასწავლო პროცესი ხანმოკლე დღის ლოცვებისა და შემდგომ რელიგიური საკითხების ხანგრძლივი განხილვისგან შედგებოდა.

**ინდონეზიაში პრეზიდენტ მუჰამედ ჰოჯი სუხარტოს რეჟიმისას ბაშირი თავის მეგობარ სუნგკართან ერთად დააპატიმრეს. ამის უმთავრეს მიზეზებად, ერთის მხრივ, შარიათის მხარდაჭერა გახდა, მეორეს მხრივ კი — ინდონეზიის ნაციონალური იდეოლოგიის, პანჩა სილას უარყოფა.** პანჩა სილა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1945 წელს, ჩამოყალიბდა როგორც ინდონეზიის საზოგადოებრივი წყობის „სამართლიანობისა და აყვავების“ ფუძემდებლური ხუთი უმთავრესი პრინციპი და ერთი ღმერთისადმი რწმენას, სამართლიან და ცივილიზებულ ჰუმანურობას, ქვეყნის ერთიანობას, დემოკრატიასა და ინდონეზიის მთელი ხალხისთვის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას გულისხმობდა.

**მართალია, ბაშირმა სააპელაციო სარჩელი შეიტანა სასამართლოში, მაგრამ იგი ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშეც უპრობლემოდ გამოკეტეს ციხეში 1978-დან 1982 წლამდე, გათავისუფლებიდან სულ ცოტა ხანში კი უფრო მძიმე ბრალდება — ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და 1985 წლის 21 სექტემბერს განხორციელებული ბუდისტური ტაძრის აფეთქებაში მონაწილეობა წაუყენეს. ამჯერად ბაშირი მიხვდა, რომ სამართლებრივი გზებით თავის მართლებას აზრი კვლავ არ ექნებოდა და მალაიზიაში გაიქცა.**

დევნილობის პერიოდში თავისი რელიგიური სწავლებები ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია; ამჯერად მალაიზიისა და სინგაპურის განსწავლას უზრუნველყოფდა. აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩამოაყალიბა ბაშირმა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება „ისლამისტთა საზოგადოება“, იგივე „ჯამა ისლამია,“ რომელიც ამ დრომდეც მისტიურ გამოგონებას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ტერორისტულ დაჯგუფებას.

იმავე სპეცსამსახურების ვარაუდით, ამ ორგანიზაციის ღრმა ფესვები მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე მიდის. მაშინ მოძრაობა „დარულ ისლამის“ მიერ ორგანიზებული სახალხო აჯანყების გამარჯვების შემდეგ ევროპულ კოლონიზატორულ რეჟიმს ბოლო მოეღო და ისლამური სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. **1969 წელს კი ორმა იმამმა, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ აბუ ბაკირ ბაშირი გახლდათ, მეორე კი — აბდულა სუნგკარი, „დარულ ისლამისა“ (ეს პოლიტიკური ტერმინია, რაც გარკვეული ტერიტორიის ისლამისთვის მიკუთვნებას აღნიშნავს) და მისი კონსერვატორული იდეოლოგიის აღორძინების საქმეს მოეჭიდნენ. ყველაფერი საკმაოდ მოკრძალებულად დაიწყო — გაიხსნა არალეგალური რადიოსადგური, რომელიც ქარიზმატული იმამ ბაშირის მიერ იავაზე გახსნილი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებსა და ღატაკებს მოძღვრავდა. ბაშირმა თავისი სკოლის დევიზად „სიკვდილი ალაჰის გზაზე — ჩვენი უმაღლესი მისწრაფება“ აქცია.**

მას შემდეგ, რაც ბაშირს სამშობლოში მორიგი ბრალდება გამოუცხვეს, პარალელურად კი ჯაკარტაში სახელისუფლო შეიარაღებულ ძალებსა და რადიკალური ისლამის მომხრე ექსტრემისტებს შორის მრავალრიცხოვანი მსხვერპლით დასრულებული სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა და სუნგკართან ერთად მალაიზიაში გაიქცა, იდეოლოგიური ბრძოლისთვის შეიარაღებული ფორმირების დამატებაც განიზრახა. **ამისთვის ეტაპობრივად დაიწყო მომავალ მებრძოლთა გაგზავნა ავღანეთში, სპეციალურ მოსამზადებელ ბანაკებში გასაწვრთნელად, რაც „ჯამა ისლამიას“ შექმნის საფუძველი გახდა. გასაგზავნი კონტინგენტი საუდის არაბეთიდან დაფინანსებული სააგენტოს „მსოფლიოს მუსლიმანთა ლიგის,“ იგივე „რაბიტას“, მიერ ირჩეოდა. უკლებლივ ყველა კანდიდატი ავღანეთში პეშავარის „მომსახურების ცენტრის“ გავლით იგზავნებოდა, ამ ცენტრს კი ალ ქაიდას მთავარი იდეოლოგი აბდულა აზამი ედგა სათავეში.**

**1985-დან 1991-წლამდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ავღანეთში ჩავიდა ხუთი დაჯგუფება, დაახლოებით სამასი ადამიანი და ყველა მათგანი ინდონეზიელი, მალაიზიელი, ფილიპინელი ან ტაიტელი იყო. უკლებლივ ყველა ერთობლივად გადიოდა სწავლებას ბანაკებში, რომლებსაც საუდის არაბეთიდან აფინანსებდნენ. მათ სათავეში ავღანელი მოჯაჰედი აბდულ რასულ საიაფი ედგა.**

სუნგკარი ავღანეთში გაგზავნის კანდიდატების შერჩევას დიდ ყურადღებას აქცევდა. შერჩეულთა უმეტესობას უმაღლესი განათლება პრესტიჟულ სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული; თავისუფლად ფლობდნენ ინგლისურ და არაბულ ენებს. როგორც შემდგომ გაირკვა, ავღანეთში მეომრების მოსამზადებლად გაგზავნის პროცესი „ჯამა ისლამიას“ დღემდე მოქმედი ორგანიზებული სტრუქტურის შექმნამდე, სულ მცირე, შვიდი წლით ადრე დაიწყო. **ამ სტრუქტურაში ელიტას ავღანეთის ვეტერანები შეადგენენ; სწორედ ისინი იკავებენ უმაღლეს თანამდებობებს და მონაწილეობენ ყველაზე საპასუხისმგებლო ოპერაციებში.**

# წინა დაკავებებისგან განსხვავებით, ამჯერად ბაშირს ტერორისტულ მოღვაწეობაში უშუალო მონაწილეობაც ედება ბრალად

1996 წლის მაისში სუნგკარმა და ავღანეთის რამდენიმე ვეტერანმა ერთობლივად ჩამოაყალიბეს „ჯამა ისლამიას“ სტრუქტურა და წიგნში „ჯამა ისლამიას“ ბრძოლის სტრატეგიული ხაზი ასახეს.

**უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანიზაციაში არის ემირი, რომლის თანამდებობასაც თავიდან აბდულა სუნგკარი იკავებდა, 1999-დან 2002-წლამდე კი — აბუ ბაკირ ბაშირი.**

„ჯამა ისლამია“ ოთხ ოლქში მოქმედებდა. პირველი ოლქი მოიცავდა სინგაპურსა და მალაიზიას და განკუთვნილი იყო ორგანიზაციის არსებობისთვის საჭირო სახსრების მოსაპოვებლად; მეორე ოლქი ინდონეზიას მოიცავდა და იქ ჯიჰადის დანერგვას გულისხმობდა; მესამე ოლქი მინდანაოს, საბახსა და სულავესის ტერიტორიებზე ბოევიკების მომზადებას ითვალისწინებდა; მეოთხე ოლქი ავსტრალიასა და პაპუაზე ვრცელდება და ფინანსური ოპერაციების განხორციელებას ეთმობა.

**1999 წელს ინდონეზიაში სუხარტოს რეჟიმი დაემხო და ბაშირიც სამშობლოში დაბრუნდა, როგორც უმაღლესი სულიერი ლიდერი, რომელიც ქვეყანაში შარიათის დამკვიდრებისკენ კვლავაც ძველებურად მოუწოდებდა.**

2003 წლის 14 აპრილს ინდონეზიის ხელისუფლებამ ბაშირი კვლავ დაადანაშაულა სახელმწიფო ღალატში, იმიგრაციული კანონმდებლობის დარღვევაში, საბუთების გაყალბებასა და 2000 წლის შობას ქრისტიანული ტაძრის აფეთქებაში. საბოლოოდ სასამართლომ ის მხოლოდ მეორე პუნქტის მიხედვით სცნო დამნაშავედ და სამი წლით პატიმრობა შეუფარდა. კარგი ქცევისთვის სამი წლის ნაცვლად 20 თვეში გაათავისუფლეს, მაგრამ **2004 წლის 14 ოქტომბერს ჯაკარტაში სასტუმრო „მერიოტის“ აფეთქების ბრალდებით (არადა, ბაშირი ამ დროს უკვე ციხეში იჯდა) კვლავ დააპატიმრეს და 2002 წელს კუნძულ ბალიზე ღამის კლუბის აფეთქებაში მონაწილეობაც დასდეს ბრალად. ამ ორ ტერაქტს საერთო ჯამში 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 300-ზე მეტი კი დაიჭრა. საოცარია, მაგრამ სასამართლომ პირველი პუნქტის მიხედვით კვლავ უდანაშაულოდ სცნო, ბალიზე აფეთქების ორგანიზებისთვის კი მხოლოდ 2,5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ინდონეზიის ხელისუფლებამ კვლავაც ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ აბუ ბაქარ ბაშირი იატაკქვეშა ექსტრემისტული ორგანიზაციის „ჯამა ისლამია“ სულიერი ლიდერი იყო.**

საერთოდ, ეს ორგანიზაცია პირველად ჟურნალმა „Time“-მა ახსენა ბალის ტერაქტიდან რამდენიმე ხანში და საკუთარი გამოძიების მიხედვით ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა მას დააკისრა. **მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაკავებულ ტერორისტთაგან არც ერთს არ ულიარებია ამ მისტიური ორგანიზაციის არსებობაც კი, დასავლურმა მასმედიამ ის მაინც გამოაცხადა და დაამკვიდრა კიდეც რეგიონის მთავარ ტერორისტულ დაჯგუფებად და უსამა ბენ ლადენის ალ ქაიდას ადგილობრივ ქვეგანყოფილებად.**

სასამართლოს ესოდენ მსუბუქი სასჯელი მწვავედ გააკრიტიკეს ავსტრალიამაც და აშშ-მაც, რომელთა მოქალაქეები ბალის ტერაქტს ემსხვერპლნენ, მაგრამ სასამართლომ, დიდი მცდელობის მიუხედავად, ბაშირის ბრალეულობის დამადასტურებელი ვერც ერთი მტკიცებულება ვერ მოიპოვა.

2005 წლის 17 აგვისტოს ბაშირის სასჯელის ხანგრძლივობა ოთხ-ნახევარი თვით შეამოკლეს. ეს ინდონეზიის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ტრადიციული საპრეზიდენტო შეწყალება იყო. შედეგად, 2006 წლის 14 ივნისს ბაშირი ციხიდან გამოვიდა.

**საკუთარ სკოლაში დაბრუნების შემდეგ ბაშირმა ინდონეზიაში მუსლიმანური სამართლის დამკვიდრების ახალი პროგრამის შესახებ განაცხადა, იმავე წლის აგვისტოში კი კუნძულ ბალიზე განხორციელებულ ტერაქტებში ცსს დაადანაშაულა. ინდონეზიის უმაღლესმა სასამართლომ 2006 წლის 21 დეკემბერს ბაშირს ბოლო ნასამართლეობა მოუხსნა, თავად იმამმა კი საქვეყნოდ გააკრიტიკა გაერო საერთაშორისო ტერორისტთა სიაში მისი სახელის მოხსენიებისთვის.**

2008 წლის ოქტომბერში, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება კუნძულ ბალიზე განხორციელებულ ტერაქტში დამნაშავე სამი ტერორისტის სიკვდილით დასჯისთვის ემზადებოდა, ბაშირმა განაცხადა, რომ ახალი ისლამური დაჯგუფების „ჯამა ანშარუტ ტაუჰიდის“ დაფუძნებას აპირებდა. **გარდა ამისა, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ კუნძულ ბალიზე ბომბები ცსს-ს კონტროლით აფეთქდა, თავად ტერაქტები კი აშშ-ის, ავსტრალიისა და ისრაელის სპეცსამსახურების შეთქმულების შედეგი იყო.**

რამდენიმე თვის წინათ, 2010 წლის 9 აგვისტოს, ინდონეზიელმა სამართალდამცავებმა აბუ ბაკარ ბაშირი კვლავ დააკავეს, კვლავ „ჯამა ისლამიას“ სულიერი ლიდერობის ბრალდებით. დაკავებამდე ბაშირმა განაცხადა, რომ მის მიმართ წლების განმავლობაში მიმდინარე დევნის უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. **წინა დაკავებებისგან განსხვავებით, ამჯერად ბაშირს ტერორისტულ მოღვაწეობაში უშუალო მონაწილეობაც ედება ბრალად.** სამართალდამცავები თვლიან, რომ ალ ქაიდას ინდონეზიურ ქვეგანყოფილებაში ბაშირი მხოლოდ სულიერი ლიდერის ფუნქციებით არ შემოიფარგლებოდა, არამედ თავად შექმნა „ჯამა ისლამია“, თავადვე ზრუნავდა მისთვის დაფინანსების მოპოვებასა და მომავალი ტერაქტების დაგეგმვაზე. **სამომავლოდ დაგეგმილ ტერაქტთა შორის კი ინდონეზიის პრეზიდენტ სუსილო ბამბანგა იუდხოიონოსა და აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე თავდასხმებიც ფიგურირებს.**

აღნიშნული ბრალდებების მიხედვით, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ბაშირს სიკვდილით დასჯა ელის.

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# იქ, ზევით – მთავარანგელოზთან...

## ქვემო სვანეთი

**სოფელ ფაყიდან სკალდის „მთავარანგელოზამდე“ რვა კილომეტრია და ამ შედარებით მოკლე გზაზე 850 მეტრით მაღლა უნდა ავიწიოთ. ეს ნათლად გვეუბნება, თუ როგორი ყაფარი გზა გვექნება გასავლელი. ჯოყოლა ჩეგიანი თავის „მიცუბიშს“ არ ზოგავს და მანქანაც, თითქოს ფილტვები ბოლომდე გაეხსნაო, უშიშრად და გრიალით იპყრობს სიმაღლეს.**



ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებით. ქვევით — სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით კლდეებს მკერდი გაუღელიათ და ცხენისწყლის აყოლებაზე მარგალიტებივით აუსხამთ წვრილ-წვრილი სოფლები. აღმოსავლეთით ლასილის მთებიდან გამოქცეული გოლდაშის მასივებია, რომლებიც კახურელებისა და ბაბილების საძოვრებია. სამხრეთ-დასავლეთით ეგრისის მთების ჯაჭვია ლაბრახის, ტვიბლაკესარის, ედიაშის და ბაჯგილდაშის მასივებით. ყველაზე ახლოს, ხელისგაწვდენაზე, ჩრდილო-დასავლეთით აღმართული მწვერვალი „აწოლილა“, რომელმაც, როგორც იქნა, წამით ნისლებიდან გამორგო თავი და ხრიალა ფერდები დაგვანახა. თვალი თუ არ გვატყუებს, იგი ზღვის დონიდან სიმაღლეში 3000 მეტრს საგრძნობლად უნდა აღემატებოდეს. „აწოლილი“ სვანურად თივის ზვინს ნიშნავს და ეს მწვერვალი მართლაც ასეთი სანახავია ახლოდან.

ამ გარსშემოჯარულ დათოვლილ და ზოგან ქლიავისფერ მთებს, ლურჯ, კამკამა ცასა და ზედ ბატკნებივით მიმობნეულ ღრუბლის ქულებს თავს უყრის და ერთი დიდი ძახილის ნიშნით ასრულებს უზარმაზარი ფერწერული ხალიჩის ცენტრში ჩაფრენილი ახალაგებული სკალდის კოხტა ეკლესია და მისი წოწოლა სამრეკლო.

სხვაგან რომ თეთრად დაფერილ ეკლესიებს ვხედავ, გუნება მიფუჭდება ხოლმე, რადგან ტაძართა ფასადების შეთეთრება, ერთი რომ, ჩვენი წესი არაა და მეორეც — ძეგლს პირველქმნილ ხუროთმოძღვრულ ღირსებას უკარგავს. ქვემო სვანეთში, სადაც მწვანე და ლურჯი ფერები ბატონობს და არც მაინცდამაინც ტაძრები გამოირჩევა ფასადების ორიგინალობით, თეთრად შეფიფქულ საყდრებს თვალი მშვიდად აღიქვამს და ზოგჯერ ხალისობს კიდეც. ეს უმთავრესად სწორედ სკალდის „მთავარანგელოზზე“ ითქმის. ანგელოზები ხომ სწორედ ამ სიმაღლეზე ფრენენ და ასეთი უბიწონი არიან... ახლაც, როცა ენგადისებური სამყარო მომენატრება ხოლმე, კომპიუტერს მივუჯდები და ამ სანახაობას ვუმზერ.

„სკალდე“ კლდეს ნიშნავს და ტაძარსაც, გარსშემოჯარული კლდეების გამო შეარქვეს „სკალდის მთავარანგელოზი“, თორემ იგი ფაყსა და მის მიმდებარე სოფლებს ეკუთვნის. სავარაუდოდ იგი VIII-IX საუკუნეების ეკლესია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ყოფილა დანგრეული (ამას ცხადყოფს მარი ბროსე). სწორედ ამის გამო მოხვედრილა მისი ხატები ფაყის ქვედა ეკლესიაში — „ღვთისმშობელში“. ასე ფიქრობს წმ. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც მათ აღწერს: 1) „XVI საუკუნის „ვედრება“ — სპილენძით მოჭედილი დიდი ხატი (87X56 სმ). მასზე, სათანადო გამოსახულებებთან ერთად, არის 3-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: **„ქ. მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა მთავარანგელოზთაისა კლდისათა მე მონამან ვარდან — სულკეთილისა ერისთავთ-ერისთავისა ბაკურის ძემან შექმნად ამის ხტისა და წმიდანო მთავარანგელოზნო, მეოხ ექმენით მწარედ ცოდვილსა სულსა ჩემსა და წარუმართე ბედ... ქ. შეიქმნა ხელითა გიორგი დვალისძისათა და გრიგოლ მუზარაქის ძისათა“;** 2) ამავე ეპოქის მაცხოვრის ხატი, მაცხოვრისა და მთავარანგელოზების გამოსახულებით, ვერცხლით ნაჭედი და ოქროთი დაფერილი (69X32 სმ), რომელსაც ქვევით დაქარაგმებული შესაბამისი წარწერები აქვს.

**როგორც შემდეგ გაირკვა, ორივე ეს ხატი X საუკუნისაა. პირველი მათგანი სპილენძისა კი არა, ისიც ვერცხლისა ყოფილა** (იხ. გ. ჩუბინაშვილი: „ქართული ჭედური ხელოვნება“ გვ. 414). **გამომდინარე აქედან, პირველი ხატის შემკვეთი არის სვანეთის ერისთავთ-ერისთავი, X საუკუნეში მცხოვრები ვარდან I (და არაის ვარდანი, რომელმაც XI საუკუნეში, გიორგი II-ის დროს მოარბია ეგრისი). მისი მამა ერისთავთ-ერისთავი ბაკურიც სვანეთის ბატონი ყოფილა. ამდენად, ეს ხატი ნათელს ფენს ერთიანი სვანეთის მფლობელების ვინაობას X საუკუნიდან XI საუკუნის ბოლომდე.**





სკალდის (ფაყის) „მთავარანგელოზი“

დანგრეული „სკალდის მთავარანგელოზი“ დიდი ხანი არ არის, რაც წარმოშობით ხელედელმა ძმებმა სოსო, ნერო და გოდერძი ჩარქსელიანებმა აღადგინეს. მათ უცვლელად დატოვეს ნანგრევები, მაგრამ გარედან ახალი კედლები შემოაშენეს, ზედ დეკორატული თაღები გამოუყვანეს და თეთრად შეღებეს. სრულიად ახალია დასავლეთის კარიბჭე, სუბსტრუქცია და მაღალი სამრეკლო. ტაძრის გარეთ დევს ძველი ქვის კანკელის ფრაგმენტები. როგორ გამოიყურება ინტერიერი, სამწუხაროდ, ვერ გავიგეთ, რადგან ეკლესიის გასაღები ლენტეხში აღმოჩნდა, 15 კმ-იანი გზის დამატებით ორჯერ გავლა კი ვერანაირად ვერ გვიხერხდებოდა. მაგრამ, გასაღები რომ თან გვქონოდა, უეჭველად გაგვიავდრდებოდა... ტაძარში შესვლაზე ხომ ვერც ჩვენთან მყოფი მეცნიერი, ეთნოლოგი როზეტა გუჯეჯიანი იტყოდა უარს, არადა აქ მტკიცედ არის დადგენილი ერთი წესი: ქალმა სალოცავში ფეხი არ უნდა შედგას, თორომ ჯერ აქ და მერე მთელ შემოგარენში საშინლად გაწვიმდება. ვრცელდება თუ არა ეს წესი ტაძარში პროფესიული მიზნით შესულ მეცნიერ ქალებზე, ეს აღარავის უთქვამს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მკვლევარი ქალები გამონაკლისი არ არიან. ცრურწმენაში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ საკუთარი თვალით ვიხილე, როგორ წამოვიდა აწოლილას მწვერვალზე ჩამომჯდარი ღრუბელი ჩვენკენ და ერთი წვეთი დამეცა კიდეც, როცა ყველანი ერთად ეკლესიისაკენ დავიძარით (სწორედ ამ დროს მოვახერხე ულრუბლო აწოლილას გადაღება). საკმარისი იყო ქალბატონი როზეტა უკან გაბრუნებულიყო, რომ ღრუბელიც გაბრუნდა და კვლავ მწვერვალზე შემოჯდა.

ფაყში დაბრუნებულებს ჩვენი მეგზური დემურ ლიპარტელიანი ლასილის მთებისაკენ გვახედებს დურბინდით და გვიხსნის, რომ მყინვართა მარჯვენა ენის ქვეშ ლეგენდარული ქალაქია დამარხული. ეს ამბავი მერეც გავიგე სხვა სოფლებში, მაგრამ სიუჟეტი არავის უამბნია დემურის გარდა. ამ ახალგაზრდა კაცის ხელგარჯილობა და მოხერხებულობა გაზეთის წინა ნომერშიც აღვნიშნე, ახლა კი იმასაც დავძენ, რომ თავისი კუთხის უზომოდ ერთგული მამულიშვილია. ნაქალაქევის ლეგენდა მხოლოდ ერთ მოხუცს სცოდნია და მისგან ჩაუწერია დემურს: **„ლასილის მთის ამ ერთ-ერთ უმაღლეს კალთაზე ძალიან ძველ დროში, თურმე პატარა ქალაქი არსებობდა, რომელსაც უცნაური მღვდელი ჰყოლია. ამ მღვდელს ერთი ყუთი (სკივრი) ჰქონია, რომელსაც არასდროს ხსნიდა და არც არავის ანახვებდა. ერთხელაც მღვდელს ბარში ჩასვლა გადაუწყვეტია და ადგილობრივები გაუფრთხილებია — ყუთს ხელი არავინ მოკიდოსო. ქალაქელებს არ დაუჯერებიათ და ვიღაცას გაუხსნია. გახსნა და იქიდან მტრედების გამოფრენა და გადაკარგვა ერთი ყოფილა. ხალხი მიმხვდარა, რომ მტრედების გაფრენა-გაუჩინარება უბედურების მომასწავებელი იყო და ქალაქი სასწრაფოდ დაუცლია. მართლაც, სულ მალე, თურმე, იმდენი უთოვია და ისე მოუყინავს, რომ ქალაქი მარადიული თოვლის ქვეშ მოუქცევია“.**

ქალბატონი როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, რომ ლეგენდის ქვედა პლასტებში, შეიძლება, ფოსტის მტრედებთან დაკავშირებული რაღაც ამბავი იმალებოდეს. მე ვფიქრობ, რომ ეს ნოეს კიდობნის მტრედების და წარღვნის ფრაგმენტული გააზრების აქაური ვერსიაა. ჯოყოლა ჩეგიანს სხვა რამ ახსენდება და დემურს ეკითხება: — თქვენც ხომ არ გსმენიათ ის, რასაც ჩვენთან, ჩოლურში ამბობენ: ნაქალაქევის გადაღმა ტყვიის ღია საბადოებია, სადაც ძველი მონადირეები ტყვიებს ასხამდნენო?

დემურ ლიპარტელიანი ამბობს, რომ ასეთი საბადოების შესახებ არაფერი სმენია, მაგრამ ლასილის მთებიდან მომდინარე ლასკადურა რომ მუდამ ტყვიისფერია, ეს უდავოა.

ფაყელი მეგზური შინ გვეპატიჟება, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, ახლაც დროის დიდი დეფიციტი გვაქვს... ლენტეხისაკენ ვეშვებით...

— ჯოყოლა, რას ნიშნავს სიტყვა ლასილი, რომელიც ამ ლეგენდარულ მთას ჰქვია? — ვეკითხები ჩეგიანს. ის ხომ მეზობელი ჩოლურის თემის წარმომადგენელია.

ჯოყოლა ერთხანს ჩაფიქრდება და მერე მეტყვის: — შეიძლება ეგ სახელი სიტყვა „ლასიპ“-ისაგან მოდიოდეს, რაც ჩვენებურად მისასვლელ-მოსასვლელს ნიშნავს.

ნუთუ ლასილის ქედზე ზემო სვანეთთან სამიმოსვლო გზა და უღელტეხილი იდო? — წამიღეს ფიქრებმა და რუკას ჩავკირკიტებ: ლასილის მთაზე მწვერვალს თუ აღმოსავლეთით მოიტოვებ, წავარნები აუცილებლად ლატალის თემში გადაგიყვანს. ვინ იცის, ამ უღელტეხილზე მართლაც იყო ადრე რაიმე დასახლება, რომელიც დიდი ხნის წინათ მოწყვეტილმა მყინვარმა დაფარა. დაახლოებით ასეთი ლეგენდა ხომ ადიშის თემშიც მიამბეს, სადაც ხეობის უკიდურესი სოფელი იყო ადრე?

ფიქრებიდან ცხენისწყლის გაჯავრებულ ხმას გამოვყავარ. ყირაზე გადადის, კალაპოტში ვერ ეტევა, თითქოს, მდინარე. წყლის საშუალო წლიური ხარჯით იგი მცირედ ჩამორჩება ენგურს, მაგრამ არის ადგილები, სადაც ტოლს არ უდებს მრისხანებაში. ადრე თაკვერი ერქვა თურმე, მაგრამ მურვან-ყრუს ლაშქარს რომ ცხენები დაუხრჩო, მას მერე ცხენისწყალი დაერქვა.

სოფელ საყდარში მივედით, რომელსაც დასავლეთით მოზრდილი ხევი ჩამოუდის. ამ ხევამდე ლენტეხის თემია, მისგან აღმოსავლეთით — ჩოლურის თემი.



მწვერვალი „აწოლილა“



ვედრებისა და მაცხოვრის ხატები, X ს.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-43

**რუსი ჯარისკაცების სიმღერა არ წყდებოდა. ისინი უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ციხესიმაგრეს. უცებ ზალპის ხმა გაისმა და შირვანელთა წინა ხაზი ძირს დაეფინა. პოდპორუჩიკი, თავადი ვაჩნაძე და ოცი დაბალჩინოსანი დაეცნენ. საპასუხოდ ჯარმა „ვაშა!“ დაიქუხა და შეტევაზე გადავიდა. ბასტიონი მომენტალურად აიღეს. რაზნატოვსკი და დიკი — ამ შტურმის გმირები — დაჭრილები გამოიყვანეს. რუსებმა კათოლიკურ ეკლესიამდე შეაღწიეს. საჭირო იყო თხრილების გაწმენდა. შინვანელთა პირველი პოლკი ნელ-ნელა წინ გაიჭრა; მეორე — მარცხნივ; მონადირეთა კოლონა ცენტრში დარჩა.**



**ამ დროს თურქთა რეზერვი ჯარი მშვიდად ისვენებდა ეკლესიის შიგნით. განგაშზე გარეთ გამოვარდა, მაგრამ მონადირეთა ზალპებით შეშინებულები ისევ ეკლესიაში დაიმალა. ამბავი, რომ რუსებმა აიღეს ჩრდილოეთი ბასტიონი და უკვე ქალაქში არიან, ელვისებურად სწრაფად გავრცელდა. რამდენიმე წუთში მთელი ქალაქი ფეხზე იდგა და დასაცავად ემზადებოდა.** მთავარ ქუჩაზე თურქთა კოლონები გამოჩნდა, რომლებიც პირისპირ შეეჩეხნენ შირვანელებს. პირველი დარტყმა ბოროდინმა მიიღო, მოწინააღმდეგის შეჩერება შეუძლებელი გახდა, ამიტომ მან მეორე ბატალიონის დახმარება ითხოვა, პირველს კი უბრძანა, მოწინააღმდეგის ფლანგისთვის დაერტყა. ორივე ბატალიონი სირბილით გამოცხადდა საომარ ადგილზე. **ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა ყველაზე ვიწრო ადგილას — აღებულ ბასტიონსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის. ორივე მოწინააღმდეგე ღირსეულად იბრძოდა. თურქი ქალები მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გვერდით ედგნენ ქმრებსა და ძმებს. თვითმხილველი მოგვითხრობს, რომ „საშინელი სანახავი იყო, როგორ ეფინებოდა ძირს უშიშარი შირვანელების მთელი რიგები და ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც მიიწევდნენ წინ“.**

და აი, რუსებს დამხმარე ძალამაც მოუსწრო. ეს იყო იასაული ბუზლოვი, რომელმაც მოახერხა, მესანგრეთა დახმარებით მესერზე გადმოეტანა ორი ქვემეხი; იგი მაღალ ბორცვზე ავიდა და ზემოდან გახსნა ცეცხლი. მათ მოჰყვა მესანგრეთა ასეული ბურცევის მეთაურობით. ზოგი მათგანი ჩეხავდა მესერს და აფართოებდა გასასვლელებს, ზოგი ხელით მიათრევდა ქვემეხებს. მათმა გამოჩენამ გაამხნევა შირვანის მებრძოლები. ბოროდინმა აცნობა პასკევიჩს, რომ იმედოვნებს, გაუძლებენ შემოტევას. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბოროდინი დაიღუპა — ტყვია მუცელში მოხვდა. მისი ადგილი პოლკოვნიკმა ბურცევმა დაიკავა. მან მოასწრო ქალაქში კიდევ რამდენიმე ქვემეხის შეტანა და მათი დახმარებით პოზიციების შენარჩუნება. **ძვირი დაუჯდათ შირვანელებს რამდენიმე საჟენი მიწა. ეს მიწა მათ საკუთარი სისხლით მორწყეს, ათზე მეტი ოფიცერი დაიჭრა და დაიღუპა.** მათ შორის იყო მონადირეთა უფროსი, მოხალისე, მაიორი როდზევსკი; მძიმედ იყო დაჭრილი მეორე ბატალიონის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ოვეჩკინი.

პასკევიჩი სიმაღლიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. თავად ესაუბრებოდა ქალაქიდან გამოგზავნილ მოამბეებს. ერთ-ერთ მათგანთან ასეთი დიალოგი ჰქონდა:

— საიდან ხარ? — ჰკითხა პასკევიჩმა.

— ციხესიმაგრიდან, თქვენო ბრწყინვალებავ!

— როგორაა იქ საქმე?

— ცხელა, თქვენო ბრწყინვალებავ!

— რაო, თურქებმა?

— ძნელია მათთან გამკლავება, ჯიუტები არიან, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ვიცი, ისინი ყოჩაღები არიან, მაგრამ არ დანებდეთ, ბიჭებო!

— ყოჩაღები კი არიან, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ამით რას მიაღწევენ? ხომ იციან, რომ ჩვენ უკან არ დავიხევთ!

პასკევიჩი კმაყოფილი დარჩა. **სწორედ ასეთი შეუპოვარი ხალხის წყალობით შეიძლებოდა მიზნის მიღწევა. ამ ბრძოლებში ოფიცრები საუცხოო მაგალითს აძლევდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს.**

სანამ სასაფლაოს ტერიტორიისთვის ბრძოლა მიდიოდა, პიონერთა მთელი ბატალიონი შევიდა ქალაქში და შეუდგა სასანგრე სამუშაოების შესრულებას. პიონერებმა დაიკავეს ზედა სახლების სახურავები. ილებდნენ რა მაგალითს თავიანთი ოფიცრებისგან, ისინი თავიანთ მძიმე სამუშაოს სიცოცხლის ფასად ასრულებდნენ. **სულ რაღაც ათი საჟენის დაშორებით მუშათა ხაზიდან ჯგუფ-ჯგუფად ცივი იარაღით ბრძოლა მიმდინარეობდა ეკლესიისთვის, სასაფლაოსთვის, ორივე თხრილისთვის. მარცხნიდან და მარჯვნიდან სეტყვასავით ცვიოდა მათ თავზე თურქთა ტყვიები. აქეთ მომართა მოწინააღმდეგემ საბრძოლო იარაღის ცეცხლი, მაგრამ პიონერებს არა მარტო მუშაობა უწევდათ, არამედ დროდადრო შირვანელებსაც ეხმარებოდნენ. სანამ ერთნი მიწას თხრიდნენ, მეორენი იარაღთან იდგნენ.** მოკლე დროში მოკლეს პორუჩიკი შეფლერი; პორუჩიკი სოლომკა და შტაბს-კაპიტანი შმიტი სასიკვდილოდ დაიჭრნენ; გამჭოლი ტყვია ჰქონდა გულში პროპორშიკ პუშჩინს; ხელში იყო დაჭრილი პროპორშიკი ნაჩაევი, პოდპორუჩიკი ვილდე — ყელში. ასევე ასზე მეტი მოკლული და დაჭრილი იყო დაბალი ჩინის პიონერებში. მთელ ბატალიონში მხოლოდ სამი ოფიცერი დარჩა, რომლებიც ამხნევებდნენ ჯარისკაცებს.

**მზის ამოსვლისას სანგრები მზად იყო. მსროლელები განლაგდნენ ადგილებზე და იასაულ ზუბკოვის ხელმძღვანელობით ცეცხლი გახსნეს. ზუბკოვმა ორი ძლიერი კონტუზია მიიღო მკერდში, მაგრამ ძელზე დაწოლილი აგრძელებდა ბატარეის მართვას. შირვანელები სწორედ მისგან არიან დავალებულნი, რომ უკან არ დაიხიეს. მეორე მსუბუქი ბატარეის მეთაური პორუჩიკი კრუპნიკოვი მალე დაიჭრა და ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს. მორტირების ბატარეის ცეცხლი შესუსტდა.**

ნაშუადღევს ბრძოლის ველს დამხმარე ძალები უახლოვდებოდნენ. პირველი ხერსონის პოლკის ბატალიონი მოვიდა. მაშინ პოდპოლკოვნიკმა ბურცევმა ისევ შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა, რათა დაღამებამდე აეღო სიმაგრე. სანამ შირვანელთა პირველი პოლკი პოდპოლკოვნიკ იუდინის მეთაურობით „წმენდდა“ ეკლესიის მოედანს და არხს იქით ერეკებოდა მოწინააღმდეგეს, მეორე ბატალიონი ხერსონელებთან ერთად შეტევაზე გადადიოდა. რამდენიმე მონადირე ეკლესიის სახურავზე აძვრა და თოფები დაუშინეს შიგნით მყოფ მოწინააღმდეგეს. მამაცმა მებრძოლებმა, ბოლოს და ბოლოს, ველარ გაუძლეს ამ შემოტევას და დამარცხდნენ. ამასობაში მოვიდა ერევნელთა პოლკის მეორე ბატალიონიც. ამგვარად, ეკლესია და მისი შემოგარენიც, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდნენ თურქები, რუსებმა დაიკავეს. მაგრამ მთავარი ჯერ წინ იყო.

ამის შემდეგ ორივე მხარე მიჩუმდა. ოღონდ მცირე ხნით. დასავლეთის სანგრიდან კვლავ წინ დაიძრნენ, თურქები გაჭყლეტით დაემუქრნენ შირვანის ბატალიონს პოდპოლკოვნიკ იუდინის მეთაურობით. საშინელი ბრძოლა გაიმართა. იუდინი ალყაში მარტო მოექცა. იგი ოფიცერმა ანისიმოვიჩმა გადაარჩინა. სამაგიეროდ, თავად მძიმედ დაიჭრა.

**შირვანელთა სახიფათო მდგომარეობამ რეზერვში მყოფი ეგერთა 42-ე პოლკიდან კიდევ ერთი ბატალიონის გამოყვანა მოითხოვა. მას პოლკოვნიკი რუეტი მეთაურობდა. ნაბრძანები ჰქონდა, ებრაელთა კვარტალში შეჭრილიყო. თურქებმა, რომლებსაც აქ ჯერ კიდევ ეკავათ მყარი პოზიციები, სასტიკად შეუტიეს ეგერებს. მაშინ დონელთა ოთხი ქვემეხი ჩაერთო ბრძოლაში და პანტაპუნტით დააწვინა თურქები.**

მათი დაცვის წყალობით, შემტევმა კოლონამ შეძლო ქალაქის მესერთან მისვლა, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხა. ერთ წუთში დაიღუპა ცხრა ოფიცერი. ამ კრიტიკულ მომენტში წამოეშველათ კონოვნიკინისა და ბოგდანოვიჩის რაზმები. მათ ცოცხლად მოჭრეს მესერი და ხიდი გააკეთეს, რომელზეც არტილერიას შეეძლო გავლა.

როცა მესერი დაინგრა, თურქები და ეგერები ხიშტებით ეძგერნენ ერთმანეთს. დონელთა ორი ქვემეხი ერთ-ერთი ქოხის სახურავიდან შეუპოვრად უტევდა თურქებს, მაგრამ სახურავმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და ჩავარდა. ამით ისარგებლეს თურქებმა და უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ რუს ჯარისკაცთა მოხერხებამ და მამაცობამ თავისი საქმე გააკეთა.

**ამასობაში ორმოცდაათი რუსული ქვემეხი ბომბავდა ქალაქს. შირვანთა პოლკი და ხერსონელთა ბატალიონი შეტევაზე გადავიდა. კათოლიკური ეკლესია, მთლიანად სისხლში მოსვრილი და გვამებით გავსებული, უკან დარჩა; ახლა რუსი მებრძოლების წინ იყო ქალაქი, რომელსაც აღარც ქუჩები ჰქონდა და აღარც მოედნები.**

ამ გაშლილ სივრცეში ბრძოლა კარგს არაფერს მოიტანდა. ამასთან, თითოეული სახლი ბრძოლით უნდა გამოეგლიჯათ მოწინააღმდეგისთვის.

საღამოს 7 საათი იყო. უცებ ჭურვმა გაანათა ეკლესიის ტერიტორია, ხანძარი ციხესიმაგრისკენ მიიწევდა. პასკევიჩს ეს ხანძარი მოწინააღმდეგის ქალაქიდან გამოსაძევებლად უნდა გამოეყენებინა. ამ მიზნით ჩრდილოეთის სიმაღლიდან ქალაქისკენ დაეშვნენ ცხენოსანი შიკრიკები. მაგრამ თიხით გალესილ ქოხებს ცეცხლი არ ეკიდებოდა. საჭირო გახდა ჭურვების შეყრა ფანჯრებსა და საკვამურ მილებში. ამის გაკეთება კი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ჯარისკაცებს.

უზარმაზარი თივის ზვინების ქალაქში ნიჟეგროდის პოლკის დივიზია შევიდა. ცეცხლი გაძლიერდა, რასაც ძლიერი ქარიც ხელს უწყობდა. გამგუდავ კვამლში მიმდინარეობდა ბრძოლა. **ახალციხის არც ერთ მცხოვრებს არ უნდოდა დანებება, ქალებიც კი ისეთი ფანატიზმით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ საკუთარი ნებით ხტებოდნენ ცეცხლში ან ხმლებით შეიარაღებულნი ებმებოდნენ ბრძოლაში. ერთი თვითმხილველი გვიამბობს, ასი წლის მოხუცი თავისი ალმოდებული სახლის წინ როგორ ებრძოდა სამ ეგერს და ერთი მათგანის მოკვლის შემდეგ როგორ განგმირა იგი დანარჩენმა ორმა. ამ სახლში შეჭრა ეგერებმა მაინც ვერ მოახერხეს, რადგან მას ჯიქურ იცავდნენ მოხუცის ვაჟკაცობით გამხნევებული თურქები მანამ, სანამ ჭერი არ ჩამოიქცა და სახლის დამცველები შიგ არ მოიყოლა.**

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეთორმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ლუდი ძაღლებისთვის

**ამ უჩვეულო სასმელს ვიძეველი (პოლონეთი) ეჟი დულიკი ყიდის. ძაღლების ლუდი ოქროსფერია და სვიის გემო აქვს. თუცმა, რაც უმთავრესია, ის საქონლის ხორცის ექსტრაქტზეა დამზადებული. ლუდი უგაზოა და ძაღლებისთვის სასარგებლო.**







ძაღლებს ის იმდენად მოსწონთ, რომ ზოომაღაზიები მათ შეტევას ველარ უძლებს. არადა, თავიდან ამ პროდუქტის მიმწოდებელს დასცინეს, ეს სისულელე რამ მოგაფიქრაო, მაგრამ მალე მაღაზიებში მომხმარებლებმა ძაღლების ლუდი მოიკითხეს და მათმა მეპატრონეებმაც თავად დაიწყეს მწარმოებლის ძებნა. ახლა ძაღლებიც ბედნიერად გრძნობენ თავს და მათი პატრონებიც, რომელთაც ლუდის სმისთვის სხვა კომპანიონის ძებნა აღარ სჭირდებათ.





# ქაღალდის ხიდი

**ჩინეთში ჰარბინელმა სტუდენტებმა მთელი თვე მოანდომეს იმ ქაღალდის ხიდის მშენებლობას, რომლის სიგრძე — 3,8 მეტრს, სიგანე — 1,2 მეტრს, ხოლო წონა 58 კილოგრამს შეადგენს.** ხიდი მთლიანად ქაღალდისგანაა დამზადებული და, მიუხედავად მოკრძალებული გაბარიტებისა, 1500 კგ-იან დატვირთვას უძლებს. მისი გამძლეობის დემონსტრირება თავად ხიდის კონსტრუქტორებმა მოახდინეს — ქაღალდის ნაგებობამ უპრობლემოდ გაუძლო მასზე შემდგარ 11 სტუდენტს.



# Google Chrome ყველაზე არასაიმედო პროგრამების სათავეში მოხვდა!



**უსაფრთხოების დარგში ერთ-ერთმა წამყვანმა კომპანიამ Bit9-მ გამოაქვეყნა თავისი დასკვნა, სადაც ყველაზე არასაიმედო და სუსტ პროგრამად პოპულარული ბრაუზერი Google Chrome დაასახელა.**

ამ ბრაუზერში აღმოჩენილ იქნა 76 სერიოზული „ხვრელი“, რაც შეიძლება მომხმარებლისთვის სახიფათო აღმოჩნდეს. კომპანიის მიერ ჩამოთვლილი 12 ყველაზე არასაიმედო პროდუქტის სია კი შემდეგნაირად გამოიყურება: Google Chrome (76); Apple Safari (60); Microsoft Office (57); Adobe Reader & Acrobat (54); Mozilla Firefox (51); Sun Java Development Kit (36); Adobe Shockwave Player (35); Microsoft Internet Explorer (32); RealNetworks RealPlayer (14); Apple WebKit (9); Adobe Flash Player (8); Apple QuickTime (6) და Opera (6).





# Microsoft-მა სამსახურში 11 წლის ბიჭი მიიღო



**11 წლის ეგვიპტელი მაჰმუდ ვაელი, რომელსაც რამდენიმე წამში გამოანგარიშება შეუძლია, კორპორაცია Microsoft-ის ტექნიკურ სპეციალისტად აიყვანეს. ბიჭს სულ რამდენიმე წამი სჭირდება 40-ის 78-ზე გასამრავლებლად.**

ვაელის თქმით, მისი შესაძლებლობები მამამ აღმოაჩინა, როდესაც იგი 3 წლის ასაკში თავის დას ამოცანის ამოხსნაში დაეხმარა. მან დასძინა, რომ თავს „მსოფლიოში ყველაზე ჭკვიან ბიჭად“ მიიჩნევს. მეზობლები კი ბიჭს გენიოსად აღიარებენ. **„ახლა მე ინფორმაციული ქსელების ექსპერტი ვარ და უკვე მუშაობა შემიძლია. თუკი რამის გაგება დამჭირდება, google და wikipedia მაქვს“,** — ამბობს Microsoft-ის ტექნიკური სპეციალისტი.

9 წლის ვაელი კაიროს ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტში შევიდა, ახლა კი იგი ინფორმატიკის კურსს გადის. ბიჭი თავისუფლად ლაპარაკობს არაბულ და ინგლისურ ენებზე, სწავლობს ფრანგულს და ყველაზე მეტად კომპიუტერებითაა დაინტერესებული.

# როგორ გამოიყურება 38 მილიონი?

**გინდათ, იცოდეთ, როგორ გამოიყურება 38 მილიონი დოლარი? სწორედ ამ ფასად გაიყიდა ავტომანქანა 1936 bugatti type 57sc atlantic-ი. აქამდე ის პიტერ ულიამსონის კოლექციაში ინახებოდა, შემდეგ კი „Gooding & Company“-მ სწორედ ამ კოსმოსურ ფასად გაყიდა.**

მანქანის მახასიათებლები შემდეგია: 200 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავი, შემსუბუქებული კონსტრუქცია, მაქსიმალური სიჩქარე — 200 კილომეტრი საათში.

ის აბსოლუტურად სამართლიანად ითვლება უპირველეს სუპერმანქანად ისტორიაში.

ჟან ბუგატიმ ამ მანქანის 30-იანი წლებისთვის დამახასიათებელი დიზაინი პირადად შეიმუშავა.











საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გამჭვირვალე კარვები



**ფრანგმა დამპროექტებელმა პიერ სტეფან დიუმამ ტურისტული კემპინგებისთვის კარვების ახალი კლასი გამოიგონა. 400 გირვანქა სტერლინგად ნებისმიერ ამინდში შესაძლებელია ცისა და მიდამოების, ხოლო კარგ ამინდში მზის ამოსვლისა და ჩასვლისთვის თვალყურის დევნება.**

გასაბერი კარვები აღჭურვილია ყველაფრით, რაც კი კომფორტული დასვენებისთვისაა საჭირო. მასში საკმარისი რაოდენობითაა კარადები, საწოლები და ელექტრო განათებაც. ექსგიბიციონისტებისთვის, აბსოლუტურად გამჭვირვალე კარვების გარდა, არის განმარტოების მოყვარულთათვის გემოვნებით შერჩეული დიზაინიც — კედლები აბსოლუტურ კონფიდენციალობას უზრუნველყოფს, სამაგიეროდ ჭერი მთლიანად გამჭვირვალეა.





# ოჯახი, რომელსაც კონტრაცეპტივზე არაფერი სმენია

**დაახლოებით ერთი თვის წინათ ამერიკის შტატ ტენესში მცხოვრებმა გილ და კელი ბეტესებმა მე-18 შვილის დაბადება იზეიმეს და იმედი გამოთქვეს, რომ მომავალში კიდევ რამდენიმე ეყოლებათ. მათი მიზანია, დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახის სტატუსი მოიპოვონ. ამისთვის სულ მცირე კიდევ ერთი ბავშვია საჭირო – არკანზასში მცხოვრებ დუგარსების ოჯახს 19 შვილი ჰყავთ.**



წყვილმა 1986 წელს კოლეჯში სწავლისას გაიცნო ერთმანეთი, 1987 წელს კი დაქორწინდნენ. გილმა მალევე ივაჟკაცა და იმის შემდეგ კელი თითქმის ყოველ წელს ორსულადაა.

მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ასე გამოიყურება:

21 წლის ზაქი, 20 წლის მიქაელა, 18 წლის ირინი, 17 წლის ლოუსონი, 16 წლის ნათანი, 15 წლის ალისა, 14 წლის თორი, 13 წლის ტრეისი, 12 წლის კარლინი, 11 წლის ჯოსი, 10 წლის ქეითი, 8 წლის ჯექსონი, 7 წლის უორდენი, 5 წლის ისაია, 4 წლის ადელი, 3 წლის ელი, 1 წლის კელი-ენი, 1 თვის ჯუდსონ უიატი.

გილი პროფესიით დურგალია და საკმაოდ წარმატებული ბიზნესი აქვს. მას უფროსი შვილებიც ეხმარებიან. კელი კი დიასახლისია და ბავშვებს სახლში ასწავლის. გილის თქმით, მათ ოჯახში ვახშამი იმხელა მაგიდაზე იშლება, რომ მისი ერთი ბოლოდან მეორეში გადაძახებით ვერავის ვერაფერს გააგებინებ.

# საქორწინო რეკორდი

**გინესის რეკორდების წიგნში მოსახვედრად დენიზ და მარკ დაფილდ-ტომასებმა ერთი წლის განმავლობაში საქორწინო ფიცი 84-ჯერ მაინც უნდა წარმოთქვან სხვადასხვა ქვეყანაში.**



ამ კვირას ეს ფიცი მათ მეოთხმოცედ წარმოთქვეს ავსტრალიაში. მანამდე ერთმანეთს ერთგულებას ეფიცებოდნენ აშშ-სა და კენიაში, მავრიკიასა და ზიმბაბვეში, ლონდონსა და დუბლინში, მალტასა და იორდანიაში, ესპანეთსა და კუნძულ ბალიზე, ახლა კი ავტრალიაშიც ჩავიდნენ.







# ყველაზე პატარა მხატვარი

**მსოფლიოში ყველაზე პატარა მხატვარი მარლა ოლმსტიდი 2000 წელს ნიუ იორკში დაიბადა. 2004 წელს მისი ნახატები უკვე გამოფენილი იყო საუკეთესო გალერეებში და დიდი წარმატებით იყიდებოდა.**



გოგონას ნიჭი სრულიად შემთხვევით შეამჩნია მისმა მამამ მარკმა, რომელიც თავადაც ხატვის მოყვარული იყო და საკმაოდ კარგად ხატავდა. მან პაწაწინა მარლას ფუნჯები და ფურცელი მისცა, რომ გოგონას ხელი არ შეეშალა მამისთვის ცოლის პორტრეტის ხატვაში. რთული წარმოსადგენია მშობლების რეაქცია, როდესაც პატარა მარლამ ხატვა დიდი ენთუზიაზმით დაიწყო და 2 წლის ასაკში თავისი პირველი შედევრი დახატა. ეს ნამუშევარი 250 დოლარად გაიყიდა. შემდეგი ნამუშევრები კი უფრო ძვირადღირებული აღმოჩნდა — მარლას 25 ნახატიდან თითეული 1600 დოლარი ღირს.





გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## 500 წლის მედალიონი



**ინგლისში ესექსის საგრაფოს მკვიდრმა, სამი წლის ბიჭუნამ მიწაში ჩამარხული ოქროს მედალიონი იპოვა, რომელიც, ექსპერტთა შეფასებით, 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი (თითქმის 3 მილიონი ევრო) ღირს.**

ჯეიმს ჰიათის ნათესავებისა და ახლობლების თქმით, ოქროს ნაკეთობა (მიიჩნევა, რომ ის 500 წლის წინათ შეიქმნა) ბავშვმა საგრაფოს ერთ-ერთ სოფელში სეირნობისას ლითონის დეტექტორით იპოვა.

ბიჭუნას ბაბუის თქმით, ჯეიმსს დეტექტორი პირველად ეკავა ხელში და ოქრო რამდენიმე წუთში აღმოაჩინა. მედალიონს, სავარაუდოდ, ბრიტანეთის ერთ-ერთი მუზეუმი იყიდის. თანხას კი ჯეიმსის ოჯახი და იმ მიწის ნაკვეთის მფლობელი გაიყოფენ, სადაც ბავშვმა ნაკეთობა იპოვა. მედალიონი ჯერ კიდევ 2009 წელს იპოვეს, მაგრამ ჯეიმსის ოჯახი ამ დრომდე დუმდა და ექსპერტების შეფასებას ელოდა. მედალიონი რელიგიური თემატიკის გამოსახულებას შეიცავს.

## მიკროსიყვარული



**ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, 25 წლის ელად დეკელი გამოცდილების გაცვლის პროგრამით გააგზავნეს დრეზდენში, სადაც ნანოტექნოლოგიური გამოკვლევების ცენტრში დაიწყო მუშაობა. აღნიშნული ცენტრი მინიატურული სილიკონის ჩიპების სფეროს განვითარებითაა დაკავებული. გამგზავრებამდე ელადს მეგობარი გოგონა დაჰპირდა, რომ დრეზდენში ესტუმრებოდა, დეკელს კი ამ სტუმრობისას მისი ხელის თხოვნა ჰქონდა განზრახული.**

სწორედ ისრაელში დაებადა ელადს იდეა, სიყვარულის ახსნა ჩიპის 1 სმ-იანი ტიტანისა და ოქროს საფარზე ამოეტვიფრა. როცა შეყვარებული ესტუმრა, დეკელმა ჩიპი მიკროსკოპის ქვეშ დადო და მას თავისი ნამუშევარი აჩვენა. გოგონამ მიკროსკოპით დაინახა მათი ერთობლივი ფოტო, სიყვარულის ახსნა და გულისა და ხელის შეთავაზების წინადადება, რაზეც დაუყოვნებლივ მიუგო: „კი“. ბედნიერი წყვილი ერთად დაბრუნდა ისრაელში, სადაც ქორწილისთვის მზადებას შეუდგა.

დეკელის ნამუშევარი კი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა გულისა და ხელის შეთავაზება.

## ოქროს ტატუ




**დუბაის ზოგიერთ ოტელში ახალი მომსახურება შემოიღეს — დროებითი სვირინგი, რომელიც 24-კარატიანი ოქროთი კეთდება. „ოქროს საქმის“ ოსტატები ვარაუდობენ, რომ ასეთი უჩვეულო სამკაული ზედგამოჭრილია ქორწილისა და სხვა საზეიმო ღონისძიებებისთვის.**

სვირინგი ოქროს ან პლატინის სიფრიფანა აპკს წარმოადგენს, რომელსაც კანზე აკრავენ და ორიოდე წუთის შემდეგ ტატუ მზადაა. სვირინგის ფასი 50-დან 5500 დოლარამდე მერყეობს ნახატის ზომისა და სირთულის მიხედვით. უფრო ძვირადღირებულ ვარიანტებს სვაროვსკის თვლებით შემკობა წარმოადგენს.

# საქართველო შიმშილობს, მაგრამ არ ნებდება!




**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს მეგობრობის ხელი გაუწოდა. თუ მის ფართოდრეკლამირებულ პიარ-ნაბიჯს გვერდს ავუვლით და თვალს გავუსწორებთ ფაქტს, რომელიც, როგორც ამბობენ, ჯიუტი რამაა, უჩვეულო შეგრძნება ჩნდება: ან პრეზიდენტი სააკაშვილი ცხოვრობს ალტერნატიულ რეალობაში, ან — დანარჩენი კაცობრიობა.**

დავიწყოთ იმით, რომ მოსკოვის მისამართით მიმართულ ესოდენ ფართო ჟესტს არ მოჰყოლია არც ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ინიციატივას დაადასტურებდა. გარდა ამისა, მოსკოვთან შერიგების ამ წინადადებებში სიტყვაც არაა ნახსენები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, თითქოს ისინი მსოფლიოს რუკაზე საერთოდაც არ არსებობს. გარკვეული გაგებით, საქართველოსთვის ეს ასეცაა — თბილისი პრინციპულად არ აღიარებს აფხაზებისა და ოსების უფლებას, რეალობის თავისებურად აღქმის თაობაზე. მაგრამ რეალობაზე საუბარი ზემოთ გვქონდა. **კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მშვიდობის იძულების რუსულ ოპერაციას კვლავაც „შეჭრას“ უწოდებს. შესაბამისად, ის არ აღიარებს აგრესორობას და სურს, მოლაპარაკებები დაზარალებულის პოზიციიდან აწარმოოს.**

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ყოველგვარი ანალიზის გარეშე, სტანდარტულად განაცხადა, რომ კრემლი სააკაშვილთან არანაირი მოლაპარაკების გამართვას არ აპირებს.** ეს სავარაუდო რეაქცია იყო, ვინაიდან მოსკოვი ცალსახად ინარჩუნებს აღნიშნულ პოზიციას 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტიდან მოყოლებული დღემდე. ასე რომ, **სააკაშვილს შეუძლია, ვისაც უნდა, რასაც უნდა დაჰპირდეს და აბსოლუტურად ცხადი წარმოდგენა ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ საკუთარი ნათქვამის გამო რუსეთის წინაშე პასუხისგება არ მოუწევს.**

გარდა ამისა, ეჭვს იწვევს ისიც, რომ სააკაშვილის ინიციატივა გულწრფელი იყო, რადგან ამ ინიციატივას ბარაკ ობამასთან მისი შეხვედრა უსწრებდა წინ. **აშშ-ის პრეზიდენტმა კი სააკაშვილს ვაშინგტონის მხრიდან შემდგომი მხარდაჭერის პირობა წაუყენა: რუსეთთან შერიგება. ცხადია, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კავკასიის პატარა ქვეყნის უცნაური დიქტატორი.**

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, სააკაშვილის ესოდენ მშვიდობისმოყვარული განწყობა განპირობებულია თავად ქვეყანაში ოპოზიციის გააქტიურებით, კერძოდ, ახალი „ქართული პარტიის“ შექმნით. **პარტია თავის მიზნად რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებასა და ევროკავშირში გაწევრებას ასახელებს. ამასთანავე, მათ არ სურთ ნატოს წევრობა. საქართველოში ოპოზიცია სააკაშვილის მმართველი პარტიის წინააღმდეგ გაერთიანებას ცდილობს, ეს კი ხელისუფლებისთვის, შესაძლოა, საფრთხედ იქცეს.** მით უფრო, რომ წინ ღატაკი ზამთარია — პური ისევ ძვირია, საქართველოში ცხელი ზაფხულის გამო მოსავლის მესამედი აიღეს.

**კეთილი ძია მიშას მთელ ამ პოლიტიკურ გართობებს პიკანტურობას პორტუგალიის მდიდრულ ოტელში ქართული დელეგაციის თავგადასავლები ჰმატებს. როგორც პორტუგალიის მასმედია იუწყება, ქართველმა დელეგატებმა საეჭვო ყოფაქცევის 80-მდე ქალი იქ თავიანთ ცოლებად გამოაცხადეს.** სკანდალი მაშინ ატყდა, როდესაც ნიკოლა სარკოზიმ ქართული ქეიფის გამო გაჩაღებულ ხმაურზე დაიჩივლა. ეს ფაქტი, რომელიც ისევე ჯიუტია, როგორც ზემოთ მოყვანილები, საინტერესოდ იხსნება ქართველი ხალხის საცოდავი ცხოვრებით — მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის დედაქალაქში 30%-იანი უმუშევრობაა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საერთო შიდა პროდუქტის წილი ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დაბალი საქართველოშია. **ასეთ პირობებში ამგვარი ქცევა, უბრალოდ, ზიზღს იწვევს, თუმცა ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ რეალობაში ცხოვრობთ.**

*segodnia.ru*

# მოსკოვის პასუხი სააკაშვილის რიტორიკას

**ბატონი სააკაშვილის მშვიდობისმყოფელი განცხადებები ევროპარლამენტარების მეტს ვერავის მოატყუებს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს, ისევე, როგორც რუსეთისას, უკვე აქვთ სამწუხარო გამოცდილება. ასეა თუ ისე, ევროპარლამენტის ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტი ამბობდა: „მე აქ იმისთვის ვარ, რომ გამოვხატო ინიციატივა, რომელმაც თქვენი დახმარებით, შესაძლოა, განმუხტოს მდგომარეობა და მოგვცეს საშუალება, დავიწყოთ სერიოზული მოლაპარაკებები რუსეთის ხელმძღვანელობასთან. იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო მართლა მიილტვის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისკენ, ჩვენ გამოვდივართ ცალმხრივი ინიციატივით — საქართველო არასდროს გამოიყენებს ძალას თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად“.**



„ეს გამოსვლა ორმაგ შთაბეჭდილებას ახდენს, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზემოხსენებული გამოსვლის კომენტირებისას, — ერთის მხრივ, **ძალიან გვინდა, გვჯეროდეს, რომ სააკაშვილის განცხადება ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ასახავს თბილისში იმ ჭეშმარიტების გააზრებას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უნერგავდნენ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთიც და საერთაშორისო საზოგადოების სხვა წევრებიც. კერძოდ, საუბარია თანამედროვე მსოფლიოში პრობლემების ძალოვანი, სამხედრო გზებით მოგვარების დაუშვებლობასა და დანაშაულობაზე.** მაგრამ ის, თუ რა ფორმით გვაწვდიან ამ „ცალმხრივ, საზეიმო ვალდებულებას“, ყურადღების გამახვილებას განაპირობებს. სააკაშვილი კვლავაც ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოება რუსეთსა და საქართველოს შორის რაღაც კონფლიქტის არსებობაზე მაშინ, როდესაც საუბარი უნდა ეხებოდეს მრავალწლიან კონფლიქტს თბილისსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხალხებს შორის, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მორიგი ქართული ძალისმიერი ავანტიურის შედეგად ამ ხალხთა საბოლოო სახელმწიფო თვითგანსაზღვრებით დასრულდა. საგულისხმოა, რომ ევროპარლამენტში გამოსვლის დროსაც კი სააკაშვილი ამ ხალხთა მიმართ კონფრონტაციულ რიტორიკას იყენებდა. **გარდა ამისა, შეუძლებელია, არ გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ხელმძღვანელთათვის საკუთარი განცხადებების უკან წაღება პირველი არ იქნება. ყველას გვახსოვს 2008 წლის 7 აგვისტოს სააკაშვილის „მშვიდობისმყოფელი“ ტელემიმართვა, რომლის დასრულებიდან რამდენიმე საათშიც ცხინვალის დაბომბვა დაიწყო. საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერი „საზეიმო პირობა“ სერიოზულად მხოლოდ მას შემდეგ აღიქმება, როცა ქაღალდზე გადავა და იურიდიულ ძალას შეიძენს“.**

სახელმწიფო დუმის საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინე კოსაჩევმა „მშვიდობიანი ინიციატივები“ ანალოგიურად შეაფასა. მისი აზრითაც, სააკაშვილის განცხადებებს იურიდიული ვალდებულებებით გამყარება ესაჭიროება.

**თბილისშიც ბევრს არ სჯერა საკუთარი პრეზიდენტის, მაგრამ, ამერიკული ორგანიზაციის „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მონაცემებით, რომელსაც საქართველოშიც ენდობიან, ქართველების 78% რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის მომხრეა.**

*segodnia.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ობამას ადმინისტრაციასა და პენტაგონში განგაშია: ვიკილიკსის პუბლიკაციები საერთაშორისო ურთიერთობებს ემუქრება!

**ვიკილიკსის მიერ ახალი დოკუმენტების გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე ობამას ადმინისტრაციამ მოსალოდნელი სკანდალის შესახებ კონგრესიცა და უცხო ქვეყნების მთავრობებიც წინასწარ გააფრთხილა. ოფიციალურმა პირებმა წინასწარვე განაცხადეს, რომ ინფორმაცია ამერიკის დიპლომატიურ დოკუმენტაციას მოიცავდა და, შესაძლოა, ზიანი მიეყენებინა მეგობრებთან და მოკავშირეებთან აშშ-ის ურთიერთობებისთვის. წინასწარი ვარაუდით, დოკუმენტებში შეიძლებოდა ყოფილიყო ყველაფერი — მეგობარ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ დისიდენტებთან მაკომპრომეტირებელი სატელეფონო საუბრებიდან დაწყებული, იმ ქმედებების გამოაშკარავებით დამთავრებული, რომლებსაც, შესაძლოა, ამერიკელი დიპლომატების უცხოეთის ქვეყნებიდან გაძევება განეპირობებინა.**



აშშ-ის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო მთავრობების გაფრთხილება, რომ საიტზე აღნიშნული მასალები, შესაძლოა, სულ რამდენიმე დღეში გამოქვეყნდეს. **„ეს გამოაშკარავება საზიანოა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩვენი ინტერესებისთვის,“** — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა კროულიმ. — **„ისინი დაძაბულობას გააჩენს ჩვენს დიპლომატებსა და ჩვენს მეგობრებს შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბით“.**

კროულიმ თქვა, რომ იმის გამოაშკარავება, რაც დახურულ ინფორმაციად ითვლება, აშშ-ისადმი, როგორც დიპლომატიური პარტნიორისადმი, ნდობას გაანადგურებს. **„როდესაც ნდობას ღალატობენ და ნდობის საგანი გაზეთების პირველ გვერდებზე ხვდება, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცემა, ამას ყოველთვის მოჰყვება გაგრძელება“,** — დაასკვნა მან.

ოფიციალურმა პირებმა, რომლებიც კონფიდენციალურ შიდა საკითხთა განხილვისას ანონიმურობის პირობას ითხოვდნენ, ასევე წინასწარ განაცხადეს, რომ, **ადმინისტრაციის აზრით, დიპლომატიური შედეგები მნიშვნელოვან მასშტაბებს მიიღებს. დოკუმენტების დიდი ნაწილი ობამას ადმინისტრაციის მუშაობის დაწყების პერიოდს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ თეთრ სახლს არ შეუძლია ინფორმაციის ნებისმიერი გახმაურებისგან დისტანცირება.**

ამერიკის ოფიციალური პირები შიშობდნენ, რომ გაჟონილი დოკუმენტებიდან ზოგიერთი, შესაძლოა, შეიცავდეს იმ საუბრების დეტალებს, რომელთა დროსაც უცხოეთის მაღალჩინოსანი პოლიტიკოსები თავიანთ მთავრობებს გულახდილად აფასებენ. ამ შეფასებებს კი შეეძლო უხერხულ მდგომარეობაში არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ მეორე მხარეც, ანუ უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკოსები და ხელმძღვანელებიც, ჩაეყენებინა.

**უკიდურეს შემთხვევაში ოფიციალური პირები სხვა ქვეყნებში ამერიკის საელჩოების საქმიანობის გამოაშკარავებას და შედეგად ამერიკელ დიპლომატთა გაძევებას ელოდნენ.** ლოდინი დიდხანს არ მოუხდათ. **29 ნოემბრის დილას ვიკილიკსმა 250 ათასზე მეტი დოკუმენტი გამოაქვეყნა.**

მასალების თანახმად, **2009 წლის ნოემბერში აშშ-მ თანხმობა განაცხადა ისრაელისათვის საავიაციო ბომბების მიწოდებაზე, რომლებიც ისრაელს ირანის ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმისათვის ესაჭიროებოდა.** ვიკილიკსის მონაცემებით, ამერიკული მხარე მზად იყო, ისრაელისთვის იარაღი საიდუმლოდ მიეწოდებინა, ოღონდ კი თავიდან აეცილებინა ირანზე თავდასხმაში ისრაელისთვის დახმარების ბრალდება. იმავე მასალებით, **ირანმა ჩრდილოეთ კორეისგან რუსული ნიმუშის მიხედვით შექმნილი 19 რაკეტა იყიდა.**

ამ რაკეტების ფრენის სიშორე ისლამურ რესპუბლიკას საშუალებას მისცემდა, დარტყმა მიეყენებინა როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებისთვის, ასევე მოსკოვისთვისაც. ამ რაკეტების სიმძლავრე ვაშინგტონის მიერ ოფიციალურად აღიარებულს მნიშვნელოვნად აღემატება.

**საიდუმლო დოკუმენტები შეიცავს ინფორმაციას საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ერვე მორენისა და მისი ამერიკელი კოლეგის, რობერტ გეითსის შეხვედრის შესახებ, რომლის დროსაც ჩანს, რომ აშშ რუსეთისთვის მისტრალის მიყიდვის წინააღმდეგია.**

საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი კი აღნიშნავს, რომ მისტრალის მიყიდვა რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე გავლენას არ იქონიებს და, შესაბამისად, უსაფრთხოების გამო შიშზე საუბარიც კი ზედმეტია.

**თეთრი სახლი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს და საიტ ვიკილიკსს არც მეტი, არც ნაკლები, ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანით დაემუქრა.** რესპუბლიკელი კონგრესმენის, ნაციონალური უსაფრთხოების კომიტეტის წევრის პიტერ კინგის მტკიცებით, ეს საიტი, რომელმაც უკვე რამდენჯერმე გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო მასალები, ქვეყნისთვის დიდი საფრთხის შემცველია.

**აშშ-ის მთავრობის საიდუმლო დოკუმენტების წინა ორი გამოქვეყნებისას ვიკილიკსმა ეს დოკუმენტები წინასწარ მიაწოდა გაზეთების — „ნიუ იორკ თაიმსისა“ და ლონდონის „გარდიანის“, ასევე გერმანულ ჟურნალ „შპიგელის“ წარმომადგენლებს, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი თავიანთ ისტორიებს ერთდროულად გამოაქვეყნებდნენ.**

პირველ შემთხვევაში გამომზეურდა ათასობით დეტალი ავღანეთის ომის ბრძოლის ველიდან, მეორე შემთხვევაში კი — ანალოგიური, მაგრამ გაცილებით მსხვილმასშტაბიანი დეტალები ერაყის ომის თაობაზე.

**ვიკილიკსისთვის საიდუმლო დოკუმენტების მიწოდების ბრალდება არავისთვის წაუყენებიათ, მაგრამ პენტაგონის მიერ წარმოებული გამოძიების ეჭვმიტანილია პირველი კლასის რიგითი ბრედლი მენინგი, რომელიც ერაყში დაზვერვის ანალიტიკოსად მუშაობდა** მანამ, ვიდრე ივნისის დასაწყისში ამერიკის მთავრობამ ის დააპატიმრა და კუვეიტის ციხეში არ გამოკეტა. 29 ივლისს იგი ვირჯინიაში, კვანტიკოში, საზღვაო ქვეითთა ბაზის ციხეში გადაიყვანეს.

**დიპლომატიური ჩანაწერები არის შიდა დოკუმენტები, რომლებიც, შესაძლოა, აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და ვაშინგტონის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის საიდუმლო ინფორმაციების გაცვლას შეიცავდეს. მათ შორის შეიძლება იყოს როგორც ამერიკელებსა და უცხოელ სამთავრობო ჩინოვნიკებს შორის ყოველდღიური შეხვედრების დეტალები, ასევე, ისეთი სახიფათო ცნობები, რომლებიც ამერიკელების მხრიდან უცხოელი ჩინოვნიკების შეფასებებს ან მათზე ზეწოლის მეთოდებს ასახავს. ერთ-ერთი მთავარი შიში ისაა, რომ დოკუმენტებში შეიძლება გამოჩნდეს, როგორ ანხორციელებდა აშშ ზეწოლას სხვადასხვა ქვეყანაზე იმისთვის, რომ მათ თავიანთ ტერიტორიაზე მიეღოთ გუანტანამოს ციხის ტყვეები, რომელთა გათავისუფლებაც გადაწყდა, მაგრამ საკუთარმა ქვეყნებმა არ მიიღეს,** — ვარაუდობდნენ მასალების გამოქვეყნებამდე.

სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებმა არაოფიციალურად ისიც თქვეს, რომ, შესაძლოა, გამოქვეყნდეს რამდენიმე საიდუმლო პროგრამის დეტალებიც. საუბარია ზესაიდუმლო ინფორმაციაზე სადაზვერვო ქმედებებისა და წყაროების თაობაზე. პენტაგონის წარმომადგენელმა, სამხედრო საზღვაო ძალების პოლკოვნიკმა დევიდ ლეპანმა განაცხადა, რომ დოკუმენტები, მართალია, სახელმწიფო დეპარტამენტს ეხება, მაგრამ მათში, შესაძლოა, აშშ-ის სამხედრო ტაქტიკაც და წყაროების ვინაობებიც გამოაშკარავებულიყო.

**თავად ვიკილიკსი აცხადებს, რომ ის წარმოადგენს ვებ-საიტს, რომელიც თავს უძღვნის მთელი მსოფლიოში მთავრობების რეფორმირებას მათი საიდუმლოებების გამოაშკარავების გზით. ტვიტერზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი განცხადების თანახმად, ვიკილიკსი ირწმუნება, რომ „მომავალი თვეები გამოაჩენს ახალ მსოფლიოს, რომელშიც მსოფლიო ისტორია გადასწორდება“.**




*Chicago Tribune, USA*

## მოთხრობების სამინისტრო



**ბრიტანელმა მწერალმა ნიკ ჰორნბიმ „მოთხრობების სამინისტროს“ შექმნა გადაწყვიტა. ეს პროექტი იმისთვის ხორციელდება, რომ ბავშვებს წერა შეაყვარონ.**

სამინისტროს შენობაში განთავსებულია მაღაზია და რამდენიმე ოთახი, სადაც მასტერ-კლასები და წერის გაკვეთილები ჩატარდება. მაღაზია კი იმისთვისაა საჭირო, რომ ბავშვების დასაინტერესებლად თავგადასავლებისა და ფანტასტიკის ატმოსფერო შეიქმნას. ჰორნბი და სხვა მწერლები 8-18 წლის ბავშვებს გაკვეთილებს ჩაუტარებენ. ბრიტანეთის ხელისუფლებამ პროექტი უკვე მოიწონა. ნაწილობრივ მას დიდი ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოც დააფინანსებს.

## ყველაზე მაღალი ქუსლი



**როგორც ჩანს, უახლოეს ხანებში ტრავმატოლოგებს სამუშაო მოემატებათ — მარკა sky heel-მა მაღალი ქუსლების მოყვარულთა გახარება გადაწყვიტა და შექმნა ფეხსაცმელი 9 დიუიმიანი (23,5 სმ) ქუსლით. თუმცა, კომპანიის განცხადებით, მათი ფეხსაცმელი საშუალებას მისცემს ტანმორჩილ ქალებს, თავი მოდელებად იგრძნონ. ამ ფეხსაცმლის ფასი 100 დოლარია, მოდელები ორ ფერში: წითელსა და ოქროსფერშია წარმოდგენილი.**

აღსანიშნავია, რომ, რამდენიმე დღეა, ინტერნეტქსელში გავრცელდა იმ კვლევის შედეგები, რომლებიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მოყვარულთა ტრამვების სიხშირეს შეისწავლიდა. აღმოჩნდა, რომ მსოფლიოში ყოველ მეხუთე ქალს ერთხელ მაინც აქვს გადატანილი ფეხის ტერფის ტრავმა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლისა და ეგრეთ წოდებული პლატფორმების წყალობით. ტრავმირებულთა შორის კი საკმაოდ ხშირია ისეთი მძიმე დაშავებებიც, როგორიც კიდურების მოტეხილობაა. მაგრამ სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, მოდა კი ქალთა მიმართ კვლავაც დაუნდობელია.

## ქრისტეს ქანდაკება პოლონეთში



**იესო ქრისტეს ყველაზე დიდი ქანდაკება (51 მეტრი პიედესტალთან ერთად) დასავლეთ პოლონეთში, გერმანიის საზღვრის შორიახლოს, ქალაქ სვებოძინში ძლივძლივობით (მძიმე თავისა და ძლიერი ქარის გამო) დადგეს. ეს მოოქროვილ გვირგვინიანი გიგანტური მონუმენტი ყოფილ „რეკორდსმენზე“ — რიო-დე-ჟანეიროში აღმართულ ქრისტეს ქანდაკებაზე (38 მეტრი) ბევრად მაღალია.**

მაცხოვრის ქანდაკების აღმართვა მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა. ეს თანხა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაიღეს. რეკორდულად მაღალი ქანდაკების დადგმის გეგმა ჯერ კიდევ 2007 წლიდან გახდა ცნობილი. რელიგიური მოტივების გარდა, ამ აქციას სხვა დატვირთვაც ჰქონდა — ადგილობრივი ბიზნესმენები იმედოვნებენ, რომ იესოს ქანდაკება ქალაქში ტურისტებისა და მომლოცველების დიდ ნაკადს მიიზიდავს, რაც, თავის მხრივ, რეგიონის ეკონომიკის გამოცოცხლებას განაპირობებს.

# «სისხლში ჩამხრჩვალი ვარდები»




**ამ დღეებში წიგნის ბაზარზე გამოიტანენ გამოჩენილი ქართველი პოეტის — რეზო ამაშუკელის ახალ კრებულს „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდები“.**

**წიგნის შესავალში ავტორი წერს:**

„ეს ყველაფერი გულის სისხლით არის ნაწერი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შესული ამ გამოცემაში.

იქნებ, წმინდა წყლის პოეზია არც იყოს, მაგრამ გულწრფელი სიმართლეა და დამანგრეველი, დამთრგუნველი ტკივილი, რაც ამ უჯიშო ბიჭ-ბუჭებმა მოუტანეს ქვეყანას!

არა მგონია, კიდევ მოვასწრო რაიმეს გამოცემა, ამასაც იმიტომ ვტოვებ, რომ, მომავალში, წამკითხავმა დაინახოს, რა „შავი ჭირი“ მძვინვარებდა საქართველოში!

ვინც ჩუმად იყო — ლაჩარია!

ვინც გაზულუქდა და ვერცხლით ძლომას მიეძალა — დაწყევლილი და სამუდამოდ შერჩვენებული!

მაცხოვარს ვევედრები:
— გაიყვანოს ჩემი ქვეყანა ამ ჯოჯოხეთიდან!

— საჯენ, უფალო, მოღალატე და გამყიდველი!

ღვთისმშობლისა და უწმინდესის იმედით,

**რეზო ამაშუკელი**
**2008 წ. 7 დეკემბერი**

**P.S. იმავეს ვიმეორებ დღესაც და, სანამ პირში სული მიდგას, მისხალს არ დავთმობ, რადგანაც სხვა გზა არც მე და არც ჩემს ქვეყანას აღარ დარჩა!**

**რ.ა. 2010 წ. XI**

# გზა პარნასისკენ

**საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „Русский клуб“ („რუსული კლუბი“) 2003 წელს დაარსდა თბილისში და მას შემდეგ წარმატებით ფუნქციონირებს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრთან.**

ბევრ რუსულენოვან, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს გაუკვალა მან გზა პარნასისკენ. ერთ-ერთი მათგანია ელფა გოლუბიატნიკოვა-ყიფშიძე, პოეტი ქალი, რომელმაც ამ კლუბისა და ლიტერატურულ-პოეტური ალმანახის „На холмах Грузии“ რედაქციის ხელშეწყობითა და თანადგომით უკვე გამოსცა რამდენიმე კრებული: „აფრების ასწლეულები“, „ჩემი აკვამარინები“ და „ანგელოზები სოფლის სასაფლაოზე“.




ამ წიგნებს წინ უძღოდა მისი ლექსების პუბლიკაცია აღნიშნული ალმანახის ნომრებში.

„ანგელოზები სოფლის სასაფლაოზე“ ეს-ესაა დაისტამბა. წიგნში შეტანილია ქალბატონ ელფას ესეები, მინიატურები, მოგონებები — დანატოვარი დროისა, რომელიც „გარბოდა ქუჩებით, პროსპექტებით, შესახვევებით“, რომლებშიც საინტერესოდაა მოწოდებული შეხვედრები აღიარებულ შემოქმედებთან — სერგო ფარაჯანოვთან, ვლადიმერ ვისოცკისთან, ტონინო გუერასთან, გია ყანჩელთან, ანდრეი ტარკოვკისთან, კახი კავსაძესთან, ბელა მირიანაშვილთან, გურამ სალარაძესთან, სხვებთან და სხვებთან.

ნოველები — სევდისა და სიხარულის ნაზავი, ესეები — სხარტი და ზუსტი.

ჭაშნიკად გთავაზობთ ნოველების “ტრიპტიქიდან” ერთ-ერთს.

* * *

**„დიმა ავღანეთიდან ჯარების გამოსვლის გრაფიკით დაბრუნდა. არც დაჭრილა, მადლობა ღმერთს, ტყვედაც არ ჩავარდნილა. გადარჩა!**

**მას შემდეგ ჩაიკეტა, გაპირქუშდა. უხალისოდ ცხოვრობდა. გამოუცარიელდა სული თითქოს. მხოლოდ ძაღლის, კეთილი ფრანგული ბულდოგის, რომელმაც ზღურბლზე გადმობიჯებისთანავე იცნო პატრონი, შემხედვარეს გაეღიმებოდა ზოგჯერ. ღიმილიც არ ეთქმოდა — კბილების კრეჭა უფრო. საათობით იჯდა ტახტზე, ან აივანზე, მოფერებით უსვამდა ხელს ბალანზე ან ყურზე უთათუნებდა. მზერა კი შორეთისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ჩამოდნენ დედა და და, დიმას შემხედვარე. დრო გადიოდა და არაფერი იცვლებოდა.**

**მაგრამ ერთხელ... გვიან ღამით ადგა და აივანზე გავიდა. გაჰყვა ძაღლი. მთვარე კამკამა, ცივი ფარანივით ეკიდა. ცისფერი სხივით შეერთებოდა აივანს.**

**— დროა! — გაკრთა ფიქრი.**

**სიმსუბუქე იგრძნო და გაჰყვა ცისფერ ბილიკს: ერთი, ორი, სამი...**

**კივილი გაისმა: გამოვარდნენ მეზობლები. ვიღაცამ სასწრაფო გამოიძახა, მილიცია...**

**ეზოში უხერხულ პოზაში იწვნენ ადამიანი და ძაღლი“.**



სერგო ფარაჯანოვი, ვლადიმერ ვისოცკი და ელფა გოლუბიატნიკოვა-ყიფშიძე, თბილისი, 1979 წ.


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



**საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო**

საქინფორმი

www.saqinform.ge



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო

**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net